პიტერ შოუ: „საქართველო ძალიან საშიში ქვეყანაა„ A8

კვირის TV პროგრამა B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 29 ნოემბერი, 2002 წელი. №180

ფასი 50 თეთრი

# საბიუჯეტო საბანი ძალოვანი უწყებებისთვის მეტისმეტად მოკლეა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ მე და შენღა დავრჩებით, ჩემო დავით".*

გიორგი ასანიშვილი

ფინანსთა მინისტრზე ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებისა და პარლამენტარების ზეწოლა უშედეგოდ მთავრდება: მირიან გოგიაშვილი შეუვალია და, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით, ქვეყნის უსაფრთხოების სფეროსთვის გათვალისწინებული პარამეტრების გადასინჯვაზე უარს ამბობს. **"იმ ოდენობის თანხები, რასაც ითხოვთ, საქართველოს ბიუჯეტს არ გააჩნია. რაც შემეძლო, უკვე მაქსიმალურად მოგიმატეთ,"** - აცხადებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე, დიდი ხნის დაგვიანებით მისული ფინანსთა მინისტრი. მის სიმტკიცეს დეპუტატი რობერტ თავაძე მოთმინებიდან გამოჰყავს და გოგიაშვილს საკმაოდ მძიმე ბრალდებას უყენებს: სამხედრო აღმშენებლობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის თქმით, რასაც ფინანსთა სამინისტრო აკეთებს, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დივერსიაა და, პლუს, გოგიაშვილს თავად პრეზიდენტი შეჰყავს შეცდომაში, როდესაც აცხადებს, რომ მომავალ წელს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება საგრძნობლად გაიზრდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პერსონა

### არ არის გოცაძე ჩემი კონკურენტი

გარწმუნებთ, რომ "თავისუფლების ინსტიტუტი" სრულიად არარელიგიურმა ხალხმა დაარბია. დარწმუნებული ვარ, ეს სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსის, სულხან პაპაშვილის ჯგუფი იყო. ორი დღის განმავლობაში კი რელიგიური ფონი იქმნებოდა.

B1

## პოლიტიკა

### ალექსანდრ ვერშბოუ: "ჩვენი ძალისხმევით საქართველოში ეფექტურ შედეგებს მივაღწევთ"

იმედისმომცემია, რომ რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები ვითარდება არა მარტო საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის, არამედ სხვა საკითხებშიც.

A3

## ეკონომიკა

### კორუფციული სქემები ენერგეტიკაში

სისტემა დანგრეულია, ხალხი უშუქოდაა დარჩენილი, მთავრობა კი დუმს

A4

## უცხოეთი

### საპნის ბუშტი თუ ჭეშმარიტი აღორძინება

"ვლადიმირ პუტინს შეუძლია, რამდენიც უნდა, იმდენი ილაპარაკოს თავის განზრახვაზე - განამტკიცოს სახელისუფლო ვერტიკალი და დაამყაროს კანონის დიქტატურა, ლანძღოს კორუფცია და ორგანიზებული დამნაშავეობა და ა.შ., მაგრამ ქვეყანაში რეალურად არაფერი შეცვლილა"

A5

## საზოგადოება

### რა აქცევს ქართველს ევროპელად

ქართველების “გაევროპელებისა” და საქართველოს ევროპულ ოჯახთან ინტეგრაციის მიმართ ქართულ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში - “რა აქცევს ქართველს ევროპელად”, საჯარო განხილვის თემა გახდა.

A6

## სამართალი

### ჯორბენაძის დაკითხვამ ნათელაშვილი ძველ დასკვნამდე მიიყვანა

ლეიბორისტთა ლიდერის შალვა ნათელაშვილის სარჩელის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის დაკითხვით გააგრძელა.

A7

## მენარმეებო და კერძო მესაკუთრეებო, ემზადეთ საგანგებო ვითარებისთვის!

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება“
სპეციალურად "24 საათისთვის"

საქართველოს სამხედრო უწყებას მხოლოდ უფულობა როდი აწუხებს. სამხედრო ძალებს, სამხედრო დოქტრინის სახით, დღემდე არ აქვთ სახელმწიფოსგან დასმული ამოცანა და არ იციან, თუ როგორ უნდა იმოქმედონ საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს. ასეთი სამართლებრივი ნიჰილიზმის მიზეზი შეიძლება იყოს გარკვეული პოლიტიკური ინერცია. კერძოდ, ის, რომ დაბალი ინტენსივობის კონფლიქტების გარდა, საქართველოს ხელისუფლება სხვა საფრთხეებს სერიოზულად არ განიხილავს. მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობენ სამხედროები, რომელთა მთავარ დანიშნულებას სწორედ მშვიდობიან დროს ომისთვის მზადება წარმოადგენს და ამიტომ შესაბამის კანონში ცვლილებების ინიციატივით გამოდიან.

თუკი გულწრფელია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სურვილი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების შესახებ, მაშინ ქვეყნის ხელისუფლება დღესვე უნდა იწყებდეს იმაზე ფიქრს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ დაუახლოვოს სამხედრო სისტემა ალიანსის ასპირანტი ქვეყნისთვის წაყენებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა სამხედრო სტრუქტურებზე სამოქალაქო კონტროლის გაძლიერებას გულისხმობს. თუმცა, ამ ფონზე ცოტა უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ, პრაღის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს თავდაცვის მინისტრი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საკონსტიტუციო ნორმის შეცვლის ინიციატივით გამოვიდა, რაც სამოქალაქო კონტროლის მთავარი სუბიექტის – პარლამენტისთვის გარკვეული უფლებების შეზღუდვას გულისხმობს.

თევზაძის ასეთ “ბონაპარტიზმს” თავისი საფუძველი აქვს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საქართველოს პრეზიდენტს უფლება ენიჭება ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობა გამოაცხადოს და არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ბი-პი" თავისუფლდება მთელი რიგი ვალდებულებებისგან და კანონზე მაღლა დგას

გიორგი კალანდაძე

ორი დღეც და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ხელს მოაწერს (ან არ მოაწერს, რაც ნაკლებსავარაუდოა) გარემოსდაცვით ნებართვას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებაზე. ნინო ჩხობაძე ისტორიული გადაწყვეტილების მიღების წინაშე დგას. დღეს მის ხელთ არა მარტო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პოლიტიკურ-ეკონომიკური პროექტის განხორციელების ბედ-იღბალია. თუ აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალურ მრჩეველს კასპიის

გაგრძელება A8 გვერდზე



ბორჯომის ხეობა.

## რუსეთი მხოლოდ ერთ-ერთი პრობლემაა

ირაკლი არეშიძე
ირაკლი ჩხენკელი

გასულ ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევის ცენტრში (CSIS) დასრულდა საქართველოს ფორუმი თემაზე - "საქართველოს უმთავრესი პრობლემები საგარეო პოლიტიკის სფეროში". ფორუმის ფარგლებში შეკრებილთა წინაშე წარდგნენ, საქართველოს ელჩი შეერთებულ შტატებში ლევან მიქელაძე და საქართველოს ელჩი გაერო-ში რევაზ ადამია. მომხსენებლებმა ამომწურავად წარმოადგინეს რუსეთის იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკით განპირობებული სირთულეები, რომელთა გადალახვა უწევდა საქართველოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამავე დროს, საუბარი არ შეხებია სხვა მიზეზებს, რომელთა შედეგად საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა ხშირად არის არაეფექტური და წინააღმდეგობრივი.

ბატონ მიქელაძის პრეზენტაცია მიზნად ისახავდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრობლემების გამოკვეთას. განხილვის საგანი იყო რუსეთი და რუსეთ-საქართველოს ერთობ დაძაბული ურთიერთობა. თავად ამ დაძაბულობის მიზეზად კი დასახელდა ის გარემოება, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტის ზოგიერთ წარმომადგენელს არ სურს, აღიაროს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ბატონი მიქელაძე შეეხო რამდენიმე სპეციფიურ საკითხს, როგორიცაა: საქართველოსთან დისკრიმინაციული სავიზო რეჟიმის შემოღება; ორი არაღიარებული რესპუბლიკის (აფხაზეთისა და

გაგრძელება A3 გვერდზე

# აჟიოტაჟი „სამშობლოს“ გამო

*დღეს თბილისის საოლქო სასამართლოში, მოსამართლე ინგა თოდრია გამომცემლობა ”სამშობლოს” გახმაურებულ საქმეს განიხილავს. გამომცემლობის შენობაში განთავსებული 12 რედაქცია ქონების მართვის სამინისტროს გამომცემლობა ”სამშობლოს” შენობას ედავება.*

მაია ურუშაძე

შპს ”გამომცემლობა სამშობლო” საქართველოს ყოფილი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სამართალმემკვიდრეა. ამ შენობაში საბჭოთა პერიოდში ოფიციალური პრესა იყო განთავსებული თავისი რედაქციებით, სტამბითა და სხვა საგამომცემლო განყოფილებებით. ჯერ კიდევ 1956 წელს საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ გააერთიანა ”ზარია ვოსტოკასა” და ”კომუნისტის” გამომცემლობები, რის შემდეგაც ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, გამომცემლობებმა და სტამბებმა საერთო ბუღალტერიის წარმოება დაიწყეს. ამ პერიოდიდან მოყოლებული ჟურნალისტების, სტამბის მუშების, სამეურნეო პერსონალისა და გამომცემლობის სხვა თანამშრომელთა ხელფასების გამოწერა-გაცემას ერთიანი საფინანსო სამსახური აწარმოებდა. ამ სამსახურის ფუნქციაში ჟურნალ-გაზეთების დასაბეჭდად აუცილებელი ინვენტარის, საბეჭდი ქაღალდისა თუ პოლიგრაფიული საღებავების, აგრეთვე, რედაქციებისათვის საჭირო საკანცელარიო ნივთებისა თუ ავეჯის შეძენაც შედიოდა.

გაგრძელება A6 გვერდზე

# გივი თარგამაძეს წინასაარჩევნოდ „ძველ ცოდვებს“ უხსენებენ

*რამდენიმე დღეც და ვაკე-საბურთალოს რაიონს ახალი დეპუტატი ეყოლება. დღეს კი წინასაარჩევნო ბრძოლაა და ყველას შეუძლია, მიზანს საკუთარი ხერხებით მიაღწიოს. სხვა კანდიდატების რა მოგახსენოთ, მაგრამ გუშინდელი დღე რომ გივი თარგამაძის ოპონენტთა გამოღვიძების დღე იყო, ფაქტია. დეპუტატობის პრეტენდენტს უღირს საქციელს, ერთი მხრივ, მამა-შვილი დონაძეები, მეორე მხრივ, კი ანტიმონოპოლიური სამსახური ახსენებდა.*

თამარ კაციტაძე

მართალია, ნოდარ დონაძე მასმედიის წინაშე ხაზგასმით აკონკრეტებდა - აღნიშნულ თემაზე არჩევნებამდე ორი დღით ადრე საუბარი, არავის და არანაირ პოლიტიკურ ინტერესს არ ემსახურება, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ოჯახის ღირსებას ვიცავო, მაგრამ, მოგვიანებით თავადვე აღნიშნა: **“ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობაა, ივნისში მომხდარი ანგარიშსწორება კიდევ ერთხელ შევახსენო ვაკე-საბურთალოს ამომრჩევლებს (სხვათა შორის, თავადაც აღნიშნული რაიონის ამომრჩევლები არიან), რათა მათ ბოლომდე გააცნობიერონ ვის აძლევენ ხმას”.**

გაგრძელება A7 გვერდზე

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 13 |
| ქუთაისი | 18 |
| ბათუმი | 19 |
| სოხუმი | 16 |
| ფოთი | 18 |
| თელავი | 11 |
| ზუგდიდი | 18 |
| გორი | 10 |
| ახმეტა | 11 |
| ჭიათურა | 14 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1730 |
| ევრო | 2.1563 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3705 |
| რუბლი | 0.0682 |

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 TV პროგრამა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# ნახევრადსერიოზული მსჯელობა საპარლამენტო დისციპლინაზე

თამარ ხორბალაძე

**"პეტრეს ვერ ვესაუბრე, მაგრამ ამ დილით დედამისს ველაპარაკე..."** - ასე ახსნა საკითხის წარმომდგენმა დეპუტატმა არნოლდ ჟვანიამ გუშინ, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტში პეტრე ცისკარიშვილის გამოუცხადებლობა. **"დედა დაიბარეთ?!"** - სიცილით შეიცხადეს პარლამენტარებმა... **"არა, დედა არა..."** - დაიბნა მომხსენებელი.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე პეტრე ცისკარიშვილის იმუნიტეტის შეზღუდვაზე უნდა ემსჯელათ. მაგრამ არც დანაშაულში შემჩნეული მხარე გამოცხადდა და არც დაზარალებული.

დაგვიანებით შემოსულმა "ახალმა" ფიქრია ჩიხრაძემ დაგვიანების საპარტიო მიზეზი დაასახელა და **"სრული სერიოზულობით"** გადასცა პარლამენტარებს პატრიარქის წინადადება: რაღაც, ძალიან დაერიეთ ერთმანეთს და იქნებ დარბაზი გვეკურთხებინაო?!.

**"თუ ეს უშველის, კი ბატონო!"** - ექვნარევი ენთუზიაზმით აიტაცა წინადადება კომიტეტის თავმჯდომარემ როსტომ დოლიძემ. თავად საკითხი გუშინ არ განუხილავთ, მომავალი კვირისთვის გადადეს და თან ისიც დააყოლეს, რომ პეტრე ცისკარიშვილის საკითხთან ერთად პროკურატურამ სხვა მსგავსი ფაქტებიც უნდა შეისწავლოს.

**"ათვლის წერტილი რომელია? ხომ უნდა იცოდნენ პროკურატურაში, რომელ ფაქტებზე ვთხოვთ რეაგირებას?"** - სავარაუდოდ, რჩეულიშვილის "ვაჟკაცობის" ამ ნუსხაში მოხვედრის შიშით ითხოვა დაზუსტება "სოციალისტმა" ზაქარია ქუცნაშვილმა.

სხდომიდან გასულმა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა კაკო ბუდაღაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ასე - კომიტეტზე გამოთქმული დავალებების საფუძველზე, საქმის აღძვრა არ ხდება.

**"საქმის აღსაძვრელად პარლამენტიდან მასალები შესაბამისი წესით უნდა იყოს შემოსული. ასეთი მასალები კი, პეტრე ცისკარიშვილის საკითხის გარდა, არ შემოსულა,"** - განაცხადა მან.

პროკურატურის წარმომადგენლის კვალდაკვალ, სხდომაზე "ნაციონალების" გაძლიერებული შემადგენლობაც შეთხელდა და, როცა კომიტეტის სხდომაზე გივი თარგამაძეზე პოლიტიკური თავდასხმა განხორციელდა, დაცვის მთელი ტვირთის ზიდვა აკაკი ბობოხიძეს და ნოდარ გრიგალაშვილს ერგოთ.

მანამდე კი კომიტეტმა გამცდენ პარლამენტართა სია გამოაქვეყნა და შესაბამისი სანქციებიც მოაყოლა, რომელთა ამოქმედებით პარლამენტი შეეცდება ქვორუმის ტრადიციული ჩაგდების მავნე ტრადიცია აღმოფხვრას.

**" გაახმოვანეთ, რა სანქციები დაეკისრებათ პარლამენტარებს!"** - მოითხოვა ზაქარია ქუცნაშვილმა.

**" ერთი თვის განმავლობაში სამი სხდომის გაცდენისთვის ჯარიმა ხელფასის 15 პროცენტია, ანუ - 70 ლარი,"** - იყო პასუხი. **"სანქციების გაზრდაზე ხომ არ გვეზრუნა?"** - აქტიურობდა ქუცნაშვილი.

**" ჯერ ის შევასრულოთ, რაც დადგენილი გვაქვს. დავიანგარიშეთ - საგაზაფხულო სესიაზე ეს სანქციები რომ აგვემოქმედებინა, 320 000 ლარს გადავრიცხავდით ურთიერთდახმარების ფონდში ჯარიმების სახით. შეგვეძლო, იმ პარლამენტარებს დავხმარებოდით ამ ფულით, ვისაც ასეთი დახმარება სჭირდება; შეგვეძლო, "ბეჯითები" წაგვეხალისებინა..."** - ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებზე ნაღვლობდა როსტომ დოლიძე. მოკლედ, გუშინ პარლამენტის საპროცედურო კომიტეტმა გადაწყვიტა, სანქციები რეალურად აამოქმედოს და პარლამენტარებს ოქტომბრის თვეში გაცდენებისთვის ჯარიმები დააკისროს.

იმსჯელეს იმაზეც, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას სხვისი პულტებით სარგებლობის ტრადიცია. ადა მარშანიამ შეხვედრაზე აფხაზეთის დეპუტაციის არსებობის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანაც მოითხოვა და ზოგიერთი დეპუტატის ხშირი საპარლამენტო გამოსვლებისგან დაზღვევაც ითხოვა: **"ზოგიერთი მიკროფონთან მისულიც არ არის, ისე ურთავენ მიკროფონს, მაგალითად - ვასიკო მაღლაფერიძეს და გია ბარამიძეს..."** - დააკონკრეტა პრეტენზია. **" ბედნიერი ვარ, რომ ჩემი გუნდის წევრებს მოსაზრებები გააჩნიათ სხვადასხვა თემებზე. აბა, ისაა საქმე, რვა წელი რომ ათეულობით დეპუტატი საერთოდ არ მისულა მიკროფონთან?"** - თანაგუნდელებს გამოესარჩლა ხათუნა ხოფერია.

გუშინდელ სხდომაზე წაიკითხეს პროკურატურის დასკვნაც, რომლის თანახმად, არც "თამარიონში" მომხდარ მკვლელობაში ლევან პირველის მონაწილეობის ფაქტი და არც "ძველ სახლში" მის მიერ გივი თარგამაძის ცემისა და სროლის ფაქტი არ დასტურდება.

"სოციალისტმა" ქუცნაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით თარგამაძის, როგორც ცილისმწამებლის, მხილება მოსთხოვა ჟურნალისტებს.

**"ვიცი, რატომ წამოჭერით დღეს ეს საკითხი, ორ დღეში არჩევნებია... მაგრამ დღევანდელი ქმედებით თქვენ მას კიდევ 400 მხარდამჭერს უმატებთ"**, - მიკროფონთან გამოცხადდა კაკო ბობოხიძე.

**"გივი თარგამაძემ ჩემთან დაპირისპირებისას უარყო, რომ ვცემე და ვესროლე. ამ დროს თავისუფლების ინსტიტუტმა და არასამთავრობოებმა პარლამენტის თავმჯდომარეს ასეთი შინაარსის წერილი მისწერეს. არ არის ეს ცილისწამება? ნაცისტები ხართ თქვენ, ნაცისტები... მათი მეთოდებით მოქმედებთ..."** - განრისხდა ლევან პირველი. **"პატრიოტები ვართ ჩვენ, ხოლო თქვენ თვალში რა ვიქნებით, ამას მნიშვნელობა არ აქვს..."** - დაასკვნა გრიგალაშვილმა...

დაპირისპირება შედარებით განმუხტა როსტომ დოლიძემ. მოკლედ, გუშინდელმა სხდომამ, რომელიც მეტად მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა, ასე - ნახევრად სერიოზულ ვითარებაში, ჩაიარა. რაც შეეხება პეტრე ცისკარიშვილს - მის საკითხს კომიტეტი ერთ კვირაში დაუბრუნდება.







# ალექსანდრ ვერშბოუ: "ჩვენი ძალისხმევით საქართველოში ეფექტურ შედეგებს მივაღწევთ"

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

აშშ-ს ელჩი რუსეთის ფედერაციაში, ალექსანდრ ვერშბოუ რუს და უცხოელ ჟურნალისტებს პუტინ-ბუშის სამიტის შედეგებზე სასაუბროდ შეხვდა, მაგრამ პრესკონფერენციის მთავარ თემად უფრო ერაყსა და ჩრდილოეთ კორეაში აშშ-ს შესაძლო ძალისმიერი აქციები იქცა.

თუკი რუსეთის დედაქალაქში გამართულ ადრინდელ პრესკონფერენციებზე ბატონი ვერშბოუ თავდაჭერილად გამოიყურებოდა და რუსი ჟურნალისტების პროვოკაციულ ან ირონიულ შეკითხვებს ანეკდოტებით თუ დელიკატური ხუმრობებით იგერიებდა (ერთხელ, "როსიისკაია გაზეტას" ჟურნალისტის შეკითხვას - "თქვენ ისე ხომ არ გამოგდით, რაც კარგია ამერიკისათვის, ის კარგია მთელი მსოფლიოსათვისო? ვერშბოუმ უპასუხა: აბა თქვენ ის უფრო გაწყობთ, რაც კარგია "გაზპრომისათვის, ის მსოფლიოსათვისაც კარგიაო), ამჯერად აშშ-ს ელჩი ზედმეტად პათეტიკურიც იყო.

ბატონი ვერშბოუს პათეტიკას განაპირობებდა , მისივე თქმით, რუსეთ-აშშ ურთიერთობებში ამ დღეებში საფუძველჩაყრილი სრულიად ახალი ერა და საერთაშორისო ტერორიზმის გლობალური საფრთხისადმი მსოფლიოს ცივილიზებული სახელმწიფოების გაერთიანება, რაც პრაღაში ნატო-ს სამიტზეც გამოჩნდა. **"რუსეთ-აშშ-ს ახალი ალიანსი ნაყოფიერად ვითარდება, რაც ერაყის, ჩრდილოეთ კორეისა და სხვა გლობალური პრობლემების ერთად გადაჭრის წინაპირობაა,"** - ამბობს აშშ-ს ელჩი და იქვე ხაზს უსვამს ორმხრივი ურთიერთობების აქტუალობას ეკონომიკურ და ენერგეტიკულ სფეროებში.

აშშ ელჩმა ჟურნალისტებს მოუბოდიშა, რომ პრეზიდენტების შეხვედრის ყველა დეტალზე ვერ ისაუბრებს, მაგრამ ის კი აღნიშნა, რომ **"ორივე პრეზიდენტის გული გახსნილია სათანამშრომლოდ და ისინი დღეიდან ამ გულის კარნახით იმოქმედებენ"**.

ვერშბოუმ რუს ჟურნალისტებს ამცნო, რომ აშშ-ს აქვს ჩრდილოეთ კორეის მიერ გამდიდრებული ურანის წარმოების დამადასტურებელი ცნობები. **"ორი წლის შემდეგ მას შეეძლება მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება. ჩვენს შეშფოთებას ისიც იწვევს, რომ იგივე ტექნოლოგიები აქვს პაკისტანსაც,"** - განაცხადა ვერშბოუმ და იქვე დასძინა, რომ **"დღეს რუსეთსა და ამერიკას აქვთ ამ პრობლემის ერთნაირი ხედვა"**.


*ალექსანდრ ვერშბოუ.*
REUTERS

ერაყის თემაზე საუბრისას ელჩმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ბუშმა პუტინს აგრძნობინა სადამის განიარაღების აუცილებლობა და იქ საერთაშორისო ინსპექტორების გაგზავნის აქტუალობა. **"ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სადამი ხელს არ შეუშლის ჩვენს პროგრამას და საშუალებას მისცემს ექსპერტებს, 8 დეკემბრამდე შეასრულონ გაერო-ს რეზოლუცია. სადამი სერიოზულ პრობლემებს მოიმკის, თუკი ამ პირობებს არ შეასრულებს. მას თუ ჰგონია, რომ რუსეთ-აშშ-ს შორის განხეთქილების ჩამოგდებას შეძლებს, ძლიერ ეშლება"**.

ჩეჩნეთის პრობლემატიკის განხილვისას აშშ ელჩმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტი ბუში დაინტერესებულია ჩეჩნეთში კონსტიტუციის მიღების დაჩქარებითა და იქ სახალხო რეფერენდუმის ჩატარებით. ვერშბოუს თქმით, **"აშშ შეშფოთებულია ჩეჩნეთში ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებით, მაგრამ ტერორისტებთან კომპრომისები დაუშვებელია"**.

ნატო-ს ბლოკში ახალი ქვეყნების მიღების პარალელურად, პოტენციურ წევრებზე საუბარი აშშ-ს ელჩს ცოტა ნაადრევად მიაჩნია, რადგანაც წინ, პირველ რიგში, უკვე მიღებული სახელმწიფოების გაფორმების პროცედურებია.

**"ჩვენ მოვისმინეთ ნატო-ში გაწევრიანების მსურველი საქართველოსა და უკრაინის განცხადებები, მაგრამ ეს საკითხი, ჯერჯერობით, ჰორიზონტს მიღმაა – ნატო აგრძელებს ღია კარის პოლიტიკას და ღიაა ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისათვის, მათ შორის - რუსეთისთვისაც, მაგრამ ნატო-ს სახელმწიფოები თვითონ ირჩევენ, რა ქვეყნები უფრო სჭირდებათ ამ ბლოკში,"** - ასკვნის ელჩი.

ალექსანდრ ვერშბოუმ ჩვენი გაზეთის რამდენიმე შეკითხვასაც უპასუხა.

**- ბატონო ელჩო, თქვენი ინფორმაციით, რა ადგილი დაეთმო საქართველოს თემას პრეზიდენტების საუბრისას?**

- პრეზიდენტები 90 წუთის მანძილზე საუბრობდნენ სახელმწიფო მდივნის, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ორივე მხარის უშიშროების საბჭოს წარმომადგენლების საზოგადოებაში. საქართველოს საკითხი პირდაპირი მნიშვნელობით არ განხილულა, მაგრამ ამ თემამ გაიჟღერა ალ-ქაიდასთან მიმართებაში. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს მუშაობას ამ ხაზით, რათა თქვენმა ხელისუფლებამ როგორმე აღმოფხვრას საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა და ბოლო მოუღოს იმ ელემენტების მოღვაწეობას საქართელოს ტერიტორიაზე, ვინც უშუალო კავშირში არიან საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ძალისხმევით საქართველოში ეფექტურ შედეგებს მივაღწევთ. იმედისმომცემია, რომ რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები ვითარდება არა მარტო საერთოშორისო ტერორიზმთან ბრძოლის, არამედ სხვა საკითხებშიც. საქართველოდან ჩეჩენი ტერორისტების ექსტრადიციაშიც ბოლო დღეებში საიმედო სიგნალი გაჩნდა. მივესალმებით რუსეთისა და საქართველოს მესაზღვრეების ურთიერთშეთანხმებულ თანამშრომლობასაც.

**- ერთ კონფერენციაზე თქვენ განაცხადეთ, რომ სერიოზულად იმუშავებთ რუს კოლეგებთან, რათა დროულად მოხდეს აფხაზეთის რეინტეგრაცია საქართველოს შემადგენლობაში. ხომ არ შეგიცვლიათ დაპირება?**

- ჩვენ ვაგრძელებთ კონტაქტებს რუსებთან და სხვა პარტნიორებთან, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფიდან, რათა მხარი დავუჭიროთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში გაერო-ს გეგმისა და მთლიანად სამშვიდობო გეგმის პროექტის განხორციელებას, ურომლისოდაც აფხაზური კონფლიქტის ზონაში ვითარების ნორმალიზება გაჭირდება. პირადად მე იმედი მაქვს, რომ ბოლოსდაბოლოს ამ პროცესში წარმატებას მივაღწევთ. ანგარიშგასაწევია, რომ სამშვიდობო პროცესი ასე სწრაფად არ მთავრდება.

# „ჩვენი შვილები მოტყუებას იმსახურებენ?!"

## პოლიტიკური ფანდი სამხატვრო აკადემიაში

ნანა ბასილაშვილი

30 ნოემბერს საბურთალოს რაიონში მაჟორიტარული არჩევნები იმართება. რასაკვირველია, დეპუტატობის კანდიდატები, დაპირებებით, გრანდიოზული პროექტებითა და დატვირთული სამუშაო პროგრამებით გვაწონებენ თავს. საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატი, მოქალაქეთა კავშირის წევრი თემო გოცაძე, თანამოაზრეებთან და თანაპარტიელებთან ერთად (ისევე, როგორც მისი პოლიტიკური კონკურენტები), წინასაარჩევნო მარათონებით არიან გართულნი. სარეკლამო რგოლებსა და აფიშებზე, ალბათ შეამჩნევდით გოცაძის მთავარ ლოზუნგს: "ჩვენი შვილები, უკეთეს საქართველოს იმსახურებენ". როგორც აღმოჩნდა, "ჩვენი შვილები", რატომღაც, მოტყუებასაც იმსახურებენ.

ზემოთ ნახსენები პოლიტიკური პარტიის მიმართ არანაირი შავი პიარის შექმნას არ ვცდილობთ, უბრალოდ, ერთ კონკრეტულ ფაქტზე მოგახსენებთ, მისი შეფასება კი თქვენთვის მოგვინდვია.

დაახლოებით, ერთი კვირის წინათ, სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა და ასპირანტთა საბჭოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი (კონკრეტულად, ლადო ბოჟაძე) დაუკავშირდა. სმაკ-მა სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან ერთად გამოფენის მოწყობა გადაწყვიტა. **"ჩვენ მივესალმებით ყველა პოლიტიკურ ძალას, სახელისუფლებო იქნება ის, თუ არა, რომელიც მზადაა მხარში ამოუდგეს სტუდენტებს",** - ამ მოტივით დაიწყო თანამშრომლობა სტუდენტთა საბჭომ, "ახალგაზრდა მოქალაქეთა" კავშირთან. მოლაპარაკების მიხედვით, სმაკ-ი სტუდენტებს გალერეით უზრუნველყოფდა, სტუდენტთა საბჭო კი დათქმულ დროს, გალერეა "უნივერსში", სამი დღის განმავლობაში ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების ჩვენებას მოაწყობდა. სტუდენტებისათვის ეს მართლაც კარგი წინადადება იყო, მხატვარ თემურ გოცაძეს, რასაკვირველია, კარგად მოეხსენება, რაოდენ მნიშვნელოვანი და რთულია გამოფენის მოწყობა სტუდენტობისას და თანაც - ჩვენს დროში.

გუშინწინ შუადღეს გალერეა "უნივერსში" სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა გამოფენა გაიხსნა. გახსნაზე მისასამებელი სიტყვით გამოვიდნენ ორგანიზატორები: ლადო ბოჟაძე, სოციალისტური პარტიის ახალგაზრდა სოციალისტების ლიდერი, დეპუტატობის კანდიდატი თემო გოცაძე და ა.შ. ღონისძიებით კმაყოფილმა გამომსვლელებმა კამერის წინ (გამოფენაზე მხოლოდ პირველი არხი იყო), თავიანთ სიტყვაში აღნიშნეს, რომ ეს არ არის ერთჯერადი მოვლენა და რომ ისინი ყოველთვის მხარში ედგებიან და ყველანაირად დაეხმარებიან მათ და ა.შ. ასე და ამგვარად გამოფენა გახსნილად გამოცხადდა. დაახლოებით ორ-სამ საათში, გამოფენის იდეის ავტორებმა ნამუშევრები ჩამოხსნეს და უკან, აკადემიაში მიიტანეს. მაშინ, როდესაც გამოფენა სამ დღეს უნდა გაგრძელებულიყო. კითხვაზე, თუ რატომ შეიცვალა შეთანხმება, სტუდენტთა საბჭოს ხელმძღვანელობამ მიიღო საკმაოდ გაუგებარი და ბუნდოვანი პასუხი: **"ვილაცის შვილს აქვს ხვალ გამოფენა და ჩვენ რა ვქნათო".**

**"ლადო ბოჟაძე ან მაშინ იტყუებოდა, როცა პირველი არხით გამოვიდა და საზოგადოებას "ახარა" - გამოფენა სამ დღეს გასტანსო, ან გახსნიდან ორი საათის შემდეგ. საგანგაშოა, რომ სახელისუფლებო პარტია ასე დაუმსახურებლად და სამარცხვინოდ მოეპყრო სტუდენტობას. იმ 24 მხატვრიდან უმრავლესობისათვის ეს პირველი გამოფენა იყო, რომელზეც ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ",** - განაცხადა ანრი სამხარაძემ.

გამოფენამ მოქალაქეთა კავშირისათვის თავისი ფუნქცია შეასრულა, რისთვისაც 2 საათი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. **"ყველაფერმა მშვიდად და ლამაზად ჩაიარა, რაც შეეხება გამოფენის ხანგრძლივობას, თავიდანვე ნათქვამი იყო, რომ მხოლოდ ერთ დღეს გასტანდა, ნახატები ჩამოიხსნა საღამოს, მაშინ, როდესაც გალერეა უნდა დაკეტილიყო",** - აცხადებს სმაკის ლიდერი ლადო ბოჟაძე. გახსნის დღეს, დაახლოებით საღამოს ექვსი საათისათვის გალერეა "უნივერსის" დირექტორი ლალი ღოღელიანი "24 საათთან" საუბრისას აცხადებს, რომ გამოფენა უკვე დახურულია და რომ ეს იყო სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მიერ თემო გოცაძის მხარდასაჭერად მოწყობილი ერთდღიანი აქცია.

გუშინ სამხატვრო აკადემიაში ასამდე სტუდენტმა პროტესტის ნიშნად საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ისინი მომხდარი ფაქტით აღშფოთებულები და შეურაცხყოფილები არიან და სმაკი-სა თუ მათი "პოლიტიკური მშობლებისაგან" ბოდიშის მოხდას ითხოვენ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# საბიუჯეტო საბანი ძალოვანი უწყებებისთვის მეტისმეტად მოკლეა

პირველი გვერდიდან

**"15-მილიონიანი მატება, რომელიც ბიუჯეტის პროექტით არის გათვალისწინებული, მხოლოდ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის მონაწილეთა კვებასა და ხელფასებს თუ გასწვდება. ასე რომ, რეალური მატება არ არსებობს,"** - ამტკიცებს თავაძე და მოუწოდებს კოლეგებს, თუ მთავრობის მიდგომა არ შეიცვლება, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს მხარი არ დაუჭირონ. მირიან გოგიაშვილი პარლამენტარის ბრალდებებს დემარშით პასუხობს, სხდომათა დარბაზს ტოვებს და ძალოვან უწყებებს ემუქრება: **"კაპიკსაც ვერ მიიღებთ, ვიდრე ჯარისკაცებისა და ოფიცრების თანაფარდობას სტანდარტებთან შესაბამისობაში არ მოიყვანთ."**

ასეთი ემოციური ფონის მიუხედავად, პარლამენტში გუშინ გამართულ თავყრილობაზე რაიმე ახალი და განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. ისევე, როგორც გასულ წლებში, პარლამენტარებისა და ძალოვნების მოთხოვნა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელი სახსრების გამოყოფის თაობაზე ამჯერადაც, თითქმის ორჯერ აღემატებოდა ფინანსთა სამინისტროდან შესაბამისი თანხების "მიწოდების" შესაძლებლობას და კონფლიქტიც სწორედ ამ დისბალანსიდან მომდინარეობდა. მაგალითად, შედარებით ნორმალური ფუნქციონირებისთვის თავდაცვის სამინისტრო 2003 წელს 129 მილიონ ლარს ითხოვს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს ეს თანხა 80 მილიონამდე ჩამოჰყავს, ფინანსთა სამინისტრო კი მხოლოდ 57 მილიონის გაცემაზეა ყაბულს. დაახლოებით ანალოგიური სურათი და თანაფარდობაა დანარჩენი ძალოვანი უწყებების (საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, უშიშროების სამინისტრო, დაზვერვის სამსახური, შინაგანი ჯარი) ფინანსური უზრუნველყოფის კუთხითაც. საერთო ჯამში, ძალოვნების მიერ მოთხოვნილი, დაახლოებით, 300 მილიონი დოლარის ნაცვლად, მირიან გოგიაშვილის უწყება მხოლოდ 145 მილიონის "განაღდებაზე" გამოთქვამს მზადყოფნას.

მართალია, "მთხოვნელები" აღიარებენ, რომ 2003 წლის ბიუჯეტის შესაბამისი პარამეტრები, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესდა და, მაგალითად, სამომავლოდ გათვალისწინებული 57 მილიონი წლევანდელ 36 მილიონს "ნამდვილად სჯობია", მაგრამ იქვე დასძენენ, რომ, ახალი რეალობების გათვალისწინებით, ასეთი პროგრესი ბევრს არაფერს ნიშნავს. რაც შეეხება თავად "ახალ რეალობებს," ამის მაგალითად გუშინდელ სხდომაზე მოყვანილ იქნა ნატო-ს პრაღის სამიტზე პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ საქართველოს სახელით გაკეთებული განცხადება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ქვეყნის გაწევრიანების განზრახვის შესახებ და, ამ განცხადების პასუხად, რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ შესაძლო აგრესია.

**"ჩვენ სულ უფრო მზარდი საფრთხის პირობებში ვცხოვრობთ. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ახლო მომავალში დაძაბულობა საგრძნობლად მოიმატებს. ის დრო, როდესაც რუსეთი ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცეს არღვევდა და ერთ-ორ ბომბს ჩამოაგდებდა ხოლმე, შეიძლება, ტკბილი სიზმარივით სანატრელი გაგვიხდეს. გამორიცხული არ არის, საგარეო საფრთხესთან ერთად, ქვეყნის შიგნითაც დაიძაბოს სიტუაცია. დაზღვეული არ ვართ, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის - დედაქალაქში, ვითარება გამწვავდეს,"** - სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების უკეთ დაფინანსების მიზნით, ირაკლი ბათიაშვილის მიერ მოყვანილ ასეთ სერიოზულ არგუმენტზეც კი მირიან გოგიაშვილი წარბს არ იხრის.

**"მასწავლებლების ხელფასებს, ინვალიდთა თანხებს ან ენერგეტიკას რაღა ვუყო? ის საფრთხე, რაზედაც საუბრობთ, ენერგეტიკულმა კრიზისმაც შეიძლება გამოიწვიოს. თუ ასეა, მაშინ ბიუჯეტის პროექტი უკან უნდა გავიწვიოთ და ახალი შევიმუშაოთ,"** - ზომა-წონის თავისი "ეტალონი" აქვს ფინანსთა მინისტრს.



"გამოდის, ტყუილი გვითქვამს, რომ ნატო-ში შესვლა გვინდა".

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მირიან გოგიაშვილის ასეთი სიჯიუტის შემხედვარე, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს ისღა დარჩენიათ, სავალალო მდგომარეობის შესახებ ერთმანეთთან იწუწუნონ. **"თუ ასეთი ტენდენცია გაგრძელდება, პროფესიონალი კადრების კერძო სტრუქტურებში გადინება გარდაუვალი გახდება და შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ მე და შენღა დავრჩებით, ჩემო დავით,"** - თევზაძისკენ აპარებს უიმედო მზერას ვალერი ჩხეიძე. ამასთან, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე კატეგორიულად უარყოფს **"მაღალი ინსტანციებიდან გავრცელებულ ხმებს"** იმის შესახებ, რომ თითქოს, ბიუჯეტის შეუსრულებლობა, ძირითადად, საზღვრების დაუცველობის ბრალია.

**"მე შემიძლია, წარმოვადგინო ანალიტიკური მასალა, თუ რატომ არ სრულდება სახელმწიფო ბიუჯეტი და რაოდენად მიზერულია ამაში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ბრალი"**, - აცხადებს ვალერი ჩხეიძე.

ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ მისსა და თევზაძის ბედს ზოგიერთი კიდეც შენატრის. მაგალითად - დაზვერვის დეპარტამენტის შეფი ავთანდილ იოსელიანი. **"თავდაცვას და საზღვრის დაცვას უცხოელები მაინც ეხმარებიან, ჩვენ კი ყველასგან მივიწყებულები ვართ. შარშან ქვეყნის შიგნით სამივლინებო ხარჯებად სულ 500 ლარი გვქონდა გამოყოფილი. ან, განა შეიძლება, დაზვერვის დეპარტამენტს, დავალიანების ვერგადახდის გამო, ტელეფონები გამორთული ჰქონდეს?"** - უიმედოდ მოთქვამს ფინანსთა სამინისტროს მიერ "შეუმჩნეველი", ქვეყნის ნომერ პირველი მზვერავი.

ძალოვანთა მძიმე ხვედრით შეწუხებული, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, თავის მხრივ, დასძენს, რომ, ასეთ დაფინანსებას, ჯობს, თავდაცვითი უწყებები საერთოდ გაუქმდეს. **"გამოდის, ტყუილი გვითქვამს, რომ ნატო-ში შესვლა გვინდა. ქვეყნის თავდაცვა და უსაფრთხოება პრიორიტეტად არის გამოცხადებული და თავდაცვის სამინისტროს მხოლოდ 57 მილიონს ვაძლევთ?"** - ქვეყნის საგარეო ორიენტაციასა და ფინანსთა მინისტრის პოლიტიკას შორის ლოგიკას ვერ ხედავს ბათიაშვილი. მას მხოლოდ იმის იმედიღა აქვს, რომ პრეზიდენტს შეხვდება და შეეცდება, შევარდნაძე ძალოვანი უწყებებისთვის დაფინანსების გაზრდის აუცილებლობაში დაარწმუნოს.

თუ ვერც ეს მოხერხდება, ბათიაშვილის აზრით, დარჩება ერთადერთი გამოსავალი. **"პლენარულ სხდომაზე დასამტკიცებლად გატანილი 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ჩაგდებას შევეცდებით"**, - აცხადებს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

**P.S.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუშინ ფინანსთა მინისტრმა თავდაცვითი უწყება ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის თანაფარდობის სტანდარტის დარღვევაში დაადანაშაულა. გოგიაშვილის ამ ბრალდებას თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი დიმიტრი ლეჟავა კატეგორიულად უარყოფს. **"არსებული სტანდარტების მიხედვით, ოფიცერთა რაოდენობა სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 11-დან 20 პროცენტამდე უნდა იყოს. ეს მაჩვენებელი ამჟამად 15 პროცენტს არ აღემატება,"** - ამტკიცებს ლეჟავა.

**"კარგად ჩაიხედეთ სტანდარტებში და ნახავთ, როგორ ეტევით ნორმაში",** - "თავისი წილი სიმართლე" აქვს ფინანსთა მინისტრსაც.

# მეწარმეებო და კერძო მესაკუთრეებო, ემზადეთ საგანგებო ვითარებისთვის!

პირველი გვერდიდან

დასამტკიცებლად. თავის მხრივ საკანონმდებლო ორგანოში ომის, ზავისა და საომარი მდგომარეობის საკითხის დაკანონებას პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა სჭირდება.

თუ არ ჩავთვლით სამხედრო ძალების ყაზარმულ მდგომარეობაში გადაყვანის რამდენიმე პროფილაქტიკურ შემთხვევას, საქართველოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო ან საომარი მდგომარეობა არ გამოცხადებულა. როგორც საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული სამშვიდობო კურსი ცხადყოფს, ასეთ საგანგებო რეჟიმზე ქვეყნის გადაყვანის საფრთხე არც თვალსაწიერ მომავალში განიხილება.

მაგრამ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ფიქრობს, რომ ძალის თავი სწორედ ამგვარ თვითდამშვიდებაშია დამარხული, რის გამოც, გარედან აგრესიის შემთხვევაში, ქვეყნის შეიარაღებული ძალები, შესაძლოა, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

დავით თევზაძე: **"პრეზიდენტი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ბუნებრივია, იღებს გადაწყვეტილებას ჯარის გამოყენებაზე. სხვათა შორის, თავის დროზე, როცა კონსტიტუციაში ეს მუხლი იდებოდა, მთლად ნათლად არ ჩანდა, თუ ეს 48-საათიანი ლუფტი რას ნიშნავს. აი, ეს ლუფტი ქმნის ზუსტად იმას, რომ ჯარის გამოყენებაზე ჩვენ არა გვაქვს წარმოდგენა. ვთქვათ, ბრძანება მივიღე და 48 საათში დავიწყე მოძრაობა. კაი და შემდეგ პარლამენტმა უარი თქვა ამ ოპერაციაზე, მერე რას ვაკეთებ?"**

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ეს განცხადება სამხედრო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, 16 ნომბერს გააკეთა. თუმცა, იმ შეხვედრაზე იმდენი საგანგაშო რამ ითქვა, მათ შორის, პოტენციური მოწინააღმდეგე ქვეყნების საბრძოლო მზადყოფნაზე, რომ თევზაძის ეს განცხადება ყურადღების მიღმა დარჩა.

მაგრამ 27 ნოემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ კანონში ცვლილებების საკითხი წამოჭრა.

წინასწარი ინფორმაციის თანახმად, მოსალოდნელი იყო, რომ თევზაძე სწორედ ამ "48-საათიანი ლუფტის" შეცვლას, კერძოდ 48-საათიანი ვადის გაზრდას, ან პარლამენტისთვის ამ უფლების საერთოდ ჩამორთმევას დაუჭერდა მხარს.

ეს მოლოდინი არ გამართლდა. როგორც ჩანს, თავდაცვის სამინისტროში ბოლო მომენტში მიხვდნენ - საკონსტიტუციო ნორმის რევიზია იმდენად რთულ პროცედურას საჭიროებს, რომ ასეთი ცვლილებების საკითხის გატანა იმთავითვე დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდა პარლამენტში. გარდა ამისა, საკითხავია, აწყობს კი მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვის წინ დავით თევზაძეს პარლამენტარებთან საქმის გაფუჭება?

ამიტომ, როგორც ჩვენთან საუბარში საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უმაღლესი სამხედრო ინსპექციის უფროსმა, პოლკოვნიკმა გივი იუკურიძემ აღნიშნა, დავით თევზაძემ მთავრობის სხდომაზე ცვლილების შერბილებული ვარიანტი გამოიტანა. კერძოდ, ითხოვა, რომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი გავრცელდეს სხვადასხვა არასახელმწიფო სტრუქტურებზე.

გივი იუკურიძე: **"კანონში იყო ჩადებული, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ურთიერთობები საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს სახელმწიფო ორგანიზაციებთან. ახლა ამას ემატება არასახელმწიფო დაწესებულებების ვალდებულებები – მათი ქონების განკარგვა, მათი მოქმედება საომარი მდგომარეობის დროს, რაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში მიღებული ნორმაა."**

ამ ცვლილების მიხედვით, სამხედროებს უფლება ეძლევათ, გამოიყენონ კომერციული სტრუქტურების საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება და სატრანსპორტო საშუალებები. იუკურიძე დარწმუნებულია, რომ ამ ცვლილებას არ შეეწინააღმდეგებიან კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლები, რადგან მასში გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ფულადი კომპენსაციის გადახდა, ექსპლუატირებული ქონების სანაცვლოდ.

თუ როგორ უხდის სახელმწიფო ომისგან დაზარალებულ კერძო მესაკუთრეებს კომპენსაციას, ამის მაგალითად 1992-93 წლებში მიმდინარე აფხაზეთისა და სამოქალაქო ომების ისტორიის გახსენებაც იკმარებდა. მაშინ, სამხედროების ძალმომრეობის გამო, ბევრი სამეურნეო სუბიექტი, უბრალოდ, გაკოტრდა. მაგრამ კანონს უკუქმედების ძალა არა აქვს, ამიტომ არაფერი ეშველება იმ ქონებას, რაც საომარი მოქმედებების დროს განადგურდა. კომერციული სტრუქტურებისადმი სახელმწიფო ორგანიზაციების უცერემონიო დამოკიდებულების პირობებში, ვერც ის მეწარმეები იგრძნობენ თავს დამშვიდებულად, ვისი ქონებაც ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან აღრიცხვაზე აყვანას დაექვემდებარება. ამიტომ ერთადერთი, რისი იმედიც არასახელმწიფო სტრუქტურებს ამ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეთ, ისევ და ისევ მისი უდიდებულესობა კორუმპირებული სახელისუფლებო სისტემაა, რომელთანაც ჭკვიან მეწარმეს, არც ომის და არც მშვიდობის დროს, არ გაუჭირდება საერთო ენის გამონახვა.

# რუსეთი მხოლოდ ერთ-ერთი პრობლემაა

პირველი გვერდიდან

სამხრეთ ოსეთის) მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების მიკუთვნება; საქართველოს საჰაერო სივრცის საზღვრების დარღვევა "უცნობი" ობიექტების მიერ, რომლებიც შემოდიან საქართველოს საჰაერო სივრცეში და ტოვებენ მას მხოლოდ ერთი მხრიდან - ჩრდილოეთიდან; საქართველოს ტერიტორიიის დაბომბვა; საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის გაჭიანურება და საქართველოს მთავრობის მოთხოვნების უგულებელყოფა; და, რასაკვირველია, პანკისის ხეობის პრობლემა. ბატონ მიქელაძის გამოსვლაში დაიხატა რუსეთის დღევანდელი სახე - აგრესიული რეგიონული ძალა, რომელიც ვერ ეგუება ახალ რეალობას და თავისი იმპერიის დამხობის ფაქტს. ელჩმა მიქელაძემ დაასაბუთა, რომ საქართველოსთან ურთიერთობაში ვლინდება რუსეთის მძლავრი იმპერიალისტური პრეტენზიები, რომლებიც შეესაბამება პრიმაკოვის დოქტრინას - რუსეთმა უნდა შეინარჩუნოს კონტროლი ე.წ. "მახლობელ საზღვარგარეთზე".

ბატონმა ადამიამ დამსწრეთ გააცნო გაერო-ში ჩატარებული ღონისძიებები, რომელთა მიზანია საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა აფხაზეთის პრობლემისადმი. გაერო-ში საქართველოს ელჩი ადამია შეეხო მეტად მტკივნეულ თემებს, მათ შორის: 300,000 დროებით გადაადგილებულის მძიმე მდგომარეობას; რუსეთის მთავრობის წარმომადგენელთა უკანონო კონტაქტებს არაღიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკასთან; რუსული პასპორტების გავრცელებას აფხაზეთის ადგილობრივ მოსახლეობაში. საუბარი შეეხო სხვა საკითხებსაც, რომლებიც ხელს უშლის აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებას.

როგორც ითქვა, ხსენებული პრეზენტაციები მიზნად ისახავდა იმ საშიშროების გამოკვეთას, რომელსაც რუსეთი წარმოადგენდა საქართველოსთვის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში; ამასთან ერთად არ დასახელდა მრავალი სხვა საკითხი, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე.

შეუძლებელია რუსეთს დაბრალდეს საქართველოს ყველა საშინაო თუ საგარეო პრობლემა; საფიქრებელია, რომ რუსეთი ახერხებს საქართველოს მანიპულირებას სწორედ ამ უკანასკნელის სახელმწიფოებრივი სისუსტის გამო. ამავე დროს, საქართველოს დამოკიდებულება რუსეთისადმი ხშირად უაღრესად წინააღმდეგობრივია. რუსეთის აგრესიული ქმედების, 2002 წლის 6 აგვისტოს მოვლენების საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტმა განაცხადა, რომ საქართველო მზად არის, გავიდეს დსთ-ს რიგებიდან. თავის მხრივ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ არ დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას და თან არც კი ჩათვალა საჭიროდ აეხსნა, თუ რა მიზეზით უპირისპირდება იგი პარლამენტის გადაწყვეტილებას. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: შეიძლება კი, საქართველო რჩებოდეს რეგიონაული ორგანიზაციის რიგებში, სადაც იგი გაწევრიანდა სერიოზული ზეწოლის შედეგად და რომელშიც აშკარად დომინირებს ის სახელმწიფო (რუსეთი), რომლის ყოველი ნაბიჯი მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ?

ერთი სიტყვით, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი მეტწილად ბუნდოვანია და იგივე შთაბეჭდილებას ტოვებს ქვეყნის საშინაო საქმეებიც – მთავრობა ხშირად თითქოს ვერ ხვდება, რაოდენ მნიშვნელოვანია ეროვნული უშიშროება. 2002 წლის 13 სექტემბერს, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა დაადგინა თავდაცვის სექტორის დაფინანსების გაზრდა 11 მილიონი ლარით, რათა თავდაცვის სამინისტროს შეეძინა საჰაერო დაცვის შეიარაღება. მიუხედავად ამისა, თავდაცვის სამინისტრომ ეს თანხა ვერ მიიღო. პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა განაცხადა, რომ იგი უფლებამოსილია, უგულებელყოს კანონი და არ გადარიცხოს ხსენებული თანხა, რადგანაც სანდო წყაროდან მიღებული აქვს ინფორმაცია, რომ რუსეთი აღარ დაბომბავს საქართველოს ტერიტორიას(?!).

რუსეთის მხრივ საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯების განხილვა განუყოფელია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ზოგადი კონტექსტისაგან. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ საქართველო ართულებს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებს - ეს პატარა, თითქოს უმნიშვნელო სახელმწიფო ბოლო ხანებში იქცა განხეთქილების ვაშლად, რომელიც არღვევს ორი დიდი სახელმწიფოს ახლადჩასახულ მეგობრობას. სინამდვილეში კი, საქართველოსადმი დამოკიდებულება ააშკარავებს პრეზიდენტ პუტინის ჭეშმარიტ ზრახვებს. პუტინის ხელისუფლება აცხადებს თავს ამერიკისა და თავისუფლების დიდ მეგობრად და, ამავე დროს, ინარჩუნებს და კიდეც აღრმავებს პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ კავშირებს "ბოროტების ღერძის" სამივე სახელმწიფოსთან. თავისთავად იბადება კითხვა, რამდენად გულწრფელია რუსეთის სურვილი, გახდეს ლიბერალურ-დემოკრატიული დასავლეთის მოკავშირე და მეგობარი?

საშინაო სფეროში რუსეთი უკვე დაუბრუნდა ავტორიტარულ მმართველობას: იქ იზღუდება თავისუფალი პრესის უფლებები, მიმდინარეობს მშვიდობიანი მოსახლეობის მასიური განადგურება ჩეჩნეთში და სხვა. სწორედ ყოველივე ეს ართულებს ე.წ. მეგობრობას ამერიკასა და რუსეთს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ეს მეგობრობა საქართველოში გამოიცდება. თუ პრეზიდენტ პუტინს მართლაც სურს ააშენოს ახალი რუსეთი, მან უნდა დაანებოს თავი საქართველოს და მისცეს ამ სახელმწიფოს საშუალება, იაროს თავისი გზით - დასავლეთისა და ნატო-სკენ. ხოლო თუ პრეზიდენტი პუტინი მხოლოდ თვალთმაქცობს, ამით ის კიდევ უფრო დაძაბავს ურთიერთობას საქართველოსა და რუსეთს შორის. ამდენად, საქართველოს მაგალითზე ბუშის ადმინისტრაციას ეძლევა შანსი, გამოავლინოს რუსეთის ჭეშმარიტი ზრახვები; ვიმედოვნებთ, რომ თეთრი სახლი არ გაუშვებს ხელიდან ასეთ შესაძლებლობას.


GSM
24 საათი
1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია "24 საათი"-ს ყველა მკითხველს.
2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მოცემული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაი-სიმბარათი
3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1; 2; 3; (მნიშვნელობა არ აქვს, რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).
4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის დილერთან ან დისტრიბუტორთან, ქვემოთ მოცემულ მისამართებზე. თქვენ იხდით 20 ლარს, ისევე თქვენი სასაჩუქრო დროისთვის და იღებთ ლაილაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაილაი-სიმბარათი +20 ლარის ლირებულების სასაჩუქრო დრო)
5 აქცია ძალაშია 2002 წლის 5 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე
6 ჯეოსელის დილერები და დისტრიბუტორები კუპონებს გადაცვლიან 2003 წლის 18 იანვრამდე
დისტრიბუტორები:
დილერები (თბილისი):
რეგიონები:




# სისხლის სამართლის საქმეები ენერგოსექტორში - სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

*სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართულ, ენერგოკომისიის გუშინდელ სპეციალურ სხდომაზე უმთავრეს განსახილველ საკითხს ენერგოსექტორში აღმოჩენილი დანაშაულებრივი ფაქტები წარმოადგენდა. თავდაპირველად ამ თემაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ ხაჟალიამ ისაუბრა. მისი განცხადებით აღძრულია სისხლის-სამართლის 28 საქმე, რომლებშიც ფიგურირებენ პარლამენტარი დავით ბეჟუაშვილი და სახელმწიფო ქონების მართვის ყოფილი მინისტრი ავთანდილ სილაგაძე. ბეჟუაშვილის საპარლამენტო იმუნიტეტის გამო, მისი საქმე გადაცემულია პროკურატურაში.*

ნინო ნარჩემაშვილი

შემდეგ სხდომა საქართველოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელს უსმენდა. სულხან მოლაშვილის განცხადებით, გასულ კვირას, მისი უწყების მიერ გამოძიებული მასალების საფუძველზე, პასუხისგებაში მიეცა "თბილგაზის" ყოფილი ხელმძღვანელი გოზალიშვილი და მისი მოადგილე, იმ მოტივით, რომ ისინი თავს არიდებდნენ გადასახადების გადახდას და ფარავდნენ შემოსავლებს. ამის დასტურად კონტროლის პალატას მოჰყავს ფაქტი, რომ დანაკარგებმა "თბილგაზში" 1998 წელს - 41, 1999 წელს - 50, ხოლო 2000 წელს 60 პროცენტი შეადგინა. გარდა ამისა, პრეზიდენტის განკარგულებით, "თბილგაზს" სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ვალის დასაფარად გამოეყო 15 მილიონი ლარი, რომელიც კომპანიამ, ფაქტობრივად, მიითვისა, რადგან პარალელურად მოსახლეობიდანაც მოხდა ამ თანხის ამოღება. **"ენერგოსისტემაში შექმნილი მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ თუ კონტროლის პალატის იურიდიული უფლებამოსილება გაფართოვდება, სამომავლოდ უფრო შთამბეჭდავ სურათს მივიღებთ და დასკვნებიც, შესაბამისად, გამოძიებისათვის მეტად გამოსადეგი გახდება,"** – განაცხადა სულხან მოლაშვილმა და პარლამენტში კონტროლის პალატის იურიდიული უფლებამოსილების გაფართოების შესახებ კანონპროექტის წარდგენის უფლება მოითხოვა. გარდა ამისა, კონტროლის პალატის შეფმა კატეგორიულად მოითხოვა კომერციულ ბანკებში არსებული სახელმწიფო ორგანიზაციების ანგარიშების შემოწმება და განაცხადა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშვნელოვნად ზარალდება იმით, რომ ეს ანგარიშები არა ეროვნულ ბანკს, არამედ კომერციულ ბანკებს აბარია.

## მოკლედ

**თბილისი**. საქართველოში შავი ფულის გათეთრების შემთხვევები 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აღარ დაფიქსირებულა. როგორც კავკას-პრესს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განუცხადა, პანკისთან დაკავშირებით არსებობდა ერთი შემთხვევა, როცა საქმე ეხებოდა ნაღდ ფულს და ერთი შემთხვევა - საბანკო ანგარიშსწორებით. ვალერი ხაბურძანიას თქმით, ეს პირველი პრობლემა რამდენიმე მილიონ დოლარს ეხებოდა, მეორე კი - 600 ათას დოლარს. "თუმცა, გამოძიების ფედერალური სამსახურის ჩარევით გაირკვა, რომ კვალი საქართველომდე არ მოდიოდა," - განაცხადა ხაბურძანიამ. მინისტრის მტკიცების მიუხედავად, გუშინ მთავრობის სხდომაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ მაინც წარმოადგინა კანონპროექტი შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ტრასეკა-ს ფარგლებში - აზერბაიჯანი, საქართველო, უზბეკეთი და თურქმენეთი აპირებენ მემორანდუმის ხელმოწერას უფრო ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად ავღანეთსა და ცენტრალურ აზიაში სპეციალური და ჰუმანიტარული ტვირთების ტრანსპორტირების პირობებთან დაკავშირებით. როგორც კავკას-პრესს ტრასეკა-ს სამთავრობათაშორისო კომისიის მუდმივი სამდივნოდან აცნობეს, ეს დოკუმენტი უკვე შეთანხმებულია სპეციალისტებთან და დასამტკიცებლად წარედგინა ამ ქვეყნების მთავრობებს. მემორანდუმის თანახმად, ზემოთ ხსენებული ტვირთების რკინიგზით და გემებით ტრანსპორტირებისათვის ამ ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ შეღავათიანი ტარიფები. არსებული ტარიფების დონე მნიშვნელოვნად არის შემცირებული - 15-30-ის ფარგლებში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართულ თათბირზე ენერგოსისტემაში დღეს არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც დეფიციტური, რომლის გამოსასწორებლად საჭიროა რუსეთიდან იმპორტის დაწყება და „ეი-ი-ეს მტკვრის" მეცხრე ენერგობლოკის ჩართვა. როგორც თათბირზე გაირკვა, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის თაობაზე ხელშეკრულება ბოლომდე არ არის მიყვანილი. სემეკის თავმჯდომარის ელიზბარ ერისთავის თქმით, გუშინ, საღამოს 9 საათზე ხელშეკრულებაზე ხელი არ იყო მოწერილი. ენერგეტიკოსები აცხადებენ, რომ საკითხი უმოკლეს დროში მოგვარდება და იმპორტი ოპტიმალურ დროში დაიწყება რუსეთიდან, გარდა ამისა, ითქვა, რომ გადასაჭრელია მე-3-4 ბლოკებისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხიც. ამჟამად საქართველოს ენერგოსისტემაში არის 860 მგვტ. ელექტროენერგია. შეწყვეტილია აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის იმპორტი, რადგან აზერბაიჯანს გაზის მომარაგება შეუწყვიტა რუსეთმა და სრესი გაჩერებულია. ენგურჰესზე მუშაობს ორი აგრეგატი. ერთი ავარიულად არის გამორთული და ენგურჰესი გამოიმუშავებს 450 მგვტ-ს. თბილისს მიეწოდება 350 მგვტ სიმძლავრე, დანარჩენი კი - რეგიონებს, აფხაზეთს მიეწოდება 130-150 მგვტ. ***მედია-ნიუსი.***

■ ■ ■

**თბილისი.** „ბი-პი"-ს აზერბაიჯანის წარმომადგენლობის პრეზიდენტი, დევიდ ვუდვორდი დღეს თბილისში ჩამოდის. როგორც „მედია-ნიუსს" „ბი-პის" საქართველოს წარმომადგენლობაში აცნობეს, მისი ვიზიტის მიზანია ექსპერტებთან შეხვედრებში მონაწილეობა და სადავო საკითხების განხილვა. „ბი-პი" ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან შეხვედრებს მთელი მიმდინარე კვირის განმავლობაში მართავს. შეხვედრების მიზანია ბაქო-თბილის-ჯეიჰანის პროექტთან დაკავშირებით სადავო საკითხებზე შეთანხმების მიღწევა. გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ამ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის განხილვის შედეგად პროექტის ძირითად ინვესტორს - „ბი-პი"-ს 32 შეკითხვა გაუგზავნა. „ბი-პი"-ში აცხადებენ, რომ ყველა შეკითხვაზე გასცემენ კომპეტენტურ და არგუმენტირებულ პასუხს. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე ნებართვა დეკემბრის ბოლომდე უნდა გასცეს. ***მედია-ნიუსი.***

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 23 – 29 ნოემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.644 | 0.6396 | 0.0053 |
| US$ | 1.5529 | | 0.9931 | 0.0082 |
| €uro | 1.5635 | 1.0069 | | 0.0082 |
| ¥en | 189.77 | 122.22 | 121.34 | |

# კორუფციული სქემები ენერგეტიკაში

## სისტემა დანგრეულია, ხალხი უშუქოდაა დარჩენილი, მთავრობა კი დუმს

მაია ურუშაძე

*გუშინ პარლამენტის კინოდარბაზში ენერგეტიკის დარგში არსებული კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი ჩუბინიშვილმა, როგორც იქნა, მოახერხა და საზოგადოებას გააცნო კომისიის მიერ შესწავლილი მასალები. როგორც ამ მასალებიდან ირკვევა, საქართველოს ეკონომიკას აღმასვლა არ ელის, თუ ელექტროენერგეტიკაში არსებული კორუფციული "შავი ხვრელი" არ ამოიქოლება. სანამ ქვეყნის ყველაზე რენტაბელური დარგი კატასტროფის წინაშე დგას და დაუსრულებლად იწოვს ფინანსებს, ქვეყნის ეკონომიკას განვითარების საშუალება არ მიეცემა.*

**"სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ვერ მართავს დარგს და ვერ ახორციელებს სახელმწიფო ენერგეტიკულ პოლიტიკას,** - ასე დაიწყო თავისი გამოსვლა გუშინ ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჩუბინიშვილმა, - **მეტიც, ის თავად არის ჩართული იმ კორუფციულ სქემაში, რომლის გამოც დარგი გაჩანაგებულია."**

1989 წელთან შედარებით, ქვეყნის ელექტროსადგურების გამომუშავების წლიურმა მაჩვენებელმა, თითქმის, სამჯერ იკლო. გამოდის, რომ ათი წლის მანძილზე ხელისუფლება ელექტროენერგეტიკის აღორძინებისთვის ან არასწორ ნაბიჯებს დგამდა, ან დარგის ნგრევას საგანგებოდ უწყობდა ხელს. საბოლოოდ, ენერგეტიკა კატასტროფამდე მიიყვანა კორუმპირებულმა სქემებმა, რომლებიც ბევრჯერ გამოვლინდა, მაგრამ ვერ აღმოიფხვრა.

ენერგეტიკაში უკვე გახსნილი "საქმეები" ძალიან ბევრია. სხვადასხვა ფირმებისა და ორგანიზაციების მიერ, "საქენერგოსთან", "ელექტროგადაცემასთან", "თბილსრესთან", "ენერგოგენერაციასთან", საბითუმო ბაზართან, საქართველოს გაერთიანებულ ენერგოკომპანიასთან და სხვადასხვა მნიშვნელოვან ელექტროენერგეტიკულ სტრუქტურებთან დადებული გარიგებების შედეგად, სახელმწიფოს ასტრონომიული ზარალი მიადგა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ კორუფციასთან ერთად, კრედიტების არაეფექტურ ათვისებასა და განუკითხაობას დარგის არასწორი მენეჯმენტიც განაპირობებს.

**"2002 წელს შეიქმნა გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია, რომელმაც დაკისრებული მოვალეობის შესრულება – ელექტროენერგეტიკის კუთვნილი თანხების ამოღება - ვერ მოახერხა. ამავე პერიოდში, იგივე სტატუსით, შექმნილია სხვადასხვა შპს-ები და მათზე გაცემულია ანალოგიური ლიცენზიები. ამ დროს კი ეს კომპანია კვლავ ვალებს იგროვებს. რა ხდება?"** – კითხულობს ირაკლი ჩუბინიშვილი.

ამდენად, დარგის ნგრევის პროცესი დღესაც გრძელდება. ელექტროენერგეტიკის კუთვნილი თანხები ერთი მევალის ანგარიშიდან, მევალეთა გრძელი ჯაჭვის გავლით, ურთიერთჩათვლებით, კერძო ფირმების ანგარიშებისკენ "მოგზაურობენ". შედეგად, ხდება პასუხისმგებლობის გადათამაშება, რაც დარგში ვითარებას უკონტროლოს ხდის და კრიზისს კიდევ უფრო ამძიმებს. სხვათა შორის, ენერგეტიკის დარგისთვის საზარალო განკარგულებათა უმრავლესობას პირადად სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ვიზა ადევს.

მოკლედ, ირაკლი ჩუბინიშვილმა მთავრობასა და პარლამენტს წინ ზოგი ახალი, ზოგი კი ძველი, მაგრამ რეაგირების გარეშე დარჩენილი დოკუმენტები დაულაგა. ამ მასალებს პრეზიდენტი შევარდნაძე, დიდი ხანია, იცნობს. მათ შორისაა "აშოცკი-ნინოწმინდის" ელექტროგადამცემი ხაზის უკანონო მშენებლობაც, რაც "არმენერგომ" უშუალოდ დავით მირცხულავას ხელშეწყობით განახორციელა.

ამ ხაზის მშენებლობას კატეგორიული მოწინააღმდეგეები ჰყავდა. წინააღმდეგობას არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მოტივიც



დავით მირცხულავა

გააჩნდა და, არცთუ უსაფუძვლოდ. **"სამინისტროში არსებობს უარყოფითი მოსაზრებები და დოკუმენტები ამ ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით,"** – წერია ცნობაში, რომლის საფუძველზეც გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ ჯერ კიდევ სექტემბერში მიაწოდა პრეზიდენტს ინფორმაცია "აშოცკი-ნინოწმინდის" ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისას, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას, მინისტრის პირველი მოადგილის ნუგზარ უფლისაშვილისა და სხვა თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებების შესახებ." თუმცა, ხაზი აშენდა და მისი საშუალებით, ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების ელექტროკვება, შემდგომ კი სომხეთის ენერგოსისტემის მიერ ელექტორენერგიის საფასურის ამოღება, სრულიად უკონტროლო გახდა. ამის გამო ქვეყანამ ას ათი ათასი ლარით იზარალა, საიდანაც ოცდახუთი ათასი – ნინოწმინდის ელექტროგამანაწილებელ კომპანია "ელექტროსვეტზე", ოთხმოცდახუთი ათასი კი – ახალქალაქის ელექტროგამანაწილებელ კომპანიაზე მოდის, თავად ენერგოსექტორის ზარალი გაცილებით მეტია.

გენერალური პროკურორის მოადგილე ბადრი ბიწაძე აცხადებს: **"პროკურატურა ამ საქმეს სწავლობს და მირცხულავა-უფლისაშვილის საკითხი უმოკლეს დროში გადაწყდება".** სემეკის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი კი მიიჩნევს, რომ **"იმ დროს, როცა ქართული ენერგოსისტემა 300 მლნ. ლარით გაიძარცვა და ამაზე პასუხი არავინ აგო, დაუშვებელია, მირცხულავას, თუნდაც უკანონო გადამცემი ხაზის მშენებლობის გამო, ვინმემ პასუხი მოსთხოვოს, ვინაიდან სწორედ "აშოცკი-ნინოწმინდის" გადამცემი ხაზის დამსახურებაა, რომ ერთ-ერთ სტრატეგიულ რეგიონში ენერგოკრიზისი არ არსებობს."** ირაკლი ჩუბინიშვილის თქმით, **"აღნიშნული ფაქტი საქართველოს ნებისმიერ მეზობელს ანალოგიური ქმედებისკენ უბიძგებს".**

სხვათა შორის, იმ ინფორმაციისთვის, რომელიც პრეზიდენტისთვის მოამზადა პროკურატურამ, გენერალური პროკურორს ხელი, ჯერჯერობით, არ მოუწერია.

მეორე საქმე, რომელიც მირცხულავას წინააღმდეგ სომხეთთან კავშირზე მეტყველებს, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ხელშეწყობით 2,5 მილიონი დოლარის დატაცებას ეხება. ამ გარიგებაში სემეკი და საბითუმო ბაზარი მონაწილეობენ. საქმე ისაა, რომ პრეზიდენტმა სემეკს მიმართა თხოვნით, მოემსახუროს მეზობელი ქვეყნების ვალებს, ეს საქმე კი, რატომღაც, გადაიწერა საბითუმო ბაზარმა. **"ამის უკან დგას ის, რომ სომხეთის 4,4-მილიონდოლარიანი ვალის ამოღება მირცხულავამ სომხურ კორპორაციას გადააბარა, მან კი საბითუმო ბაზრისგან 6,8 მილიონი დოლარი**



ელიზბარ ერისთავი

**მოითხოვა და, რატომღაც, მიიღო კიდეც,"** – აცხადებს ჩუბინიშვილი.

კომისიის ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ საბითუმო ბაზრის მიერ ენგურჰესი წლიურად სამი პროცენტით ფინანსდება, თბილსრესი კი – 200-ით. თანაც, ეს დაფინანსება ბუღალტრულად არსად ფიგურირებს. **"ეს თანხები ვალების ანგარიშში კერძო ფირმების ანგარიშზე მიდის, ამ დროს კი თბილსრესი ხელფასებს არ არიგებს, რაც პერმანენტული გაფიცვების საბაბი ხდება,"** – ამბობს ჩუბინიშვილი.

**"ნაღდი ფულის მოძრაობა ერთი და იგივე სქემით ხდება. კომპანიები, ვალების არსებობის მოტივით, თანხას ერთმანეთს უთვლიან. ბოლოს კი ეს ფული კერძო ანგარიშებზე ხვდება,"** – განმარტა უშიშროების მინისტრის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა.

ირაკლი ჩუბინიშვილს საბითუმო ბაზართან სხვა პრეტენზიებიც აქვს. **"ის ასოციაციაა და სამეურნეო საქმიანობას არ უნდა ეწეოდეს. ფაქტობრივად კი, დენის გადამყიდველის როლში გამოდის. შედეგად, ის ენერგოვალების დაგროვების იარაღად იქცა, რადგან წამგებიან ხელშეკრულებებს აფორმებს,"** – მიიჩნევს ჩუბინიშვილი და დასძენს, რომ წაგებიანი ხელშეკრულება საშუალებას აძლევს "აზოტს", უჩივლოს საბითუმო ბაზარს და გააკოტროს იგი, რაც "აზოტმა" ერთხელ უკვე ჩაიდინა "საქენერგოსთან" მიმართებაში და 29 მილიონი ლარი აართვა მას.

ცალკე თემაა "ორთაჭალჰესის" იჯარით გაცემის ხელშეკრულება, რომელიც კონკურსის გარეშე, ქონების მართვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად გაფორმდა. 24 მეგავატი სიმძლავრის "ორთაჭალჰესის" იჯარისათვის მოიჯარე ყოველწლიურად სულ 16 ათას ლარს იხდის. **"იჯარის გადასახადად ფორმდება ის თანხები, რასაც სადგური მიმდინარე რემონტებზე ხარჯავს. შედეგად იმ ჯგუფს, რომელსაც სადგური იჯარით აქვს აღებული, აშკარად მისი ხელში ჩაგდება უნდა. ანუ, კვლავ გრძელდება ის განუკითხაობა, როცა ჰესები კაპიკებად გაიყიდა,"** – აცხადებს ჩუბინიშვილი.

**"არის საქმეები, რომელთაც შსს იძიებდა და მათი ბედი დღემდე გაურკვეველია. კონტროლის პალატა ყოველ ანგარიშში წერს ენერგეტიკაში არსებულ დატაცებებზე, მაგრამ რეაგირება არ ხდება. იმ ხალხს კი, ვინც ჩვენს კომისიაში მუშაობს, დევნიან, სამსახურიდან ითხოვენ და ყველანაირად ავიწროებენ,"** – აცხადებს იგი.

ჩუბინიშვილმა გუშინ ძველი საქმეებიც - "საქენერგო-2000"-ის, "რელასის" უკანონო პრივატიზაციის, "ფა-პეტის", "იბერია-პრაიმ კაპიტალისა" და სხვა დანაშაულებრივი გარიგებები გაიხსენა. "ფა-პეტს" სიყალბით დაგროვილი ვალების საშუალებით "ფეროს" პრივატიზაცია აქვს დაგეგმილი – მან საკონტროლო პაკეტზე უკვე გამოთქვა პრეტენზია. გამდიდრების ანალოგიური სცენარი ერთობ მიღებულია "საქენერგოს" პრაქტიკაში, რადგან მსგავსი მაქინაციებით დიდძალი კაპიტალი დააგროვა კერძო ფირმა "იბერია-პრაიმ-კაპიტალმაც", რომლის დამფუძნებელთა შორის ენერგოსექტორის ყოფილ და ამჟამინდელ თანამდებობის პირთა გვარები ფიგურირებს, ხოლო მიღმა – კიდევ უფრო გავლენიანი ძალები დგანან. "იბერია-პრაიმ კაპიტალი" ფინანსურ მაქინაციებს აწარმოებდა რუსეთის ჯარებთან და თბილსრესის ფულიც აქვს მითვისებული. "საქენერგოს" იურისტ თემურ ჯღამაძის შემოსავალმა კი, "შავი ფულის სარეცხი" ფინანსური ოპერაციების წყალობით, დღეში 700 000 ლარს მიაღწია.

აქვე უშიშროების მინისტრის მოადგილემ დამატებითი "საქმე" გააცნო კომისიას: **"ჩვენ შევისწავლეთ რუსული კომპანია "დრუჟბას" საქმე. მან 1 მლნ დოლარის მაზუთი მიაწოდა თბილსრესს, რისთვისაც მაღალი საპროცენტო განაკვეთის კაბალური ხელშეკრულება დადო, მერე კი ვალები რუსულ "ოგას" გადაულოცა. შედგა სქემა: რკინიგზას ბაზრის ვალი ემართა, ბაზარს – თბილსრესის, თბილსრესს კი – "ოგას" ვალი აღმოაჩნდა. ამ თანხამ წერილებით იმოგზაურა და რკინიგზიდან "ოგას" ანგარიშზე მოხვდა. სამწუხაროდ, მტკიცებულებები განადგურებულია, რის გამოც უშიშროება უკვე ველარაფერს გააწყობს."**

ბადრი ბიწაძის განცხადებით, **"ფა-პეტთან" დაკავშირებით აღძრულია საქმე და ის სასამართლოში წავა. ასევე, ციხეში ჩაჯდება ვინმე ცხვარაძე ("იბერია-პრაიმ კაპიტალი"), რომელიც ძებნაშია. საკრებულოს ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნოემბერში შევისწავლეთ სემეკის საქმეც, რის შედეგადაც დაისჯებიან ელიზბარ ერისთავი, ელდარ ჩომახიძე და პაატა ცინცაძე."**

სემეკ-ს ტარიფის 6-დან 12 თეთრამდე უკანონოდ გაზრდისთვის ხელშეწყობაში ედება ბრალი. ელექტროენერგეტიკაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია სემეკ-ს ელექტროენერგიის ტარიფში, "ეი-ი-ეს"-ის მიერ განხორციელებული ინვესტიციიდან 260 მლნ. ლარის ორჯერ ასახვაში ადანაშაულებს. ამის გამო საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მისი სამივე წევრის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა.

ჩუბინიშვილს პრეტენზიები აქვს "ეი-ი-ესთანაც". **"ეჭვი მაქვს, რომ რაც "თელასში" ხდება, ირიბარენმაც არ იცის,"** – აცხადებს იგი.

საბოლოოდ, გაირკვა, რომ სათბობ-ენერგეტიკულ სექტორში ჩადენილ დანაშაულებზე სულ სისხლის სამართლის 28 საქმეა აღძრული. მათგან ოთხ საქმეზე სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი უკვე გამოიტანა.

თუმცა, ნაცვლიშვილის აზრით, საქმეს ეს არ უშველის. **"სქემები კვლავ არსებობს. ხალხი – დენის გარეშეა, თანამდებობის პირები კი ძველ ადგილებს ინარჩუნებენ. კორუფციას ეკონომიკური ბერკეტებით უნდა ვებრძოლოთ. ჩათვლები უნდა აიკრძალოს,"** – მიიჩნევს ნაცვლიშვილი.

**"ენერგოსტრუქტურა საგანგებოდ არის მოწყობილი იმისთვის, რომ ეს სქემები არსებობდეს. ეს თანამდებობის პირთა მიერ მოფიქრებული სქემებია,"** – აცხადებს ბადრი ბიწაძე.

**"მე ამ საქმეებს ბოლომდე გავყვები. მართალია, მთავრობის მხრიდან რეაგირება არ არის, მაგრამ არც მე ვაპირებ დუმილს,"** – აცხადებს ჩუბინიშვილი.

ჩუბინიშვილის კომისიამ ენერგოკრიზისის დასაძლევად მთავრობას 13 რეკომენდაცია მოუმზადა. ამ რეკომენდაციების მიხედვით, პარლამენტი მთავრობას, პირველ რიგში, უკვე გამოძიებულ საქმეებზე რეაგირებას ურჩევს. გარდა ამისა, კომისია მთავრობას "ეი-ი-ეს"-თან გაფორმებული ხელშეკრულების გადახედვას, ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებასა და ტარიფის ოპტიმიზაციასაც სთხოვს.

# მირიან გოგიაშვილის საკითხს პლენარულ სხდომაზე განიხილავენ

სოფიკო ოხანაშვილი

*გუშინ კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ, პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის გამოუცხადებლობის გამო, ბიუჯეტთან დაკავშირებული ყველა საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა, განუსაზღვრელი დროით გადადო და შეხვედრაზე მისული ფინანსთა მინისტრის მოადგილეები - ვასილ გიგოლაშვილი და ლევან ჩრდილელი - სხდომიდან დაითხოვა. კომიტეტის დასკვნის გარეშე 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ვერ გავა. კომიტეტის დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი თემის ჩაშლის მიუხედავად, კომიტეტმა მუშაობა განაგრძო და "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებისა და "ეროვნული ბანკის 2003 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების" კანონპროექტები განიხილა. კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მათში აღმოჩენილი რამდენიმე სადავო პუნქტის გამო, მუშა ჯგუფმა ორშაბათამდე კიდევ ერთხელ შეისწავლოს ეს კანონპროექტები და უკვე შესწორებული ვარიანტები წარადგინონ პლენარულ სხდომაზე.*

**"მე არ ვაპირებ ფინანსთა მინისტრთან ასეთ რეჟიმში მუშაობას",** – აღშფოთდა ზაზა სიორიძე, როცა სხდომაზე მირიან გოგიაშვილი არ გამოცხადდა. თავმჯდომარის პოზიცია კომიტეტის წევრებმა და სტუმრებმაც გაიზიარეს. ფინანსთა მინისტრის საქციელი განსაკუთრებით მკაცრად შეაფასა პარლამენტის რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ ნავაძემ. მან მირიან გოგიაშვილი უყურადღებობასა და თავის, კომიტეტისადმი აგდებულ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა და ფინანსთა მინისტრის საკითხის დაყენება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გადაწყვიტა. **"წერტილი უნდა დაესვას ფინანსთა მინისტრის ასეთ საქციელს",** - განაცხადა ნავაძემ.

მირიან გოგიაშვილის არყოფნა "საპატიო მიზეზით" ახსნა. ვასილ გიგოლაშვილმა. მისი თქმით, მინისტრი იმ დროს საქართველოს პრეზიდენტთან იმყოფებოდა.

ზაზა სიორიძემ დღის წესრიგიდან მოხსნა ყველა ის საკითხი, რაც ფინანსთა სამინისტროს უკავშირდებოდა. კომიტეტს, 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის შემაჯამებელი განხილვის გარდა, დაგეგმილი ჰქონდა საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 10 თვის შესრულების შესახებ ინფორმაციის მოსმენა, საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და „საგადასახადო კოდექსში" შესატან ცვლილებათა პროექტზე მსჯელობა, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ და პარლამენტმა ერთობლივად შეიმუშავეს.

საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტმა (ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების წასვლის შემდეგ) "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატების და "ეროვნული ბანკის 2003 წლის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების" კანონპროექტები განიხილა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის განცხადებით, ცვლილებებისა და დამატებების პაკეტის შემუშავება განაპირობა უშუალოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნამ. საქართველოში ჩამოსულმა სავალუტო ფონდის ტექნიკურმა მისიამ დაასკვნა, რომ რამდენიმე წლის წინ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ამიტომ აუცილებელია "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონში ცვლილებების განხორციელება. ირაკლი მანაგაძის ამ განცხადებას გამოეპასუხა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ჯავახიშვილი. მან აღნიშნა, რომ ვისი მოთხოვნაც არ უნდა იყოს "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა, პარლამენტარები მხარს არ დაუჭერენ, თუ არ დარწმუნდებიან კანონპროექტის აუცილებლობასა და ლოგიკურობაში. ეროვნული ბანკისა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული ცვლილებების თანახმად, გაუქმდება კერძო პირთათვის დაწესებული შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც, კერძო პირს ეკრძალება, კომერციული ბანკის 25 პროცენტზე მეტი წილის მფლობელი იყოს. კანონპროექტის ავტორები ამ შეზღუდვის არსებობას ზედმეტად მიიჩნევენ, რასაც ეროვნული ბანკის მკაცრი კონტროლის მექანიზმის შემოღებით ხსნიან. ცვლილებების თანახმად, ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც ერთ პირს არ აქვს უფლება შეიძინოს, ფლობდეს ან გაასხვისოს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილი. კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენასა და ფლობაზე ეროვნული ბანკის მიერ წერილობითი თანხმობა გაიცემა არაუგვიანეს სამი თვის ვადაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პირი შეესაბამება კომერციული ბანკის ადმინისტრატორთა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა მიმართ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ შეფასების კრიტერიუმებს.

ირაკლი მანაგაძემ კომიტეტის სხდომაზე წარადგინა 2003 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტი. მისი თქმით, ამ დოკუმენტის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ინფლაციის ზომიერად დაბალი ტემპის შენარჩუნება. მანაგაძის განცხადებით, 2003 წლისთვის ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს, რომ სამომხმარებლო ფასების ინფლაციის წლიურმა ტემპმა არ გადააჭარბოს 5 პროცენტს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თქმით, 2003 წელს ასევე გათვალისწინებულია სარეზერვო თანხის რვა-ათი პროცენტით ზრდა, რაც, ძირითადად, საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო აქტივების აკუმულირების ხარჯზე განხორციელდება. აქტივების უმთავრეს წყაროებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნებისგან მიღებული ფინანსური დახმარება წარმოადგენს. მანაგაძის განცხადებით, ადგილობრივი პროდუქციის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის ხელშეწყობა კვლავ დარჩება სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად.

კომიტეტმა დაასკვნა, რომ განხილული კანონპროექტების ცალკეული პუნქტები პლენარულ სხდომაზე გატანამდე დამუშავებას და შესწორებას საჭიროებს. ზაზა სიორიძემ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას, სადავო პუნქტებთან დაკავშირებით, დამატებითი სამუშაო შეხვედრები შესთავაზა, სადაც სპეციალურად შექმნილი ჯგუფი კიდევ ერთხელ დაწვრილებით განიხილავს ცალკეულ სადავო საკითხებს, რათა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის შეთანხმებული ვარიანტი ორშაბათს მაინც წარადგინონ. სამუშაო ჯგუფი კომიტეტის სხდომის დამთავრებისთანავე შეუდგა სადავო საკითხებზე მსჯელობას.

# ტერაქტების სერია ებრაელების წინააღმდეგ

გუშინ ებრაელი მოქალაქეების წინააღმდეგ ტერორისტული აქტის სამი მცდელობა განხორციელდა. ორი ტერაქტი "წარმატებული" აღმოჩნდა და მათი მსხვერპლის საერთო რიცხვმა ოცს გადააჭარბა.

ყველაფერი დილით კენიის ქალაქ მომბასაში დაიწყო. სასტუმრო "პარადისის" ვესტიბიულში მძლავრი აფეთქება მოხდა. სასტუმრო ებრაელი წარმოშობის პიროვნებას ეკუთვნის. აფეთქების მომენტში სასტუმროში 140 ებრაელი ტურისტი იმყოფებოდა. ტერაქტის შედეგად, სულ ცოტა, 11 ადამიანი დაიღუპა. არიან დაჭრილებიც, მათ შორის 7 ბავშვია. ისრაელის მთავრობის წარმომადგენელთა განცხადების თანახმად, დაღუპულთა ზუსტი რიცხვის დასახელება ამ მომენტისათვის რთულია. დაახლოებით, ოცი ადამიანი დაკარგულად ითვლება, ოთხმოცამდე კაცი კი მძიმედაა დაჭრილი. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, დაღუპულთა შორის ორი მცირეწლოვანი ებრაელი ბავშვია.



ისრაელის კუთვნილი ბოინგი, რომელსაც რაკეტები ესროლეს

ტერაქტი განხორციელდა სასტუმროს ვესტიბიულში დანაღმული ავტომანქანის შევარდნით, რომელიც მაშინვე აფეთქდა. კენიაში ისრაელის ელჩმა მომხდარზე პასუხისმგებლობა საერთაშორისო ტერორისტულ ქსელს - "ალ-ქაიდას" დააკისრა. სასტუმროში მომუშავე ბარმენმა დაინახა, თუ როგორ მიუახლოვდა ვესტიბიულს თეთრი ფერის "მიცუბიში პაჯეროს" მოდელის ჯიპი იმ მომენტში, როდესაც სასტუმროში ისრაელიდან ჩამოსული ტურისტების დიდი ჯგუფი შევიდა. **"ავტომანქანაში არაბული წარმოშობის სამი მამაკაცი იჯდა. როდესაც მანქანა სასტუმროს შესასვლელს მიუახლოვდა, აფეთქების ხმა გავიგონე და სასტუმროს ცეცხლი გაუჩნდა,"-** იხსენებს ბარმენი. თავად სასტუმროს შენობა სერიოზულად დაზიანდა. ისრაელმა კენიაში დაუყოვნებლივ გაგზავნა მაშველთა ჯგუფი. მათ კენიიდან ებრაელების ევაკუაცია უნდა დაიწყონ.

სასტუმრო "პარადისში" ტერაქტის განხორციელების პარალელურად, კენიის თავზე ორი რაკეტა ესროლეს ისრაელის ავიაკომპანიის "არკიას" კუთვნილ ავიალაინერს. თუმცა, ვერცერთმა მათგანმა მიზანს ვერ მიაღწია. თვითმფრინავი მომბასადან თელ-ავივში მიფრინავდა. როგორც დადგინდა, ნასროლია "მიწა-ჰაერის" ტიპის რაკეტები. თვითმფრინავის ბორტზე 261 მგზავრი და ეკიპაჟის 10 წევრი იმყოფებოდა. ისრაელის რადიოს ცნობით, ისრაელის ავიალაინერების რეისები საზღვარგარეთის ყველა აეროპორტში გადადებულია.

მესამე ტერორისტული აქტი კი უშუალოდ ისრაელის ტერიტორიაზე მოხდა. ისრაელის ჩრდილოეთში, ქალაქ ბეით-შეანში უცნობმა ტერორისტებმა ადამიანების ჯგუფი დაცხრილეს. ერთ-ერთმა ტერორისტმა ჯგუფში ხელყუმბარა ისროლა, მეორემ კი უწესრიგო ცეცხლი გახსნა. ტერორისტების ადგილზე ლიკვიდირება პოლიციელებმა მოახერხეს.

მოქალაქეები "ლიკუდის" პარტიის წინასაარჩევნო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ. პარტიის საარჩევნო უბანი, რომელშიც ტერაქტი განხორციელდა, ქალაქის ცენტრალური ავტოსადგურის მახლობლად მდებარეობს. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა შვიდი ადამიანი – მათგან ხუთი ებრაელია, ორი კი არაბი ტერორისტი. კიდევ 24 ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო. მათგან 13 კრიტიკულ მდგომარეობაშია. გაზეთ "იერუსალემ პოსტის" ცნობით, დაჭრილებს შორის ისრაელის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, დავიდ ლევის სამი ვაჟია. მათგან ერთის მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ტერორისტებმა ისრაელში იორდანიის საზღვრიდან შეაღწიეს. ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადებმა" აიღო.




# გადამწყვეტი დღე ისრაელის პოლიტიკურ ცხოვრებაში

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ისრაელის მმართველ პარტიაში შიდა არჩევნები გაიმართა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და ამჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბენიამინ ნათენიაჰუმ პარტიის ლიდერობაზე პრეტენზია განაცხადა. ის პარტიის ხელმძღვანელს და ახლანდელ პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს დაუპირისპირდა. "ლიკუდის" წევრებს უნდა გადაეწყვიტათ, თუ ვინ უხელმძღვანელებს მათ ვადამდელ არჩევნებში, რომელიც მომდევნო წლის დასაწყისშია დანიშნული. არსებობს კიდევ ერთი კანდიდატი – მოშე ფეიგლინიც, რომლის დანარცხებაშიც ყველა დარწმუნებულია. ძირითადი ბრძოლა სწორედ შარონსა და ნეთანიაჰუს შორის მიმდინარეობს.



ბენიამინ ნეთანიაჰუ მეუღლესთან ერთად არჩევნებზე.

ბენიამინ ნეთანიაჰუს – ხალხისათვის, უბრალოდ, "ბიბის" საკმაოდ კარგი პოზიციები გააჩნია. ის ისრაელის პრემიერ-მინისტრის პოსტზე 1996-99 წლებში მოღვაწეობდა. იგი ქარიზმული ადამიანია და ხალხში საკმაოდ გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწის იმიჯი აქვს დამკვიდრებული. გარკვეული შესვენების შემდეგ ის ისრაელის პოლიტიკის ავანსცენაზე დაბრუნდა. "იმ შემთხვევაში, თუ ნეთანიაჰუ არიელ შარონის დამარცხებას და "ლიკუდის" სათავეში ჩადგომას შეძლებს, "ბიბის" წინ ვერავინ დაუდგება და ის 28 იანვარს დანიშნულ საყოველთაო არჩევნებს აუცილებლად მოიგებს", – ამბობენ ექსპერტები. უნდა აღინიშნოს, რომ მან თავისი კამპანია ისრაელის მოქალაქეებისათვის ნანატრი ლოზუნგით დაიწყო – ის ხალხს შეჰპირდა, რომ მისი უპირველესი ამოცანა რეგიონიდან პალესტინელთა ლიდერის იასირ არაფატის გაძევება იქნებოდა. ნეთანიაჰუმ შემტევი პოზიცია დაიკავა. მისი სტრატეგია ნათელია. ბიბი იმედოვნებს, რომ მკაცრი და ძლიერი პოლიტიკური კურსი ებრაელებს არიელ შარონის დიპლომატიაზე მეტად მოხიბლავს.

რაც შეეხება არიელ შარონს, რასაკვირველია, მასაც საკმაოდ კარგი პოზიციები აქვს. ის ისრაელის ელიტარულ წრეებში უფრო მასშტაბური აზროვნების პოლიტიკოსად აღიქმება. საკმაოდ საინტერესო აზრს გამოთქვამს ჟურნალ "იერუსალიმ რიპორტის" რედაქტორი დავიდ გოროვიცი: **"მას მიიჩნევენ ადამიანად, რომელიც უსაფრთხოების იდეის ერთგულია და არა ოპორტუნისტი (როგორც ნეთანიაჰუ). ამდენად შარონი არის პიროვნება, რომლის გასწრებაც მოსახვევში ნეთანიაჰუს ძალინ გაუჭირდება."**

ნეთანიაჰუს და შარონს შორის, შესაძლოა, კიდევ ერთი, ამჯერად უკვე კონკრეტული, განსხვავება დავინახოთ. ეს არის მათი მიდგომა და პოზიცია პალესტინის სახელმწიფოს შექმნისადმი. ბუნებრივია, შარონი ამ იდეით აღფრთოვანებული არ არის, მაგრამ, როგორც პრაგმატულად მოაზროვნე პოლიტიკოსი, თვლის, რომ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკაზე პალესტინის სახელმწიფო ბოლოს და ბოლოს აუცილებლად გაჩნდება. ამდენად, ის ცდილობს, რომ გარკვეულწილად ამ პროცესს ხელი თვითონაც შეუწყოს და პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ ისრაელისათვის ნაკლებად მტკივნეულად ჩაიაროს. უფრო მეტიც - შარონს ოფიციალური თელ-ავივისათვის, პალესტინის სახელმწიფოს შექმნით, საკმაოდ დიდი დივიდენდების მოპოვება სურს.

რაც შეეხება მის მოწინააღმდეგე ნეთანიაჰიუს, მისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით სწორხაზოვანია. ის პალესტინელების დაუძინებელ მტრად არის ცნობილი და ამის დაფარვას არც თვითონ ცდილობს. ანალიტიკოსების აზრით, ნეთანიაჰუმ სწორი მომენტი შეარჩია. მისი იდეები და პოლიტიკური კურსი რამდენიმე წლის წინ ებრაელებისათვის იმდენად მისაღები არ იყო, როგორც - დღეს. ისრაელის მოქალაქეებსა და ობიექტებზე პალესტინელთა მხრიდან ბოლო დროს გახშირებულმა ტერაქტებმა ისრაელის საზოგადოებრივი აზრი საგრძნობლად შეცვალა. ებრაელები შურისძიებას ითხოვენ. შურისძიების პოლიტიკის გატარებასა და პალესტინელი ტერორისტების განადგურებას კი ისე ვერავინ შეძლებს, როგორც - ნეთანიაჰუ. გარდა ამისა, ბიბის დაუღალავმა მცდელობამ ებრაელების თვალში არაფატი ტერორისტებთან გაეიგივებინა, საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო - ისრაელის ბევრი მოქალაქისათვის სამშვიდობო მოლაპარაკების გამართვის მოსურნე და ჩაგრულის რეპუტაციის მქონე არაფატი თვითმკვლელ-კამიკაძეებზე უფრო საშიში გახდა. პალესტინის სახელმწიფოს შექმნით რეგიონში მშვიდობის დამყარების და არაბებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეა ისრაელში თანდათან გაუფასურდა. ნეთანიაჰუს პოლიტიკური გათვლებიც სწორედ ასეთ განწყობას ემყარება. **"თუ თქვენ ხმას მისცემთ შარონს, ამით თქვენ პალესტინის სახელმწიფოს შექმნას აძლევთ ხმას. თუ თქვენ ხმას აძლევთ ბიბის, ერთმნიშვნელოვნად პალესტინის სახელმწიფოს წინააღმდეგ აძლევთ ხმას, ხოლო ეს ამ არჩევნებში უმნიშვნელოვანესია," -** განაცხადა "ლიკუდის" ერთ-ერთმა წევრმა გასულ კვირას.

რამდენიმე დღის წინ ისრაელის გაზეთმა "ჰაარეცმა" "ლიკუდის" თავმჯდომარის პოსტზე წამოყენებული კანდიდატების რეიტინგი გამოაქვეყნა. პარტიის წევრთა 67 პროცენტი მხარს არიელ შარონს უჭერს, ნეთანიაჰუს – 31 პროცენტი ემხრობა. შეძლებს თუ არა ბენიამინ ნეთანიაჰუ ასეთი უპირატესობის მქონე არიელ შარონის დამარცხებას, ამას არჩევნების შედეგები გვიჩვენებს.

# რა დგას ეთნიკური კონფლიქტების უკან

ხშირად ე.წ. "ეთნიკურ კონფლიქტებში" ეთნიკური ფაქტორი ან ძალზე უმნიშვნელო როლს ასრულებს ან - საერთოდ არავითარს – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები ამ ფენომენის შესწავლის შედეგად.

1999 წელს მსოფლიოში მიმდინარე 27 შეიარაღებული კონფლიქტიდან მხოლოდ 2 წარმოადგენდა ომს კლასიკური გაგებით, დანარჩენი 25 – ეთნიკურ კონფლიქტად ან სამოქალაქო ომად იყო მიჩნეული.

მეცნიერების მტკიცებით, სამოქალაქო ომებში, როგორც წესი, კომერციული ინტერესები ასრულებს განსაკუთრებულ როლს. მაგალითად, ანგოლაში ბოლო 9 წლის განმავლობაში ამბოხებულებმა ალმასების ექსპორტით 4 მილიარდი დოლარი იშოვეს. ავღანეთში "ტალიბანი" წლიურად 40 მილიონს იღებდა, ხოლო "ჩრდილოეთის ალიანსი" ნარკოტიკების გაყიდვიდან - 60 მილიონ დოლარს. ექსპერტების მტკიცებით, რომ არა ეს ფული, აჯანყებულები ვერ შეძლებდნენ საბრძოლო მოქმედებების გაგრძელებას.

კომერციულ ფაქტორს დიდი გავლენა აქვს სხვა კონფლიქტებზეც. სიერა-ლეონესა და ანგოლაში ომი ალმასების გამო მიმდინარეობს. ინდონეზიაში მხარეები ნავთობისა და სხვა მინერალური ნედლეულის საბადოებისათვის იბრძვიან. კამბოჯასა და ბირმაში "განხეთქილების ვაშლს" ის სავაჭრო გზები წარმოადგენს, რომლითაც ძვირფასი მერქანი და ნარკოტიკები გადააქვთ. რუანდაში, ავღანეთსა და კოლუმბიაში სამოქალაქო ომის საფუძველი ნარკოტიკებია, ჩეჩნეთსა და სუდანში კი – ნავთობი.

როგორც წესი, ამბოხებულებს სჭირდებათ შუამავლები, რომლებიც საქონლის გასაღებაში დაეხმარებიან. ამ როლში ყველაზე ხშირად ნარკოტიკებითა და იარაღით მოვაჭრენი ან ტერორისტული ორგანიზაციები გამოდიან. კონფლიქტურ ზონებში შექმნილია ტერორისტული ორგანიზაციებისათვის ხელსაყრელი "საინვესტიციო კლიმატი" და მათი ფულის დიდი ნაწილიც სწორედ იქ არის დაბანდებული.

კვლევამ ერთი საინტერესო გარემოებაც გამოავლინა - აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტად არის დამოკიდებული ქვეყანა მხოლოდ რომელიმე ერთი საქონლის ექსპორტზე (ყავა, ნავთობი, კაკაო), მით უფრო დიდია იქ სამოქალაქო ომის დაწყების ალბათობა. "მონოკულტურებში" (ქვეყნებში, რომელთაც მხოლოდ ერთი საექსპორტო საქონელი აქვთ) შეიარაღებული კონფლიქტის აღმოცენების საფრთხე ხუთჯერ უფრო დიდია, ვიდრე დივერსიფიცირებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

რაც უნდა დიდ მოგებას ნახულობდნენ მებრძოლი მხარეები სამოქალაქო ომებში, ეს მაინც ზღვაში წვეთია იმ ზარალთან შედარებით, რომელიც ამგვარ ომებს მოაქვს.

ავტორიტეტული ბრიტანული ანალიტიკური ცენტრის "სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტის" შეფასებით, ავღანეთის კონფლიქტით ქვეყნისათვის მიყენებულმა პირდაპირმა ზარალმა 1992-2001 წლებში 2 მილიარდი დოლარი შეადგინა. ტაჯიკეთს სამოქალაქო ომი 860 მილიონი დოლარი "დაუჯდა". აფხაზეთის კონფლიქტით საქართველოს ბიუჯეტმა 800 მილიონი დოლარი დაკარგა. ჩეჩნეთის პირველ ომში დანაკარგმა 3,8 მილიარდი შეადგინა, ხოლო მეორეში - 1,3 მილიარდი დოლარი. დნესტრისპირეთის კონფლიქტით გამოწვეული ზარალი 210 მილიონ დოლარს აღწევს. შეგახსენებთ, რომ აქ მხოლოდ პირდაპირ დანაკარგებზეა ლაპარაკი.

# საპნის ბუშტი თუ ჭეშმარიტი აღორძინება

შოთა უტიაშვილი

"ვლადიმირ პუტინს შეუძლია, რამდენიც უნდა, იმდენი ილაპარაკოს თავის განზრახვაზე - განამტკიცოს სახელისუფლო ვერტიკალი და დაამყაროს კანონის დიქტატურა, ლანძღოს კორუფცია და ორგანიზებული დამნაშავეობა და ა.შ., მაგრამ ქვეყანაში რეალურად არაფერი შეცვლილა," – წერს ფრანგული გაზეთი "ლე მონდი", რომელმაც გუშინ საზოგადოებას წარუდგინა მის მიერ ჩატარებული "ექსკლუზიური ჟურნალისტური გამოძიების" შედეგები.

ამ მოსაზრებას დასავლეთში ბევრი იზიარებს. "ფაქტი ის არის, რომ პუტინის რუსეთი - ეს არის ახალი სალებავით გადალებილი ელცინის რუსეთი," – წერს ჟურნალ "ფორინ ეფეარსში" ამ ქვეყნის ცნობილი ექსპერტი დენიელ ტრაისმანი.

ნორდ-ოსტის ტრაგედიის მერე მსოფლიო პრესა ბევრს წერს იმის თაობაზე, რომ რუსეთი პროგრესს კი არა, რეგრესს განიცდის და სწრაფად ბრუნდება იქ, საიდანაც მოვიდა, ტოტალიტარულ, ავტორიტარულ სისტემაში, სადაც საიდუმლო პოლიცია ყველაფერს აკონტროლებს.

საინტერესოა, რომ ამგვარ შეხედულებას ყველაზე ნაკლებად თავად რუსები ეთანხმებიან. სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები მოწმობს, რომ პრეზიდენტის პოპულარობა მუდმივად 70-85 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. მასზე არ უმოქმედია არც ნორდ-ოსტის ტერაქტს, არც კურსკის ტრაგედიას და არც ჩეჩნეთში გაჭიანურებულ ომს. რუსებს კვლავინდებურად უყვართ თავიანთი პრეზიდენტი.

რატომ განსხვავდება ასე რადიკალურად ერთმანეთისაგან პუტინის იმიჯი ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით?

რამდენიმე თვის წინ "24 საათთან" საუბარში საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძე ამბობდა, რომ რუსების უმეტესობისათვის პუტინი აღორძინების სიმბოლოა და სანამ იგი ასეთად დარჩება, მის პოპულარობას არაფერი ემუქრება.

ნათელია, რომ პრეზიდენტის ავტორიტეტს ძალზე ხელსაყრელი ფონი შეუქმნა მისი წინამორბედის უსუსურობამ, რომლის 9 წლიანი პრეზიდენტობაც რუსეთში ბევრისათვის ნგრევის სიმბოლოდ იქცა.

პუტინი ხელისუფლებაში ორი მთავარი ლოზუნგით მოვიდა - ჩეჩნეთის ომის სწრაფად და რუსეთისათვის სასარგებლოდ დასრულება და ოლიგარქიის, როგორც კლასის, განადგურება. მის საარჩევნო პროგრამაში დიდი ადგილი ეკავა, აგრეთვე, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას, სოციალური პრობლემების შემსუბუქებასა და ეკონომიკური კრიზისის დაძლევას. მისი სამწლიანი პრეზიდენტობაც იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, რამდენად შეძლო მან ამ დაპირებების შესრულება.

დავიწყოთ ჩეჩნეთის კონფლიქტით. დასავლეთის შეფასებით, ჩეჩნეთის კამპანია წარმოადგენს ინტერესთა ჯგუფების მიერ პროვოცირებულ, უმიზნო და უაზრო ომს, რომლის მოგების შანსიც რუსეთს არა აქვს. დასავლეთისთვის მიუღებელია ის მეთოდებიც, რომლებსაც რუსეთი ჩეჩნეთში იყენებს და მიაჩნია, რომ, რაც უფრო მალე იქნება მიღწეული სამშვიდობო შეთანხმება, მით უკეთესია როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის.

რუსეთის მოსახლეობისათვის კი, რომელსაც კარგად ახსოვს ხასავიურტი, თავად სამშვიდობო მოლაპარაკებების ფაქტი უკვე დამარცხებად აღიქმება. შესაბამისად, პუტინის მიერ ომის გაგრძელება ბევრისათვის იმის სიმბოლოა, რომ სახელმწიფო ისევ ცოცხალია და მას ბრძოლისუნარიანი ჯარიც ჰყავს. ხოლო ის ფაქტი, რომ ომი იწელება, მეორეხარისხოვანია.

რაც შეეხება ოლიგარქიას - როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ ბევრი გულისტკივილით უყურებდა, როგორ აღმოჩნდა ამ უზარმაზარი ქვეყნის მთელი სიმდიდრე ხუთიოდე კაცის ხელში. ამის შემდეგ მათ უზარმაზარი პოლიტიკური ძალაუფლება მოიპოვეს და ქვეყანაში ყველაზე ოდიოზურ ფიგურებად იქცნენ. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რამდენიმე მათგანი იძულებით იმიგრაციაში წავიდა, დანარჩენები კი ნელ-ნელა ჩრდილში აღმოჩნდნენ. ისინი ველარ ხვდებიან "ახალ ამბებში". ხალხი ფიქრობს, რომ პუტინმა ისინი მოთოკა.

დასავლელი ექსპერტების აზრით, ოლიგარქების ძალაუფლება სულაც არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა კიდეც. თუ 1998 წელს ათი კომპანია ქვეყნის ეკონომიკის 53 პროცენტს აკონტროლებდა, 2001 წლისათვის ეს მაჩვენებელი 61 პროცენტამდე გაიზარდა. მათი ჩრდილში მოქცევა კი იმითაა განპირობებული, რომ ქონების განაწილების ხმაურიანი პროცესი დასრულდა. თუ ოლიგარქების შედარებითი წონა მაინც შემცირდა, ეს არა დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების, არამედ ხელისუფლებაში სპეცსამსახურების მომძლავრების ხარჯზე მოხდა. საბოლოო ჯამში, წინასწარ ვერავინ იტყვის, ეს ხელს შეუშლის თუ დაეხმარება სახელმწიფოს განვითარებას.

ხელისუფლების ვერტიკალი. მართალია, პუტინმა შეზღუდა რეგიონების ძალაუფლება, დანიშნა შვიდი "სუპერ-გუბერნატორი", მიიღო გუბერნატორთა სასამართლო წესით დათხოვნის უფლება, გაზარდა რეგიონული ბიუჯეტების ხარჯზე ცენტრალური ბიუჯეტი და დაიწყო ადგილობრივი კანონმდებლობების ცენტრალურთან ჰარმონიზაცია.

მაგრამ აქაც, ბევრი ფიქრობს, რომ ყველაფერი გარიგების ხარჯზე მოხდა. მართალია, გუბერნატორებმა დათმეს ძალაუფლების ნაწილი ცენტრთან მიმართებაში, მაგრამ, სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაზარდეს გავლენა რეგიონების შიგნით. გუბერნატორთა დიდი ნაწილი კვლავაც აგრძელებს სამართავი რეგიონის სიმდიდრეთა ხელში ჩაგდებას. გარდა ამისა, ფედერალური მთავრობის ნებართვით, მათ თანამდებობებზე მესამედ არჩევის უფლებაც მიიღეს. ერთი სიტყვით, ამ სფეროში პროგრესი შეიმჩნევა, მაგრამ არცთუ ერთმნიშვნელოვანი.

რაც შეეხება ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს. ნავთობზე ფასების ზრდამ და დევალვაციით გამოწვეულმა სავაჭრო სალდოს გაუმჯობესებამ რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი გაზარდა, და მთავრობას საშუალება მისცა, როგორც შიდა, ისე საგარეო ვალები დროულად დაეფარა. მაგრამ, რაკი ეკონომიკური ჩამორჩენილობის ფუნდამენტური მიზეზები: კორუფცია, მოძველებული სამრეწველო ბაზა, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ინვესტიციების ნაკლებობა, საკანონმდებლო პრობლემები კვლავაც არსებობს, პროგრესი შეუქცევადი არ არის.

ამ შემთხვევაშიც, რუსები ცდილობენ, საკითხის ნათელი მხარე დაინახონ, ხოლო კირკიტა ექსპერტები კი ნაკლს უფრო ამჩნევენ.

ყველა ჩამოთვლილ საკითხში, პუტინის მოღვაწეობის შეფასება შიგნიდან და გარედან რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პოლიტიკური თვალსაზრისით, რასაკვირველია, ყველა პრეზიდენტისათვის უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი, ვიდრე სხვისი ამომრჩევლის აზრი. მაგრამ, ექსპერტები გვაფრთხილებენს, რომ "საპნის ბუშტის" უზომოდ გაბერვა არ შეიძლება. იგი შეიძლება გასკდეს.

# ჰენრი კისინჯერი 11 სექტემბრის მოვლენებს გამოიძიებს

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი, რომელსაც ბევრი კრიტიკოსი სამხედრო დანაშაულში სდებს ბრალს, პრეზიდენტმა ბუშმა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების გამოძიების კომისიის ხელმძღვანელად დანიშნა. განკარგულებას ჯორჯ ბუშმა ხელი გუშინ მოაწერა. კისინჯერის ამ თანამდებობაზე დანიშვნას, კონგრესში, რესპუბლიკელებთან ერთად, მხარი დემოკრატებმაც დაუჭირეს. **"ეს კომისია მე და მომავალ პრეზიდენტს დაგვეხმარება, ამერიკის მტრების მეთოდები გავიგოთ და წინასწარ ვიცოდეთ იმ საფრთხის შესახებ, რომელიც გვემუქრება," -** განაცხადა ჯორჯ ბუშმა ბრძანებულებაზე ხელის მოწერის ცერემონიის შემდეგ, რომელსაც 11 სექტემბერს დაღუპულთა ოჯახების წევრები ესწრებოდნენ. აშშ-ს პრეზიდენტმა კისინჯერს **"ხალხის სამსახურში დაბრუნებისათვის"** მადლობა გადაუხადა.

კისინჯერის მეთაურობით შექმნილ ათკაციან კომისიას პრეზიდენტმა ბუშმა დაავალა, დეტალურად ჩაუღრმავდეს და გამოიძიოს ტერაქტთან დაკავშირებული ყველა ფაქტი. **"მე პრეზიდენტმა დამაკისრა, რომ, სადაც არ უნდა იყოს, მივყვე და გამოვიძიო ყველა ფაქტი. ჩვენ არანაირი საგარეო პოლიტიკური ვალდებულებებით შეზღუდულები არ ვართ," -** განაცხადა კისინჯერმა თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო კომისიაში დემოკრატები და რესპუბლიკელები თანაბრად არიან წარმოდგენილები. ბუშის გადაწყვეტილებით, კომისიის ბიუჯეტი 3 მილიონი ამერიკული დოლარით განისაზღვრა. კისინჯერის კომისიამ პრეზიდენტს საბოლოო ანგარიში 18 თვეში უნდა წარუდგინოს. კისინჯერის მოადგილედ კი წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატების ლიდერი - მიჩელი დაინიშნა.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად თეთრი სახლის ადმინისტრაცია ასეთი კომისიის შექმნის წინააღმდეგი იყო, თუმცა პრეზიდენტმა ბუშმა ეს გადაწყვეტილება, უპირველეს ყოვლისა, 11 სექტემბრის მსხვერპლთა ახლობლების მოთხოვნით მიიღო.

79 წლის ჰენრი კისინჯერს შეერთებულ შტატებში უხუცესი სახელმწიფო მოღვაწის რეპუტაცია აქვს, რაც, ძირითადად, იმ გამოცდილებით არის განპირობებული, რომელიც კისინჯერმა ვიეტნამის ომის და ცივი ომის პერიოდში მიიღო ეროვნული უშიშროების მრჩევლის და სახელმწიფო მდივნის თანამდებობებზე ყოფნისას. თუმცა, ექსპერტების აზრით, მას საკმაოდ მწირი ცოდნა აქვს შიდა უსაფრთხოების სფეროს ისეთ საკითხებში, როგორიცაა სავიზო ოპერაციები და საჰაერო ფრენების უსაფრთხოება. პრეზიდენტმა ბუშმა კისინჯერის კომისიას ამ საკითხების კურირებაც დაუქვემდებარა.

კისინჯერის დახასიათებისას ასევე აღსანიშნავია, რომ მის მიმართ გამოითქმება კრიტიკაც - საკმაოდ ბევრი ექსპერტი, მას, რბილად რომ ვთქვათ, არაპატიოსან დიპლომატიურ ქმედებაში ადანაშაულებს - კამბოჯის, ვიეტნამის და ჩილეს საკითხებში. კისინჯერს ამერიკის სადაზვერვო თანამეგობრობასთან საკმაოდ დაახლოებულ პირადაც მიიჩნევენ.

## „დამნაშავეა ქალაქის მერი!“

*აჭარის წარმომადგენლობაში გამართული კიდევ ერთი შეხვედრა თბილისში მიმდინარე უკანონო მშენებლობების თაობაზე საინტერესოდ დასრულდა. ვერ გეტყვით, დააფიქსირეს თუ არა მასში მონაწილეებმა, სათო წვაიდა მათი საუბრები, მაგრამ, წესით, პოლიტიკური სტრუქტურების: საქართველოს ქალთა დაცვის დეპარტამენტის, ურბანიზაციის ასოციაციის, არქიტექტურული მშენებლობის ინსპექციის, თბილისის არქიტექტურული სამსახურის წარმომადგენლებმა საქართველოს მოსახლეობას, რბილად რომ ვთქვათ, პოზიციის დაფიქსირებისკენ მოუწოდეს.*

მაკა ჯიანი

თურმე, ნუ იტყვით და, ჩვენს დედაქალაქს, რომელიც ყოველ ახალ დღეს არქიტექტურულად "განახლებული" ხვდება, დაცვის მშვენიერი მექანიზმი - გენერალური გეგმა აქვს. მართალია, მას საბჭოურ გადმონაშთს უწოდებენ და მონდომებით აყრიან მიწას, მაგრამ ჯერ ისევ მოქმედია და, შესაბამისად, ანგარიშგასაწევიც. რაც მთავარია, გაურკვეველი ხასიათის მშენებლობებისგან თბილისს ეს მიმველებული გეგმაც მშვენიერად იცავს. ამას ადასტურებს ქალაქის იერსახეზე პასუხისმგებელი ყველა უწყება. იმასაც ყველა ამბობს, რომ თბილისის გენერალური გეგმის განმახორციელებელი უმაღლესი ორგანო მერიის არქიტექტურის სამსახურია. მიუხედავად ამისა, თბილისის ხელმძღვანელობა მუდამ საჭირო ბერკეტების უქონლობას უჩივის.

აჭარის წარმომადგენლობაში შეკრებილთაგან, ამას კომენტარი პოლიტიკურმა პერსონამ, პარლამენტის წევრმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა გაუკეთა. "დედამიწის გამოსწორების მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური ნება ესაჭიროება. ქალაქის მერი რომ ვაკეში გაიაროს და სახანდრის წინ, მოწესრიგებულ გადასასვლელის თავზე მიმდინარე მშენებლობას შეხედავს, არ უნდა დაინტერესდეს? სახანდრო მანქანები საფეხმავლო ნესიერზე ვერ გამოსულან - ლითონში ჩასმული მინები უძლიათ ხელის. ან პრეზიდენტი რომ ავიოჩაიჯდება კრწანისის გზაზე და უყურებს, როგორ აშენებენ სასტუმროს, რეაგირება არ უნდა მოახდინოს? პირდაპირ მტკვარში დგამენ მშენებლობებს, იმას კი არავინ უფიქრდება, რა ზიანს მოუტანს ეს თბილისს. ჩვენ შეგვიძლია, პირდაპირ ვთქვათ - დედაქალაქში მიმდინარე უკანონო მშენებლობებში დამნაშავეა ქალაქის მერი!" - აცხადებს ჭიპაშვილი.

ირიბად, მაგრამ მაინც, ქალაქის ხელმძღვანელობას ურბანიზაციის ასოციაციის პრეზიდენტი ვლადიმერ ვარდოსანიძეც ადანაშაულებს. "აქამდე საქმეები "ტელეფონის სამართლით" რეგულირდებოდა, ახლა დაკანონებული უკანონობა გვაქვს. დღემდე ვერ მივაღწიეთ იმას, რომ მერიის ქალაქის ზონირების შესახებ დოკუმენტი მიეღო. არადა, მისი საშუალებით მშენებლობების ინტენსიურობა დადგინდება. თავიდან ავიცილებდით სიტრიულ ურნიში მრავალსართულიანი სახლების ჩადგმას და ბევრ სხვა უსიამოვნებას. ვინ როგორ არის დაინტერესებული დედაქალაქის იერსახის შენარჩუნებით, იმითაც კარგად ჩანს, რომ თბილისის ისტორიული განვითარების პროექტზე გამოცხადებული კონკურსის შედეგებს ჟიური 6 თვის განმავლობაში აფასებდა. ეს ხელოვნური გაჭიანურება მხოლოდ მათ ნისქვილზე ასხამს წყალს, ვისაც ახალი გენერალური გეგმის, როგორც მას უწოდებენ, "ქალაქის კონსტიტუციის" შემუშავება ხელს არ აძლევს," - ამბობს ვარდოსანიძე.

პრეტენზიები სასამართლოების მისამართითაც გაისმა. არქიტექტურის სამსახურთა მისამართლებელ არქეოლოგიური გადაწყვეტილებების შედეგები ადანაშაულეს. ყველაზე საინტერესო კი ის აზრი გახლდათ, რომელიც აჭარის წარმომადგენლობაში შეკრებილმა ყველა ოფიციალურმა პირმა გაიზიარა - მოსახლეობამ აქტიურად უნდა გამოხატოს პროტესტი, ერთხელ და როგორ შეკრება და აქციის მოწყობა საჭიროა არ შეელის, საზოგადოებამ თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს.

## რა აქცევს ქართველს ევროპელად

ქართველების "გაევროპელებისა" და საქართველოს ევროპულ ოჯახთან ინტეგრაციის მიმართ ქართულ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში - "რა აქცევს ქართველს ევროპელად", საჯარო განხილვის თემა გახდა.

ირინე სანებლიძე

მსოფლიოს ოთხი უდიდესი სტუდენტური ორგანიზაცია ერთი პროექტის განხორციელების მიზნით გაერთიანდა. რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ჩატარდება "დებატები ევროკავშირის მომავლის შესახებ". პროექტი, რომელიც გააშუქებს სამოქალაქო საზოგადოების ფართო სექტორს – საუნივერსიტეტო სამყაროს, წარმოდგენილი იქნება ასზე მეტი დებატის სახით და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის განათლება, ევროპის გაფართოება და ინსტიტუციონალური რეფორმები. ამ პროექტში მონაწილეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი, რომელმაც წარმოადგინა ქვეპროექტი – "საუნივერსიტეტო დებატები ევროპის შესახებ".

ქვეპროექტით გათვალისწინებული ერთ-ერთი ღონისძიება, კონფერენცია თემაზე – "რა აქცევს ქართველს ევროპელად" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გია ბულაძის მიერ მოხატულ სააქტო დარბაზში ჩატარდა. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის წევრები, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები, სტუმრები დიდხანს საუბრობდნენ.

მოსაზრებები თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თითქოს ყველა შეთანხმდა, რომ ქართველებისთვის ევროპული ცივილიზაციისა და ფასეულობებისკენ სწრაფვა ურთულესი გზაა.

ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგის მოადგილის, გოგი ხომერიკის თქმით: "ჩვენ, საზოგადოებას, ევროპელობა უფრო გვინდა, ვიდრე აზიელობა. თავისთავად, კითხვის დაბადება, თუ რა აქცევს ქართველს ევროპელად, უკვე იმას ნიშნავს, რომ რაღაც კარგს, მისაღებს მიზანს ვხედავთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველი ხოლოყოფილი ევროპელი ვერასოდეს გახდება. ის, ვინც ისწავლის შრომას, გახდება ისეთივე ღირსეული, როგორიც ზოგადად არის ევროპა."

ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის გამგე იგორ კვესელავას აზრით, ეს, პირველ რიგში, ნიშნავს ქართველის ევროპულ კულტურასთან, განათლებასთან დაახლოების სურვილს, "თორემ არავისზე ნაკლები ნიჭი და კულტურა არ გვაქვს. ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ არა გვაქვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია. ჩვენ უნდა ვაშენებდეთ ქვეყანას, რომელშიც მთავარი იდეოლოგია ნაციონალიზმი იქნება".

პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტს ვაჟა შუბითიძეს კი მიაჩნია, რომ "საქართველო ევროპული ფასეულობების ქვეყანა ვერასოდეს გახდება. ბრმა მიმბაძველობით არაფერი გამოვა. კომფორტული ცხოვრებისთვის საჭიროა საზოგადოების გამოცოცხლება. ჩვენთან კი, ვიდრე საზოგადოება მოუმზადებელია შრომითი კულტურის გათავისებისთვის, ევროპელები, არა მხოლოდ ტექნიკური წარმატებებით, არამედ გონებრივადაც დაგვჩაგრავენ".

"ტექნიკური მიღწევების გარდა, გადმოსაღები არაფერი გვაქვს... იმ დროს, როცა ძლიერები ვიყავით, თუნდაც, თამარის დროს, არ იდგა ევროპელობის აუცილებლობა", - წამოიძახა აუდიტორიიდან ერთ-ერთმა სტუდენტმა.

სტუდენტებთან საუბრისას კი შევიტყვეთ, რომ მათი უმრავლესობა უკვე ევროპელად თვლის თავს და რომ "თვითმყოფადობის გათვალისწინებით უნდა შევითვისოთ ევროპელთა უნარჩვევები. ეს ჩვენი ქვეყნის წინსვლას შეუწყობს ხელს."

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ, დილით, დედაქალაქის თემქის დასახლების მე-3 მიკრორაიონში წყალსადენზე ავარია მოხდა. შპს „თბილწყალკანალის“ ინფორმაციით, დაზიანდა 300-მილიმეტრიანი თუჯის მილი, რის გამოც თემქის მე-3 მიკრორაიონის ნაწილს წყლის მიწოდება შეუწყდა. „თბილწყალკანალის“ წყალსადენის ქსელების ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის ომარ გოცირიძის ცნობით, საავარიო სამსახურმა დილიდან ადგილზე აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა. თემქის მოსახლეობას წყლის მიწოდება გუშინვე აღუდგა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სანზონის მოსახლეობის ნაწილმა მეტრო „ღრმაღელესთან“ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი მიწის მართვის დეპარტამენტისა და ქალაქის მთავარი არქიტექტორის წინააღმდეგ გამოდიან. აქციის ერთ-ერთი მონაწილის, ირაკლი მარიხაშვილის განცხადებით, მიწის მართვის დეპარტამენტმა მოქალაქე მარინე გოჩელაძეს ყალბი საბუთებით მიჰყიდა მეტრო „ღრმაღელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით, 300 კვადრატული მეტრი ფართის სკვერი. ირაკლი მარიხაშვილი აცხადებს, რომ ხელთა აქვს სკვერის უკანონოდ პრივატიზების დამადასტურებელი მასალები. სანზონის მოსახლეობამ ერთი წლის წინათ წერილობით მიმართა პროკურატურას და კონტროლის პალატას, მაგრამ, ჯერჯერობით, მთავრობის მხრიდან არავითარი ღონისძიება არ გატარებულა. გაყიდულ სკვერში ნარგავები უკვე გაჩეხეს და მშენებლობა დაიწყეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც გადაცემა-დისპეტჩერიზაციაში აცხადებენ, ამჟამად საქართველოს ენერგოსისტემა 800 მეგავატი სიმძლავრით მუშაობს. ელექტროენერგია კვლავ არ მიეწოდება ვარკეთილის, სამგორის, ავლაბრის, თემქისა და გლდანის მოსახლეობას. "ეი-ი-ეს თელასი" კი ელექტრომომარაგების აღდგენის ვადას ვერ ასახელებს, რადგან, საწვავის უქონლობის გამო, ენერგობლოკები გაჩერდა და ელექტროენერგიას ვერც მეზობელი ქვეყნებიდან ვიღებთ. მდგომარეობას ართულებს ენგურჰესის ერთი აგრეგატის გაჩერებაც, რის გამოც ენერგოსისტემას 200 მეგავატამდე ელექტროენერგია დააკლდა. **ინტერ-პრესი**

# აჟიოტაჟი „სამშობლოს“ გამო

პირველი გვერდიდან

საბჭოთა წყობის რღვევის პერიოდში, როდესაც სახელმწიფო ქონება ავტომატურად ქონების მართვის სამინისტროს გადაეცა, გამომცემლობა დარეგისტრირდა სახელმწიფო საკუთრების იურიდიულ პირად – "სახაზინო საწარმო ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა სამშობლოდ" და კოსტავას 14-ში მდებარე შენობა მის საწესდებო კაპიტალში შევიდა (1991 წლის 10 იანვრის ბრძანება, მოგვიანებით კი 1996 წლის 30 აგვისტოს ამონაწერი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოს რეესტრიდან). ამავე პერიოდში (1992 წლის 14 იანვარს) მაშინდელმა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვით, მანამდე არსებული ჟურნალ-გაზეთები სახელმწიფო საკუთრებიდან გაათავისუფლა და მათ კერძო იურიდიულ პირებად გადაკეთების უფლება მისცა. პრაქტიკულად, ჯერ კიდევ მაშინ მოიშორა თავიდან სახელმწიფომ ოფიციალური პრესა, რომლის ბიუჯეტიდან შენახვაც საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. ეს ხელსაყრელი იყო ჟურნალ-გაზეთებისთვისაც – მათ თავისი მეურნეობის საკუთარი ძალებით წარმოების უფლება გაუჩნდათ. სწორედ აქედან დაიწყო ის გაუგებრობა, რომელმაც, საბოლოოდ, ტრადიციული ჟურნალ-გაზეთები ლამის სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკიდა გამომცემლობას, რომლის ბალანსზეც დარჩა კოსტავას 14-ში მდებარე ყბადაღებული შენობა.

საქმე ისაა, რომ სახელმწიფომ მაშინ ჟურნალ-გაზეთები სახელმწიფო დაქვემდებარებიდან გაათავისუფლა. თუმცა, მათთვის, უკვე კერძო შპსების სახით დაფუძნებული რედაქციებისთვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართის ჩუქება არც უფიქრია. ეს ფართი ისევ "სახაზინო საწარმო ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა სამშობლოს" ბალანსზე, მის საწესდებო კაპიტალში დარჩა. რაც შეეხება მის მართვას, ეს საკითხი დაევალა "საქინფორმს", სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საინფორმაციო სამსახურს.

ვითარება მაშინ გამწვავდა, როცა საქართველოს კანონმდებლობამ ("მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 17 თებერვლის 51-ე და 2000 წლის 1 ივლისის 284-ე ბრძანებულება) სახაზინო საწარმოებს იურიდიული სტატუსის განსაზღვრა მოსთხოვა. სახაზინო საწარმოები დადგნენ არჩევანის წინაშე – ან სააქციო საზოგადოებებად უნდა ქცეულიყვნენ, ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად დარეგისტრირებულიყვნენ.

აქედან გამომდინარე, 2000 წლის 22 ივნისს გამომცემლობა სამშობლოს ოფიციალურმა კურატორმა, საქართველოს საინფორმაციო საგამომცემლო სახელმწიფო კორპორაცია "საქინფორმის" გენერალურმა დირექტორმა, პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძემ, რომელიც ამ თანამდებობაზე ახალი დანიშნული იყო, თხოვნით მიმართა სახელმწიფო ქონების მაშინდელ მინისტრს მიხეილ უკლებას "სახაზინო საწარმო ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა სამშობლოს" ბაზაზე "შპს გამომცემლობა სამშობლოს" დაფუძნების შესახებ, რომელიც ასი პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო.

**"გამომცემლობა სააქციო საზოგადოებად რომ ჩამოყალიბებულიყო, მისი აქციები უნდა გაყიდულიყო, სახელმწიფომ კი ეს არ დაუშვა, ის შპს-დ გადააკეთა და ასი პროცენტით თავის საკუთრებაში დაიტოვა,"** - აცხადებს გამომცემლობა "სამშობლოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მერსი ცისკარიძე.

რაც შეეხება მისი მართვის უფლებას, იმავე თხოვნით, მთელი გამომცემლობა, შენობისა და სტამბის ჩათვლით, იურიდიულად უკვე შესწორებული ფორმით გადაეცა ისევ ძველ მმართველს – "საქინფორმს". **"ეს მოხდა იმიტომ, რომ გამომცემლობა და "საქინფორმი" ერთიან სახელმწიფო საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციაში შედიოდნენ და სხვანაირად რომ მომხდარიყო, სწორედ მაშინ უნდა ამტყდარიყო აჟიოტაჟი,"** - მიიჩნევს გამომცემლობა "სამშობლოს" ადვოკატი პავლე ბერია.

**"თავის ნებაზე განკარგეს სახელმწიფო ქონება და შპს-დ გადააკეთეს,"** – აცხადებენ შპს "თბილისის", შპს "ნაკადულის", შპს "ვეჩერნი თბილისის", შპს "სოფლის ცხოვრების", შპს "საქართველოს რესპუბლიკის", შპს "შანსის", შპს "სახალხო განათლების", შპს "საქართველოს ქალის", შპს "ნერგის" (ყოფილი "პიონერი"), შპს "დილასა" და შპს "ახალგაზრდა ივერიელის" – ე.წ. "ტრადიციული გაზეთების" რედაქციები და ქონების მართვის სამინისტროს სახელმწიფო საკუთრების არასწორ განკარგვაში ადანაშაულებენ. **"რედაქციები და გამომცემლობა ერთი მთლიანი ორგანიზმი იყო, თავისი საერთო ბუღალტერიითა და ხარჯთაღრიცხვით. ახლა კი მთელი ქონება გამომცემლობას მიაკუთვნეს ისე, რომ ჩვენთვის არაფერი უკითხავთ,"** – აცხადებს გაზეთ "თბილისის" მთავარი რედაქტორი სოსო ჭუმბურიძე.

**"თავიდანვე არასწორად გადაეცა გამომცემლობას ეს შენობა, ახლა ჩვენ არასწორად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას ვითხოვთ,"** – ამბობს "ახალგაზრდა ივერიელის" რედაქტორი გიგლა გობეჩია.

**"ამიხსენით, რატომ უნდა აჩუქოს სახელმწიფომ მათ თავისი ქონება, მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა, უკვე რამდენიმე წელია, აღარ გამოდის?"** – უკვირს გამომცემლობის ადვოკატს.

მანამ, სანამ გამომცემლობა ფინანსური პრობლემების წინაშე არ აღმოჩნდა და თავის შენობაში განთავსებულ რედაქციებს ოფისის ქირის გადახდა არ მოსთხოვა, კოსტავას ქ.№14-ში მდებარე შენობის საკითხით არავინ დაინტერესებულა. საბჭოთა პერიოდის გაზეთების მემკვიდრე რედაქციები მუშაობას "ტრადიციულად" განაგრძობდნენ და ქირის გადახდა საჭიროდ არ მიაჩნდათ. ამდენად, სადავო შენობის ქონებისა თუ კომუნალური გადასახადების გადახდა ყოველთვის გამომცემლობის ადმინისტრაციას უწევდა. **"გამომცემლობას არა, ჩვენ სახელმწიფოს გადავუხდით გადასახადებს,"** – ამბობენ რედაქციები. არადა, გამომცემლობას სწორედ სახელმწიფოს მიერ დანიშნული ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელმაც ამ გადასახადების გადახდა უნდა უზრუნველყოს. **"სახელმწიფო გადასახადებს ყოველთვის ჩვენ გვთხოვს. რადგან მათი ფართი ჩვენ გვერიცხება, ამიტომ იმ ტერიტორიის გადასახადს, რომლითაც ისინი სარგებლობენ, ჩვენ ვიხდით, ისინი კი არაფერს გვიხდიან,"** – აცხადებს გამომცემლობის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მერსი ცისკარიძე. თუმცა, მოსარჩელე მხარის ადვოკატი ბესიკ ქარცივაძე მიიჩნევს, რომ **"შენობა არავის ბალანსზე არ არის, ხოლო მიწა დაუმაგრებელია."**

თავის დროზე, როდესაც შენობაში განთავსებულ რედაქციებს იურიდიულ პირებად რეგისტრირებისთვის საბუთების შეგროვება დასჭირდათ, გააფორმეს ხელშეკრულებები გამომცემლობასთან და გამომცემლობის ადმინისტრაციას გამოართვეს ცნობები იმის შესახებ, რომ მათ "სამშობლოს" ფართით სარგებლობის უფლება ჰქონდათ. **"მოსარჩელეები, გამომცემლობასთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, უნდა იხდიდნენ ქირას მათ მიერ დაკავებული ფართით სარგებლობისათვის. მათ შპს-ებად რეგისტრაციისას სასამართლოში წარადგინეს ცნობები, სადაც შენობის მეპატრონედ, გამომცემლობა "სამშობლოს" მაშინდელმა დირექტორმა ჯემალ ქარაზანიშვილმა, მათ ნებართვა მისცა, რათა სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ოფისის მისამართად სწორედ გამომცემლობის შენობა მიეთითებინათ. ბუნებრივია, ეს ცნობები მათ იმიტომ დასჭირდათ, რომ იურიდიულად ეს შენობა მათ არ ეკუთვნით,"** – აცხადებს გამომცემლობის ადვოკატი პავლე ბერია.

სხვათა შორის, ამავე შენობაში განთავსებულნი არიან სხვა, "არატრადიციული" გაზეთებიც: "ასავალ-დასავალი", "იმედი", "იბერია-თაიმსი", პრესის გავრცელების სამსახური "უწყებანი" და სხვები. ისინი ფართის გადასახადს ჩვეულებრივ იხდიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფისის ქირას ადრე იხდიდა "საქართველოს რესპუბლიკაც", მაგრამ მას შემდეგ, რაც გამომცემლობის საქმე სასამართლოში იხილება, აღარ იხდის.

**"როცა ქირის გადაუხდელობის გამო გასახლების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, ალიაქოთი მაშინ ატეხეს,"** – მიიჩნევს გამომცემლობა "სამშობლოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მერსი ცისკარიძე. **"უკვე გამომცემლობის შენობაში განთავსებული სასადილოც კი უარს აცხადებს გადასახადის გადახდაზე და ამბობს, ჯერ პროცესი მოიგეთ და ოფისის ქირაზე მერე ვილაპარაკოთ. ეს პროცესი საშინელ პრობლემებს უქმნის გამომცემლობას. უშემოსავლობის გამო ვერ ვყიდულობთ საბეჭდ მასალებს, არ შემოდის ინვენტარი, საგადასახადო ინსპექცია კი საურავებს გვაწერს. ერთი სიტყვით, ხელოვნურად გვაკოტრებენ,"** – წუხს იგი.

თუმცა, "ტრადიციული გაზეთების" რედაქტორები გამომცემლობის ხელმძღვანელებს ბრალს სდებენ "სამშობლოს" კუთვნილი ქონების განიავებაშიც. ამის დასტურად მათ გამომცემლობის ხელმძღვანელთა მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი ცნობა მოჰყავთ, რომელშიც შენობის ღირებულებაა მითითებული. **"გამომცემლობის საწესდებო კაპიტალი მთლიანად 4 061 770 ლარს შეადგენდა, ცნობაში კი 2 270 810 ლარია მითითებული,"** – აცხადებენ მომჩივანები.

**"4 061 770 ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალში სტამბის მანქანა-დანადგარების ღირებულებაც შედიოდა, ჩვენ კი სასამართლოში მხოლოდ შენობის ღირებულების დამადასტურებელი ცნობა წარვადგინეთ, ვინაიდან დავა მხოლოდ შენობას ეხებოდა,"** – განმარტავს მერსი ცისკარიძე.

**"ჩვენ ხომ მხოლოდ იმ სამი ათას კვადრატულ მეტრზე გვაქვს პრეტენზია, რომელიც შენობის აშენების დღიდან გვეკავა,"** – აცხადებს გაზეთ "თბილისის" მთავარი რედაქტორი სოსო ჭუმბურიძე.

თუმცა, თავის დროზე მომჩივან მხარეს – "ტრადიციული გაზეთების" რედაქციებს - "პრესის სახლის" შექმნის იდეაც ჰქონდა. **"ჩვენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო სახლი, სადაც უსასყიდლოდ განთავსდებოდნენ საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები, მიუხედავად მათი ტირაჟისა და ორიენტაციისა,"** – აცხადებს "ახალგაზრდა ივერიელის" რედაქტორი გიგლა გობეჩია. მისი თქმით, "პრესის სახლის" იდეა ძალაში რჩება ისევ იდეის სახით. ოღონდ, ჯერ ის უნდა გადაწყდეს, ეკუთვნით თუ არა საერთოდ რედაქციებს ფართი სადავო შენობაში, ან თუ ეკუთვნით, ვის – რამდენი.

**"რა დააშავეს გამომცემლობის სტამბის მუშებმა, სტამბა ხომ დღემდე სახელმწიფო საკუთრებაა? თუ სახელმწიფო რედაქციებს მისცემს ფართს, სტამბას რატომ არ ეკუთვნის?"** – კითხულობს გამომცემლობის სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორი.

**"წაიღონ ის ფლიგელი, რომელშიც სხედან** (საუბარია შენობის უკანა ფლიგელზე), **ოღონდ ამისთვის ისეთი სამართლებრივი ფორმა გამოძებნონ, ამხელა ქონება ჰაერში რომ არ დარჩეს და, მათივე გამოთქმისა არ იყოს, მართლა ეშმაკები არ დაეპატრონონ,"** - წუხს მერსი ცისკარიძე.

**"თუ სასამართლო ჩათვლის საჭიროდ, რედაქციები ამ ფართს მიიღებენ, ვინაიდან ისინი არ ითხოვენ, რომ ეს შენობა მათი პირადი საკუთრება იყოს. მათ სურთ, რომ გამომცემლობა "სამშობლომ" კი არა, თავად ამ რედაქციებმა, "პრესის სახლმა" მართოს შენობა,"** – აცხადებს რედაქციების ადვოკატი ბესიკ ქარცივაძე.

თუ სარჩელი დაკმაყოფილდა, გამომცემლობა თავიდან დაფუძნდება. ამ ტერიტორიებს სასამართლო რედაქციებს მაინც ვერ მიაკუთვნებს, ვინაიდან კერძო საკუთრებაში სახელმწიფო ქონების გადაცემას სხვანაირად პრივატიზაცია ჰქვია, პრივატიზაციას კი საქართველოს "კანონი პრივატიზაციის შესახებ" არეგულირებს. **"თუ პრივატიზაციაზე მიდგება საქმე, რაც, ჯერჯერობით, არავის უხსენებია, ჩვენთვისაც უმჯობესია. თუ ეს ფართობი ამ რედაქციებს გადაეცემა, არც ჩვენ მოგვიწევს ფართის გადასახადის გადახდა. ხელს აძლევთ მათ ეს? თუ ეს შენობა კონკურსის ან ტენდერის საშუალებით გაიყიდა, რედაქციებს ხომ მაინც არაფერი ერგებათ, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ სახსრები, ხოლო ტენდერის ან კონკურსის მოსაგებად კი სოლიდური ბიზნეს-გეგმები იქნება საჭირო,"** – აცხადებს მერსი ცისკარიძე.

სხვათა შორის, მოსარჩელეებისთვის მათი სარჩელის დაკმაყოფილებას არავითარი შედეგი არ მოჰყვება – ისინი მაინც ვალდებულნი იქნებიან, ქონების გადასახადი გადაიხადონ (რის გამოც დაიწყო დავა). სამაგიეროდ, დაზარალდებიან არა მარტო შპს "გამომცემლობა სამშობლო", არამედ ის ორგანიზაციებიც, ვინც კონკურსის საფუძველზე, გამომცემლობასთან დადებული ხელშეკრულებით, კეთილსინდისიერად ფლობენ შენობაში ფართს და შესაბამის გადასახადებსაც იხდიან. ეს კი, შესაძლოა, მათი მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდეს.

საბოლოოდ, მთელი ამ აჟიოტაჟის არსი იმაში მდგომარეობს, რომ რედაქციებს სურთ, სასამართლომ აიძულოს ქონების მართვის სამინისტრო, გამომცემლობის საწესდებო კაპიტალიდან ამოიღოს ის ტერიტორია, რომელიც ამ რედაქციებს უკავიათ. თუ სად უნდა წაიღოს ამის შემდეგ მან ეს ქონება, ძნელი სათქმელია, ვინაიდან ამ რედაქციების ბალანსზე შენობის გადატანის უფლება ქონების მართვის სამინისტროს, უბრალოდ, არ გააჩნია.

**"მე არ მიმაჩნია მართებულად, რომ ეს ქონება საწესდებო კაპიტალიდან ამოვიღოთ და ჰაერში დავტოვოთ. თუმცა, თუ ამ ქონების ვინმესთვის უზურფრუქტით გადაცემის გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს, ჩვენ ამას შევასრულებთ. ეს უშუალოდ პრეზიდენტის გადასაწყვეტია,"** – ასეთია ქონების მართვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ირინა ჯობაძის პოზიცია.

თუმცა, რედაქციები იმედოვნებენ, რომ კოსტავას 14-ში მდებარე შენობას თავის საკუთრებაში პირდაპირ პრეზიდენტისგან ე.წ. "უზურფრუქტით" მიიღებენ. სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ განკერძოების უფლება ხომ მხოლოდ პრეზიდენტს აქვს.

მოხდება თუ არა ეს, და თუ მოხდება – როდის, ძნელი სათქმელია. ამ დროს კი, **"რაც უფრო გაჭიანურდება სასამართლო პროცესი, გამომცემლობა პარალიზებული მით უფრო ხანგრძლივი დროით დარჩება, გაზეთები კი უფრო დიდხანს შესძლებენ გადასახადებისთვის თავის არიდებას,"** – მიიჩნევს გამომცემლობის ადვოკატი.

და ბოლოს: როდესაც საქმის შესწავლა დავიწყეთ, ორ ცეცხლს შუა აღმოვჩნდით. ერთ მხარეს იდგნენ ჩვენი კოლეგები, რომელთა მოთხოვნებიც, ერთი შეხედვით, სამართლიანად გვეჩვენა, ხოლო მეორე მხარეს – ქონების მართვის სამინისტრო, რომლის მიერაც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფო ქონების განიავება იქნებოდა.

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე წლის მე-40 ბრძანებულების საფუძველზე გამომცემლობა "სამშობლოს" მართვის უფლება ისევ მხოლოდ ქონების მართვის სამინისტროს ხელშია, "ტრადიციული გაზეთების" რედაქტორები შენობის ხელში ჩაგდების სურვილში მაინც გამომცემლობა "სამშობლოს" ყოფილ კურატორს, პრეზიდენტის პრეს-მდივანს კახა იმნაძეს ადანაშაულებენ. თუმცა, რედაქციების ადვოკატი ბესიკ ქარცივაძე ცდილობს თავი აარიდოს ამ ერთობ საჭოჭმანო საკითხს და აცხადებს: **"მე მხოლოდ მტკიცებულებებით შემიძლია ვისაუბრო. იმ დოკუმენტებიდან გამომდინარე კი, რაც მოსარჩელე მხარეს გააჩნია, ყველაფერი შეიძლება ივარაუდო, თუმცა, არაფრის მტკიცების უფლება არ მაქვს."**

**"საინტერესოა, ვის სურს გამომცემლობის ხელში ჩაგდება: კახა იმნაძეს, რომელმაც შენობის სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება მოითხოვა, თუ რედაქციებს, რომელთაც მისი სახელმწიფო დაქვემდებარებიდან გამოყვანა სურთ?"** - კითხულობს მერსი ცისკარიძე.

ამ ეტაპზე მოსარჩელეები, სასამართლოს ძალით სთხოვენ მოპასუხე მხარეს, ქონების მართვის სამინისტროს, გამომცემლობის მთელი საწესდებო კაპიტალის ბათილად ცნობას. თუ ვის სასარგებლოდ გადაწყვეტს დავას სასამართლო, დღეს გაირკვევა, როცა ის შენობის კანონიერი მფლობელის ვინაობას დაადგენს.



გამომცემლობა "სამშობლოს" შენობა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# პიტერ შოუ: „საქართველო ძალიან საშიში ქვეყანაა"

## ინტერვიუ მძევლობიდან გათავისუფლების შემდეგ ლონდონში დაბრუნებულ ბრიტანელ ბანკირთან

*მანამდე, სანამ საქართველოს გენერალური პროკურატურის გამომძიებლები ლონდონში გასამგზავრებლად და პიტერ შოუს დასაკითხად დიდი ბრიტანეთის საელჩოს ნებართვას ელიან, 141-დღიანი ტყვეობის შემდეგ სამშობლოში ჩასული შოუ, BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში, ქართველ სამართალდამცველთა უსუსურობაზე საუბრობს და საქართველოს ძალიან საშიშ ქვეყანას უწოდებს.*



*პიტერ შოუ განთავისუფლების ღამეს.*

გუშინ BBC-ის ინტერნეტ-ვერსიით გამოქვეყნებული ინტერვიუს თანახმად, ბრიტანელი ბანკირი 18 ივლისს (ანუ გატაცების მეორე დღეს) სულაც არ აპირებდა საქართველოდან გამგზავრებას.

**პიტერ შოუ:** ბილეთები 18 ივლისისთვის უკვე ნაყიდი მქონდა, თუმცა, ჩემმა კოლეგებმა ევროკავშირიდან მთხოვეს რამდენიმე დღით დარჩენა, რადგან ჩემთვის გამოსათხოვარი საღამოს მოწყობა სურდათ. ამ სიურპრიზის შესახებ 17-ში შევიტყვე, ზუსტად მაშინ, როცა სამსახურიდან წასასვლელად ვემზადებოდი. რაღა თქმა უნდა, ძალიან გამეხარდა.

ზუსტად მახსოვს, სამსახურიდან შვიდის თხუთმეტ წუთზე გამოვედი. ბანკს დიდი მანძილით არ ვიყავი დაშორებული, როცა საგზაო პოლიციამ გამაჩერა – თბილისისთვის ჩვეულებრივი ამბავია. მანქანის მინა ჩამოვწიე და ვკითხე, რითი შემეძლო მათი დახმარება. სწორედ ამ დროს ჩამარტყეს თავში. მუშტი თვალში მომხვდა. სანამ გავერკვეოდი, რა მოხდა, იქვე კიდევ ერთი მანქანა გაჩერდა, საიდანაც სამი, სამხედრო ფორმის მსგავს ტანსაცმელში ჩაცმული, ნიღბიანი კაცი გადმოვიდა. მათ გიჟებივით დაიწყეს ჰაერში სროლა. მერე პოლიციელის ფორმიანთან ერთად მოვიდნენ და მანქანიდან გადმომსვეს. მაიძულეს, მათი მანქანის უკანა სავარძელზე დავმჯდარიყავი. ეს არც ისე ადვილი იყო, რადგანაც მე უსაფრთხოების ქამარი მქონდა შეკრული, ამას კი საქართველოში მიჩვეულნი არ არიან და თავდამსხმელებიც ასეთ დაბრკოლებას არ ელოდნენ. სროლა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ, მერე კი რაღაცით გამთიშეს.

მახსოვს მხოლოდ ის, რომ ჩვენს მახლობლად ნამდვილი პოლიციის მანქანა გაჩერდა. ეს საკმაოდ სასაცილო იყო: ქართულ პოლიციას ცოტა ფული აქვს და მათ არ შეუძლიათ, პისტოლეტში ერთზე მეტი ტყვია ჩადონ. ასე რომ, მათ ვერაფერი მოახერხეს. ბანდიტები სროლას აგრძელებდნენ და პოლიციელებს გაქცევის მეტი აღარაფერი დარჩენოდათ.

**BBC: როდის მიხვდით, რომ ეს ყველაფერი თქვენი მოტაცების მიზნით ხდებოდა? ამ წუთებში ხომ თქვენ სიტუაციის გაანალიზების დრო არ გქონდათ?**

**პიტერ შოუ:** როცა პოლიციის-ფორმიანმა დამარტყა, მივხვდი, რომ რაღაც უცნაური ხდებოდა. მართალი გითხრათ, თავიდან გავბრაზდი კიდეც: იმ დროისთვის საქართველოში ცხოვრების ექვსწლიანი გამოცდილება მქონდა და ამ ხნის მანძილზე ძალიან ვფრთხილობდი, შესაბამისად, არასოდეს მქონია პრობლემები არც პოლიციასთან და არც ბანდიტებთან. და ეს მაშინ, როცა საქართველო ძალიან საშიში ქვეყანაა.

**BBC: თქვენ ტყვეობაში 141 დღე გაატარეთ. მთელი ამ დროის მანძილზე ორმოში გამყოფებდნენ. როგორც მახსოვს, ძაღლის საყელურის მაგვარი რაღაც გაგიკეთეს..**

**პიტერ შოუ:** დიახ, ამ ორმოში ოთხი თვე და ხუთი დღე გავატარე. იცით, ალბათ, მიხსნა იმან, რომ რაღაც აზრის შეტანა ვცადე ამ არსებობაში. ვცადე, რაღაც დღის განრიგის მსგავსი მომეფიქრებინა. შუქი ორმოში თითქმის ვერ აღწევდა. დღეში კი მხოლოდ ერთ სანთელს მაძლევდნენ. გამოვთვალე კიდეც – ეს სანთელი ზუსტად 45 წუთს მყოფნიდა.

**BBC: რამხელა იყო ორმო, სიარული, ფეხის გაშლა მაინც თუ შეგეძლოთ?**

**პიტერ შოუ:** არა, რას ამბობთ. თქვენ გაგიწყდებათ, რომ მე საყელური მეკეთა, ნაბიჯის გადაგმაც კი არ შემეძლო. საამისოდ ფართობიც – დაახლოებით, ორი მეტრი ერთნახევარზე - მაინცდამაინც ხელს არ მიწყობდა. ერთადერთი ჩაჯდომის საშუალება მქონდა. გვერდითა ოთახში რადიო იყო, რომლითაც მუდმივად რაღაც აღმოსავლურ მუსიკას გადმოცემდნენ, მეჩეთებში რომ მოგისმენიათ, ისეთს. ეს მაინცდამაინც არ მომწონდა. ასე ვთქვათ, არც ისე შესაფერისი მუსიკალური გაფორმება გახლდათ.

დროს ვადგენდი საინფორმაციო გამოშვებების მიხედვით. რა თქმა უნდა, დიქტორის საუბარს ვერ ვარჩევდი. ისიც კი არ ვიცი, რადიოკომპანიას რა ენაზე ჰქონდა მაუწყებლობა. უფრო ხშირად დღე მეძინა და ღამით ვფხიზლობდი. იცით რას ვაკეთებდი? ძალიან მიყვარს პიანინოზე დაკვრა და ფიქრებში ამერიკულ სიმღერებს და კლასიკურ მელოდიებს ვუკრავდი.

**BBC: გაქცევა თუ სცადეთ?**

**პიტერ შოუ:** დიახ, არა ერთხელ. სამწუხაროდ - უშედეგოდ. ყოველი ასეთი მცდელობისთვის მცემდნენ და ისევ ორმოში მაგდებდნენ. ფიქრებში ჩემი ოჯახის წევრებს: ცოლს, ქალიშვილს, ბიჭებს, ასევე, მეგობრებსა და კოლეგებს ვესაუბრებოდი. ვალიურ ჰიმნებსაც ვმღეროდი, რაც გამტაცებლებს, ცხადია, არ მოსწონდათ. კიდევ - ხშირად ვლოცულობდი. რა თქმა უნდა, ვლოცულობდი ყოველი გაქცევის წინ. მე არ ვარ ძალიან რელიგიური ადამიანი, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ლოცვა მინდოდა. ახლა ვიცი, რომ ჩემთვის მთელ მსოფლიოში ათასობით ადამიანი ლოცულობდა.

შემოდგომა დგებოდა, როცა ორმოს სახურავში წყალმა დაიწყო ჟონვა. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ დეკემბერს ვეღარ გადავიტანდი.

**BBC: ამ დროს კი სახლში გელოდნენ. თქვენი ოჯახისთვის ეს ოთხი თვე, ალბათ, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო?**

**პიტერ შოუ:** რა თქმა უნდა. მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ მათ არაფერი იცოდნენ ჩემს შესახებ. და ოპტიმიზმის არავითარი საფუძველიც არ არსებობდა.

სხვათა შორის, მინდა მადლობა ვუთხრა იმ ხალხს, ვინც ჩემს დახმარებას ცდილობდა, ვინც გზებს ეძებდა ჩემს გასათავისუფლებლად. შინ დაბრუნებამდე არც ვიცოდი, რომ ყოფილან ადამიანები, რომლებიც ჩემს იქიდან გამოყვანას ცდილობდნენ. და, რა თქმა უნდა, მადლიერი ვარ ევროკომისიის, რომანო პროდისა და სხვა დიპლომატების.

**P.S.** ვინც თავიდანვე ადევნებდა თვალყურს პიტერ შოუს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს – გატაცებიდან გათავისუფლებამდე – მის ინტერვიუში ბევრ შეუსაბამობას აღმოაჩენს. ამასთან, საეჭვოა, რომ ქართველ გამომძიებლებთან შეხვედრამ ისეთივე თბილ ვითარებაში ჩაიაროს, როგორც ბრიტანელ ჟურნალისტთან. მით უმეტეს, თუ გამოძიება, დაპირებისამებრ, დაინტერესდება საქართველოში მისი ფინანსური საქმიანობის დეტალებით.

# ჯორბენაძის დაკითხვამ ნათელაშვილი ძველ დასკვნამდე მიიყვანა

ლეიბორისტთა ლიდერის შალვა ნათელაშვილის სარჩელის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის დაკითხვით გააგრძელა.

გუშინ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე სასამართლოში ორი საათის განმავლობაში იკითხებოდა. ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ენერგომდგომარეობის თაობაზე ჯორბენაძის ოპტიმისტურმა განმარტებამ დარბაზში მყოფთა აღშფოთება გამოიწვია. "თუ ასეთ დალაგებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, აქ მაშინ რისთვის მოვედით," – ასეთი რეპლიკების ფონზე იძლეოდა ჩვენებას სახელმწიფო მინისტრი.

ავთანდილ ჯორბენაძის მოწმის სახით დაკითხვა მომჩივანმა შალვა ნათელაშვილმა ითხოვა. იგი საკონსტიტუციო სასამართლოს ტარიფის გაზრდის შესახებ სემეკის დადგენილების, თელასის პრივატიზების ყველა აქტის გაუქმებასა და საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პრეზიდენტის მოწვევასაც კი სთხოვს.

სახელმწიფო მინისტრმა "ეი-ი-ეს თელასის" შემოსვლამდე ჩაბნელებული საქართველო გაიხსენა და დაასკვნა, რომ თელასის პრივატიზება ერთ-ერთი ოპტიმალური გადაწყვეტილება იყო. თუმცა, ავთანდილ ჯორბენაძემ ისიც აღნიშნა, რომ იმ პერიოდში საქართველოს არ ჰქონდა სტრატეგიული ობიექტების პრივატიზების გამოცდილება, "ამიტომ შეცდომებიც იყო დაშვებული", – განაცხადა მან.

რაც შეეხება ელექტროენერგიის გაზრდილ ტარიფს, ავთანდილ ჯორბენაძემ სახელმწიფოს მიერ გაზრდილი ტარიფის განსხვავების დაფარვის მყარ გარანტიებზე ისაუბრა. მისი თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში კომპენსაციის სახით იქნება განსაზღვრული 4,5 მილიონი ლარი. გარდა ამისა, ამერიკელი პარტნიორების (კერძოდ, USAID-ის) დახმარებაც დაფარავს ტარიფის განსხვავებას.

ავთანდილ ჯორბენაძემ ბუნდოვანი პასუხი გასცა მოსამართლის შეკითხვას იმის თაობაზე, თუ რამდენი ხნის განმავლობაში დაიფარება ტარიფში არსებული განსხვავება. მისი თქმით, ეს მთავრობის უმთავრესი ამოცანაა და ტარიფს აუცილებლად გადახედავენ. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრმა ისაუბრა გაზსადენებისა და ნავთობსადენების წარმატებით ამუშავებაზეც, რის შედეგადაც საქართველოს საკუთარი ენერგორესურსები ექნება. იგი შეეხო ენერგოსისტემის რეაბილიტაციის, მათთვის ფინანსური წყაროების მოძიების, მცირე შესაძლებლობების მქონე ბაზისური სადგურებისა და საინვესტიციო გარემოს შექმნის თემებსაც. სასამართლოზე მან ტარიფების შემცირებისთვის ღონისძიებების გატარებასა და ერთიანი სამხრეთ-კავკასიური ენერგოსისტემის შექმნაზეც ისაუბრა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მინისტრი ტარიფის ზრდის საკითხთან დაკავშირებით ხშირად იშველიებდა სემეკის გადაწყვეტილებას და აცხადებდა, რომ სემეკი დამოუკიდებელი უწყებაა.

ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ მოსარჩელე შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ იგი "საბოლოოდ დარწმუნდა: შუქის, ნორმალური ცხოვრების დაბრუნების გზა გადის შევარდნაძის სისტემის დემონტაჟზე და მის გადადგომაზე".

# საკრებულომ მოადგილეების მოსმენა იუკადრისა

"ესენიც ადამიანები არიან, რადგან მოვიდნენ; იქნებ კახი ასათიანის მკვლელობაზე მაინც ვალაპარაკოთ", - დედაქალაქის სამართალდამცველ ორგანოთა მეორე პირების მიმართ ასე ლოიალურად განწყობილი თბილისის საკრებულოს წევრები გუშინ უმცირესობაში აღმოჩნდნენ. საკრებულოს უდიდესმა ნაწილმა თბილისის პოლიციისა და უშიშროების უფროსების და ქალაქის პროკურორის მოადგილეების მოსმენა იუკადრისა. საბოლოოდ კი სამდივნოს დაევალა, ერთი კვირის მანძილზე უზრუნველყოს საქართველოს (და არა დედაქალაქის) პირველი პირების საკრებულოში მოსვლა.

სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელობის საკრებულოში მისვლა თავად საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა მოითხოვა; თუმცა, მოთხოვნის დაკმაყოფილებას აღარ დალოდებია და სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრა ბორის ნემცოვის მიწვევით, რათა "მემარჯვენე ძალთა გაერთიანების" კონფერენციას დასწრებოდა. პირველი პირის გარეშე დარჩენილმა საკრებულომ კი დედაქალაქის სამართალდამცველი ორგანოების მეორე პირთაგან არც კახი ასათიანის მკვლელობის დეტალების მოსმენა ისურვა და არც იმის, თუ რატომ გართულდა დედაქალაქში კრიმინოგენული სიტუაცია.

საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომც მოენდომებინათ, ახალს ვერც ვერაფერს შეიტყობდნენ - არც ერთი ის ორგანო, რომელთა წარმომადგენლებიც მივიდნენ გუშინ საკრებულოში, უფლებამოსილი არ იყო კახი ასათიანის მკვლელობის დეტალებზე ესაუბრა, რადგანაც მკვლელობას გენერალური პროკურატურის საგამოძიებო აპარატი იძიებს.

ჟურნალისტების შეკითხვას – "მათთვის რომ მოესმინა, რას ეტყოდნენ საკრებულოს," თბილისის პროკურორის მოადგილემ ჯანსულ ჯანელიძემ უპასუხა, რომ მხოლოდ მკვლელობის გარემოებებს თუ უამბობდნენ ხელახლა, რადგანაც გამოძიების დეტალებზე საუბრის პრეროგატივა მხოლოდ და მხოლოდ გენერალურ პროკურატურას ეკუთვნის.

# გივი თარგამაძეს წინასაარჩევნოდ „ძველ ცოდვებს" უხსენებენ

პირველი გვერდიდან

ერთი სიტყვით, დაზარალებულთა მტკიცებით, დეპუტატი შეიძლება გახდეს გივი თარგამაძე, რომელმაც 8 ივლისს საკუთარი ქორწილი მიატოვა და რამდენიმე ნასვამ მეგობართან ერთად, ასევე ნასვამ მეგობარს გამოექომაგა. ნოდარ დონაძის თქმით, თარგამაძის მეგობარმა ირაკლი აბაშიძემ, ახლობლისაგან ნათხოვარი "აუდით", რომელსაც ყოველგვარი საბუთის გარეშე მართავდა, საგზაო წესები დაარღვია და მისი შვილის, დავით დონაძის "ჟიგულს" დაეჯახა. შეზარხოშებულმა აბაშიძემ მტყუან-მართლის გარჩევაში დასახმარებლად გივის და მის რაზმს მოუხმო. თავის მხრივ, დავითმა მომხდარის შესახებ მამას შეატყობინა. მოკლედ, ცოტა ხანში შემთხვევის ადგილზე მექორწილენი მივიდნენ და მამა-შვილი დაუნდობლად სცემეს. **"ჩემი თვალით ვუყურებდი, როგორ ურტყამდა ჩემს შვილს სამი კაცი. ამ დროს მას უკნიდან გივი თარგამაძე მიეპარა და თავში ბოთლი ჩაარტყა. მე ვუთხარი: იცოდე, გივი, ამას არ გაპატიებ. ის კი იდგა და მაგინებდა – ვერაფერს დამაკლებო,"** – ყვებოდა ნოდარ დონაძე.

საათნახევრიანი ჩხუბის შემდეგ საქმეში საგზაო პოლიციაც ჩაერია და საბოლოოდ ჩხუბი იმით დასრულდა, რომ პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში გივი თარგამაძის და მისი ორი მეგობრის - აბაშიძის და ბუცხრიკიძის მიმართ ხულიგნობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ამ საქმის საბრალდებო დასკვნა გუშინ ქალაქის პროკურორმა დაამტკიცა და შემდგომი განხილვისათვის ვაკე-საბურთალოს სასამართლოში გადაგზავნა.

როდის მიაღწევს საქმე რაიონის სასამართლომდე ან როდის დაიწყება მისი განხილვა, წინასწარ ძნელი სათქმელია. თუმცა, მანამდე ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თარგამაძის "ულირს" საქციელზე შეფასების გამოტანა მაინც მოუწევს.

როგორც ანტიმონოპოლიური სამსახური ამტკიცებს, თარგამაძის ცნობილი წინასაარჩევნო რეკლამა, უფრო სწორად, შევარდნაძის პრეზიდენტობის დარჩენილი დღეების დამთვლელი სტენდი კანონის დარღვევით, საკუთარი სურვილით მიუტანია სპორტის სასახლის წინ და ჩაუბეტონებია. არადა, საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის მსურველ თარგამაძეს, კანონის თანახმად, ასეთი ღონისძიებისათვის ოფიციალური ნებართვა ქალაქის მერიიდან უნდა აეღო. მიუხედავად ორგზის გაფრთხილებისა, დეპუტატობის მსურველმა კანონი მაინც დაარღვია, რისთვისაც ანტიკორუფციული სამსახური 600-დან 800 ლარამდე ჯარიმის დაკისრებით ემუქრება. **"არა აქვს მნიშვნელობა, გახდება თუ არა თარგამაძე დეპუტატი, აღნიშნული თანხის გადახდა მას მაინც მოუწევს,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა არმაზ თავაძემ.

ერთი სიტყვით, თარგამაძეს გუშინ ბრალდებათა ორ ფრონტზე მოუწია თავდაცვა. თუმცა, დეპუტატობის კანდიდატი გასამართლებელი მიზეზების საძებნელად შორს არ წასულა. თარგამაძემ ყველაფერი მისი პარლამენტარობის მოწინააღმდეგე ხელისუფლებასთან დაპირისპირებით ახსნა.

მაგრამ რა ეშველება მის ამომრჩეველ დონაძეების ოჯახს, რომლებიც საკუთარი ღირსების დასაცავად სტრასბურგამდე წასვლის მზადყოფნას გამოთქვამენ.

# გახმაურებული დანაშაული გაიხსნა

ორი კვირის წინ სასტუმრო "მეტეხი-პალასთან" მომხდარი გახმაურებული დანაშაული გახსნილია. ისანი-სამგორის პოლიციამ კრიმინალთა 7-კაციანი ჯგუფი, რომელთა შორის მცირეწლოვანი, 13 წლის ბავშვიცაა, გუშინ, დილით, მთაწმინდაზე მდებარე ბარში დააკავა.



*პრესკონფერენცია ისნანი-სამგორის პოლიციის სამმართველოდან.*

10 ნოემბერს სამსახურიდან - სასტუმრო "მეტეხიდან" - სახლში მიმავალი 28 წლის ახალგაზრდა ქალი, რომელიც სასტუმროს წინ, გაჩერებაზე, სამარშრუტო ტაქსს ელოდებოდა, ავლაბარში ცნობილი კრიმინალების - ვალერი ხიზამბარელისა და კახა ლომიძის - მსხვერპლი გახდა. თავდამსხმელებმა იგი იარაღის მუქარით სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოიყვანეს და იქვე მდებარე მეგობრის სახლში ძალით მიიყვანეს, სადაც ხუთმა კაცმა გააუპატიურა. შემდეგ იგი წაიყვანეს მოსკოვის პროსპექტზე მცხოვრებ მეგობართან, რომელსაც დაბადების დღეზე საჩუქრად დატყვევებული ქალი მიართვეს. ქალი იუბილარმაც გააუპატიურა. ფაქტობრივად, უგონო მდგომარეობაში მყოფი მძევალი მეგობრებმა ავლაბარში მდებარე "გოგილოს აბანოებში" მიიყვანეს, სადაც იგი კვლავ გააუპატიურეს. ამის შემდეგ ქალი წაიყვანა ერთ-ერთმა მოძალადემ ვალერი ხიზამბარელმა და კვლავ გააუპატიურა.

გუშინ ისანი-სამგორის პოლიციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ისანი-სამგორის რაიონის პროკურორმა ვაჟა აბაკელიამ განაცხადა, რომ დაზარალებულმა დაკავებული 7 ეჭვმიტანილიდან 4 ამოიცნო. ეჭვმიტანილთა უმრავლესობა ნასამართლევია, დრამის მთავარი გმირი კახა ლომიძე კი რეციდივისტია. იგი ხუთჯერაა ნასამართლევი. დაკავებულმა ეჭვმიტანილებმა ჩადენილი დანაშაული აღიარეს; თუმცა, განაცხადეს, რომ მათ ძალა არ გამოუყენებიათ და მომჩივანის თანხმობით მოქმედებდნენ.

დაზარალებულს უკვე ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომლის თანახმადაც დადგინდა, რომ ქალი გაუპატიურებულია გაუკუღმართებული გზით. გარდა ამისა, დაზარალებული დაავადდა სხვადასხვა ვენერული დაავადებებით.

საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მესამე ნაწილით. ჯგუფურ გაუპატიურებაში ბრალდებულ დამნაშავეებს 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. "მე რომ მოსამართლე ვიყო, 15 წელს და მეტსაც მივუსჯიდი მათ," – განაცხადა ისანი-სამგორის პროკურორმა ვაჟა აბაკელიამ.

## მოკლედ

### ბეჟუაშვილი დანაშაულში ამხილეს

კონტროლის პალატამ დაასრულა სააქციო საზოგადოება "საქგაზის" ფინანსური და იურიდიული დოკუმენტაციის შესწავლა დღიდან მისი დაფუძნებისა. დღეს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ბადრი ბიწაძემ სახელმწიფო მინისტრთან გამართულ თათბირზე განაცხადა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები მიუთითებენ დარღვევებს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მითვისების შესახებ. მისი თქმით, ყოველივე ამასთან კავშირი აქვს "საქგაზის" ერთ-ერთ დამფუძნებელს, ამჟამად კი საქართველოს პარლამენტის დეპუტატს დავით ბეჟუაშვილს. გენერალური პროკურორის მოადგილის აზრით, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. თუმცა, ბეჟუაშვილი დეპუტატის ხელშეუხებლობით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, ბიწაძის თქმით, დამატებითი ინფორმაციის მოგროვებაზე მუშაობა გრძელდება. **"კავკას-პრესი"**

### რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატს თავს დაესხნენ

მოსკოვში თავს დაესხნენ სახელმწიფო დუმის შრომისა და სოციალური პოლიტიკის კომიტეტის აპარატის უფროსს, დეპუტატ ვალენტინა ლეტნევას. მოსკოვის მილიციის ინფორმაციით, თავდასხმა მოხდა დეპუტატის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში. ლეტნევას თავს დაესხა ინტელიგენტური გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცთა ჯგუფი. მათ დეპუტატს თავში მძიმე საგანი ჩაარტყეს. გონებადაკარგული ლეტნევა სახანძრო კიბით სახლის ზედა სართულზე აიყვანეს, ამოაცალეს 40 ათასი რუბლი და საბუთები, რის შემდეგაც მძარცველებმა დეპუტატი ლიფტში შეიყვანეს და უგონო მდგომარეობაში მყოფი იქ დატოვეს. მოსკოვის მილიციამ დაზარალებულის ჩვენების მიხედვით შეადგინა თავდამსხმელთა ფოტორობოტი, რის საფუძველზეც მიმდინარეობს მათი ძებნა. "ვაშინგტონელი სნაიპერის" დასაჭერად დაწესებულ ჯილდოს აშშ-ს პოლიცია ვერ ანაწილებს

### თურქმენეთის ხელისუფლებას ადამიანის უფლებებს ახსენებენ

ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაცია, "საერთაშორისო ამნისტია", თურქეთის ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დაცვისკენ მოუწოდებს. საუბარია, თურქმენეთის პრეზიდენტის ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულებზე. "საერთაშორისო ამნისტიამ" თურქმენეთის ხელისუფლებას წერილით შეახსენა საერთაშორისო იურიდიული ნორმები და თურქმენბაშის მთავრობას მათი დაცვისკენ მოუწოდა. "საერთაშორისო ამნისტიის" ინფორმაციით, ტერორისტული ბრალდებით დაკავებულები არიან თურქმენეთის პრეზიდენტის მიერ ქვეყნიდან გაძევებული ოპოზიციის ლიდერების, ყოფილი მინისტრების, ახლო ნათესავები. ორგანიზაცია ეჭვს გამოთქვამს, რომ დაკავებულები, შესაძლოა, წამების მსხვერპლნი გახდნენ.

### "ნორდ-ოსტის" ტერორისტებს მკაცრი სასჯელი არგუნეს

რუსეთის სახელწიფო დუმის რამდენიმე დეპუტატი მოსკოვის კულტურის ცენტრის გათავისუფლებისას მოკლულ ტერორისტებს იცავს ხელისუფლების სისასტიკისგან. საქმე ისაა, რომ მოკლული 41 ტერორისტის ცხედარი ჯერ კიდევ ლეფორტოვოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მაცივარშია და მანამდე არ დამარხავენ, სანამ რუსეთის პრეზიდენტი დუმის მიერ მიღებულ საკანონმდებლო შესწორებებს საბოლოოდ არ მოაწერს ხელს. კანონში "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" შეტანილ ცვლილებებს, სადაც საუბარია ტერორისტის ცხედარის ახლობლებისთვის არ გადაცემის შესახებ, პრეზიდენტი უკვე გაეცნო და სავალდებულო შენიშვნებით დუმას დაუბრუნა. მას შემდეგ, რაც დუმა პრეზიდენტის შენიშვნებს მიიღებს და კანონს პუტინიც საბოლოოდ ხელს მოაწერს, ბარაევისა და მისი თანამებრძოლების ცხედრებს ლეფორტოვოს იზოლატორის სასაფლაოზე დამარხავენ.

## "ბი-პი"-ს დოკუმენტში არაადეკვატურად აისახა ქართველ ექსპერტთა პოზიცია

*საქართველოში, როგორც ყოველთვის, გვიან შემოიკრეს თავში ხელი და მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში შეწუხდნენ შთამომავლობის წინაშე პასუხისმგებლობით. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი თითქმის სამი წელია მუშავდება. მისი განხილვა და დოკუმენტაციის ნაკლოვანებების აღმოჩენა კი ამა წლის ზაფხულიდან ნელი რხევით დაიწყო. მძაფრი განხილვა და ნაირგვარი საექსპერტო შეფასებებით საკუთარი ინტერესების უმწვავესი ფორმით დაცვა კი, ამ დღეებში მიმდინარეობს. არადა, ხვალ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან გასაცემი ერთადერთი – გარემოსდაცვითი ნებართვა გაიცემა. მთავარია, მისი აღსრულებისთვის სავალდებულო პირობებში რა მოთხოვნები ჩაიწერება. მაგრამ, ეს არ იქნება ვნებათაღელვის დასასრული. გარემოსდაცვითი არასამთავრობო სექტორი საპროტესტო აქციების გამართვას დღეიდან კვლავ განაახლებს. ისინი არ აპირებენ მდიდარ "ბრიტიშ პეტროლიუმსა" თუ სახელმწიფო კანცელარიასთან შეპუებას. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელის რეგიონული კოორდინატორი, მანანა ქოჩლაძე აცხადებს, რომ ის მოუთმენლად ელის გია ჭანტურიას დანაპირების შესრულებას – ახალქალაქის მარშრუტზე უარის თქმის პოლიტიკური თუ უსაფრთხოების ყველა არგუმენტისა და ხელმომწერი პირების გაცნობა-დასახელებას. პროექტის განხორციელებაზე ნებართვასა და სავალდებულო პირობებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, ნინო ჩხობაძე შაბათს, 30 ნოემბერს გააცხადებს.*

გიორგი გახელაძე

**- რის საფუძველზე ამბობს "ბრიტიშ პეტროლიუმის" საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, რომ გარემოსდაცვითი საკითხები მათთვის პრობლემას არასოდეს წარმოადგენდა და ახლაც მათ გადაწყვეტილებებს ვერაფერი შეცვლის?**

- მე ვერ ვიტყოდი, რომ ამ განხილვების დროს ისინი თავდაჯერებულად გამოიყურებიან. ჯერჯერობით, ჩვენგან დასმულ კითხვებსა თუ მოთხოვნებზე ისინი გვპასუხობენ, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ და, რაც მთავარია, შეასრულებენ.

**- "ბი-პი"-მ წარმოგიდგინათ პასუხები ქართველი და უცხოელი ექსპერტების ცნობილ 32 შეკითხვაზე?**

- მხოლოდ ხუთშაბათს საღამოს და ჩვენ პრაქტიკულად ერთი დღე გვრჩება მათ შესასწავლად.

**- უკანასკნელი განხილვების დროს გამოიკვეთა დამატებითი სავალდებულო პირობები და მათი შესრულების გარანტიები?**

- მათი ნაწილი უკვე ნათელია. გარემოსდაცვითი ნებართვის თანმხლები ერთი პირობის შეუსრულებლობაც კი, ხელშეკრულების თანახმად, სამუშაო პროცესს ავტომატურად შეაჩერებს. განახლდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაკმაყოფილდება მოცემული პირობა.

**- საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა, გია ჭანტურიამ ოთხშაბათს განაცხადა, რომ პარასკევისთვის გადაიდო ალტერნატიული – ყარა-ყაის მარშრუტის ტექნიკური დეტალები. "ბი-პი"-ს წარმომადგენლები კი მარშრუტის შეცვლას არც კი ვარაუდობენ. მაშ, განიხილება თუ არა?**

- პარასკევს, საღამოს 5 საათისათვის შედგება საერთოდ ბორჯომის ეკოსისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი და შესაბამისად, მისი ალტერნატიული მარშრუტიც. ე.წ. ახალქალაქის მესამე მარშრუტი პოლიტიკური და უსაფრთხოების მოტივებით ამ შეხვედრებზე არ განიხილება. ეს გადაწყვეტილება ჩემს კომპეტენციას სცილდება.

**- იქნება თუ არა მიწვეული ბორჯომის წყლების ძირითადი მწარმოებელი კომპანიის ხელმძღვანელი, მამუკა ხაზარაძე, როგორც დაინტერესებული მხარე?**

- არ არის გამორიცხული. თუმცა, წყლები იესევე, როგორც წიაღი, სახელმწიფო რესურსია. აქვე აღმოჩნდა წიაღისეულის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის გარკვეული დარღვევები. პარასკევს ამის თაობაზეც წარმოადგენს "ბი-პი" თავის იურიდიულ დასკვნას.

**- რამდენად ეთანხმება საკუთრივ საქართველოს სახელმწიფოსა და "ბრიტიშ პეტროლიუმს" შორის დადებული ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობას?**

- ეს ხელშეკრულება საერთაშორისოა, რატიფიცირებულია და ამდენად ჩვენივე კანონმდებლობით ის საქართველოს სხვა, კერძოდ, გარემოსდაცვით კანონებთან შეუსაბამობის მიუხედავად, მოქმედებს. სწორედ, ამის გამო შეგვეზღუდა გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის ვადები 30 დღემდე, თორემ ჩვენი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ითვალისწინებდა 60 დღეს.

**- თქვენი სამინისტროს მიერ საქართველოში დაქირავებულმა 60-ივე ექსპერტმა მოაწერა ხელი საკუთარ დასკვნებს?**

- დიახ, ყველამ. არსებობს კიდევ მეცნიერებათა აკადემიის სპეციალურად შექმნილი ქვეკომისიის საერთო დასკვნა გეოლოგიურ საკითხებზე. ამ კომისიას აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე ხელმძღვანელობდა. მათი შეფასებით, ე.წ. ბორჯომის მონაკვეთზე მარშრუტი უნდა შეიცვალოს. განხილვა უცნაურად მიდიოდა. ამ ქვეკომისიის ყველა და USAID-ის ექსპერტი კოდიანას მეწყერულ ზონას არგუმენტირებულად მიიჩნევს სიღრმისეული წარმოშობისად, ხოლო "ბი-პი" ჯიუტად ამტკიცებდა მათ ზედაპირულ ხასიათს. საბოლოოდ, დათანხმდნენ, რომ მათი სპეციალისტები ჩამოვლენ და დამატებით შეისწავლიან ამ ზონას.

**- როგორ გადაწყდა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საკითხი?**

- განსახილველ მარშრუტზე, ამ თვალსაზრისით, რთული უბანია ქციატაბაწყურის აღკვეთილი და შევთანხმდით, განსაკუთრებით სამშენებლო პროცესის, სპეციალური რეჟიმის შემუშავებაზე. ამ უბნისთვის ახალი სამენეჯმენტო გეგმა უნდა შემუშავდეს. კოდიანას მსგავსად, ეს საკითხიც სავალდებულო პირობების ნაწილში აღმოჩნდება. პარასკევს კი, განცალკევებით განიხილება ტყის ფონდის დაცვის საკითხი.

**- რატომ ხდება ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემების მძაფრი განხილვა მხოლოდ ახლა - სახელშეკრულებო ვადების მიწურულს?**

- სამწუხაროდ, პროექტის შინაარსი ჩვენ გაგვაცნეს მაშინ, როდესაც დაიწყო მისი საზოგადოებრივი განხილვა – მიმდინარე წლის გაზაფხულზე. მხოლოდ ამის შემდეგ, ფაქტობრივად ბოლო ეტაპზე, მოგვეცა საშუალება, შეგვესწავლა და შეგვეფასებინა ეს დოკუმენტი. ამასთან, ინტერესთა კონფლიქტის გამო, ჩვენ არ შეგვეძლო კონსულტაციების წარმოება პროექტის შემუშავების პერიოდში.

ჩემთვის გაუგებარია იმ ქართველი გარემოსდამცველი ექსპერტების პოზიცია, რომლებიც თავად "ბრიტიშ პეტროლიუმს" ჰყავდა დაქირავებული გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად (გზშ). მათ ეს პრობლემები მშვენივრად იცოდნენ. მხოლოდ რამდენიმემ გააპროტესტა "ბი-პი"-ს მიერ საზოგადოებრივი განხილვისათვის გამოქვეყნებულ დოკუმენტში მათი საექსპერტო შეფასებების არსებითი სახეცვლილება ან არგამოჩენა. მაგალითად, სახეობათა კონსერვაციის ცენტრმა NACRES განაცხადა, რომ მათი დასკვნა, ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით, არადექვატურად აისახა "ბი-პი"-ს დოკუმენტში.

**- თქვენ ადრე განაცხადეთ ხელმომწერი ექსპერტებისა და ნებართვის გამცემი მინისტრის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. კონკრეტულად, რა სასჯელი იგულისხმება?**

- თავისუფლების აღკვეთა. თანაც დანაშაულის ხანდაზმულობა განუსაზღვრელია. ყველაზე მეტად ეს მეხება მე, რადგან ნებართვა ყველა დასკვნის საფუძველზე უნდა გავცე. ეს ჩვენი კანონმდებლობის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოთხოვნაა.

## ნუ გეშინია, ტყეო!

ზაზა ფაჩუაშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მამუკა ხაზარაძის წერილის მიღების შემდეგ ბორჯომის ნაკრძალის სავალალო მდგომარეობა ისეთი გულისტკივილით აცნობა მთავრობის წევრებს, რომ უშიშროების საბჭოს აპარატს აღნიშნული საკითხის შემსწავლელი კომისიის შექმნაც კი დაავალა. კომისია ოპერატიულად შეიქმნა, მაგრამ იგი მარტო ბორჯომის ხეობით არ შემოიფარგლება. კომისია ხე-ტყის მდგომარეობას მთელი ქვეყნის მასშტაბით შეისწავლის. კომისიის პირველი სხდომა გუშინ ბორჯომის ხეობაში გაიმართა. სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯემალ გახოკიძემ, რომელმაც თავდაპირველად პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება ჩამოაყალიბა:

"ტყის რესურსების უკანონო სარგებლობის გამომწვევი და ხელის შემწყობი მიზეზების დადგენის, მათი აღმოფხვრის და მათთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის მიზნით საქართველოს უშიშროების საბჭოსთან შეიქმნას ტყის მასივების განადგურების, ეკოლოგიური და სამართლებრივი პრობლემების შემსწავლელი დროებითი საუწყებათაშორისო კომისია."

კომისიის წარმომადგენლობითი შემადგენლობის გაცნობის შემდეგ სხდომა მუშაობას შეუდგა. ჯემალ გახოკიძემ, სამცხე-ჯავახეთის რწმუნებულმა და კომისიის სხვა წევრებმა შემაშფოთებელი ინფორმაცია გააკეთეს ხე-ტყის უკანონო ჩეხვასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვეს პრობლემის გადაუდებელი მოგვარების აუცილებლობას.

მამუკა ხაზარაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკითხისადმი პრეზიდენტის დამოკიდებულება. შევარდნაძე, თურმე, ბორჯომის ხეობის პრობლემას პანკისს ადარებს და, თუ საჭირო იქნება, მზად არის, ხეობაში ჯარი შეიყვანოს, რათა ხე-ტყის უკანონო ჩეხვა შეაჩეროს. თავად ხაზარაძემ კი ტყის გაჩეხვასთან დაკავშირებით მორატორიუმის შემოღება მოითხოვა. კომისიას სამუშაოდ ორი თვის ვადა მიეცა. ამ ხნის განმავლობაში მან უნდა მოამზადოს დასკვნა და პრეზიდენტს მოახსენოს, შეუძლია თუ არა ქვეყანას აღნიშნული პრობლემის მოგვარება და თუ შეუძლია, რეკომენდაციებიც გააკეთოს. შესაბამის უწყებებს დაურიგეს კითხვარები, რათა პრობლემა მაქსიმალურად წარმოჩინდეს ყველა უწყების მხრიდან. კომისიის უახლოესი სხდომა ერთ კვირაში გაიმართება.

## "ბი-პი" თავისუფლდება მთელი რიგი ვალდებულებებისგან და კანონზე მაღლა დგას

პირველი გვერდიდან

რეგიონის ენერგეტიკულ საკითხებში სტივენ მანს დავესესხებით, ნავთობსადენის პროექტის წარმატებით განხორციელებას მოჰყვება **"ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტის მშენებლობაც. გარდა ამისა, ამ მილსადენების მშენებლობა ხელს შეუწყობს საქართველოში სხვა ინვესტიციების მოზიდვასაც."**

რამდენიმე დღის წინათ თბილისში მყოფმა ამერიკელმა დიპლომატმა ხაზგასმით გამოხატა, სავარაუდოდ, არა მარტო საკუთარი პოზიცია, რომ ამჟამად ნავთობსადენის მარშრუტის შეცვლის დრო არ არის და ამის გამო, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენმა სწორედ ბორჯომის ხეობაში უნდა გაიაროს. მანამდე ასეთ კატეგორიულ განცხადებებს ნავთობსადენის ოპერატორი კომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმის" მაღალჩინოსნები აკეთებდნენ.

11 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტი იღებს წერილს "ბრიტიშ პეტროლიუმის" აზერბაიჯანის ოფისის ხელმძღვანელისგან, დევიდ ვუდვორდისგან, რომელიც დღეს თბილისს ეწვევა. **"ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დამტკიცების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ მილსადენის მშენებლობის დაწყებას და იძულებულნი ვიქნებით, შევაჩეროთ სამუშაოები აზერბაიჯანში და სამშენებლო კონტრაქტი თურქეთში. ეს დაუყოვნებლივ იქონიებს უარყოფით ზეგავლენას საბადოების განვითარების ინვესტიციებზე, შახდენიზის პროექტზე და ხაზს გადაუსვამს იმ სარგებელს, რომელსაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას შორის 30 ოქტომბერს თქვენი თანდასწრებით ხელმოწერილი დეკლარაცია ითვალისწინებს."** წერილში მკაფიოდაა მითითებული, რომ "ბრიტიშ პეტროლიუმში" ბორჯომის მარშრუტის ალტერნატივას არც კი განიხილავენ. თუმცა, რა დაიბარა დევიდ ვუდვორდს მისმა ბოსმა, "ბრიტიშ პეტროლიუმის" თავმჯდომარემ, სერ ჯონ ბრაუნმა საქართველოდან ოფიციალურად მიღებული გუშინდელი შეტყობინებების პასუხად, უცნობია. ეს დღეს გაირკვევა.

ორი თვის წინათ "24 საათთან" საუბარში ნინო ჩხობაძე აცხადებდა: **"ნებისმიერი პოლიტიკური სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს დღეს-ხვალ, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იქნება დროებითი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტის შეფასება, როდესაც ვიწყებდით ბაქო-სუფსის პროექტზე საუბარს – ყველაფერს გვაპატიებენ, მაგრამ გარემოს დაბინძურებას არ გვაპატიებენო. დღესაც მის სიტყვებს გავიმეორებდი. ჩემთვის, როგორც გარემოს დაცვის მინისტრისთვის უდავოა, რომ ვერანაირ კომპრომისზე გარემოს დაცვის უწყება ვერ წავა. ერთადერთი ლეგალური დოკუმენტი, რომელიც უნდა მიიღოს "ბრიტიშ პეტროლიუმმა", ეს არის გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელიც მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული."**



ედ ჯონსონი.

### რატომ შეჩერდა არჩევანი ბორჯომის ხეობაზე?

გუშინ გავრცელდა დოკუმენტი, რომელსაც შეუძლია, ნათელი მოჰფინოს ამ საკითხს. საუბარია დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩის თეიმურაზ მამაცაშვილის წერილზე, რომელიც მან სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილსა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს, გიორგი ჭანტურიას გაუგზავნა. წერილის თანახმად, 28 ოქტომბერს ლონდონში, ლორდთა პალატაში გაიმართა შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი. შეხვედრა ორგანიზებული იყო ბრიტანული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მას ლორდი ეივბერი ხელმძღვანელობდა. წერილის მიხედვით, "ბრიტიშ პეტროლიუმის" წარმომადგენლები, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ, შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ. არადა, ამ შეხვედრაზე მიმოხილული იყო "ბრიტიშ პეტროლიუმის" საქმიანობა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში.

ამონარიდი თეიმურაზ მამაცაშვილის წერილიდან: **"კოლუმბიაში "ბიპის" მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ისაუბრა კოლუმბიელმა ადვოკატმა კლაუდია სამპედრო ტერესმა: მან ეჭვქვეშ დააყენა "ბიპის" განცხადება, რომ მათ მიერ განხორციელებული პროექტები ეხმარება ჩამორჩენილ და ღარიბ ქვეყნებს; კორპორაციის მიერ გადახდილ ფულს იღებს ბიუროკრატია და არ მიდის ხალხამდე; ისაუბრა მუშების უუფლებობის შესახებ; ისაუბრა კორუფციის შესახებ...**

**აზერბაიჯანის შესახებ ისაუბრა აზერბაიჯანის დემოკრატიული რეფორმების საზოგადოების წარმომადგენელმა რაზი ნურალიევმა. მან აღნიშნა, რომ 70-წლიანმა კომუნისტურმა მართვამ ხალხი მიაჩვია, თვალი დახუჭონ წართმეულ სოციალურ უფლებებზე...**

**საქართველოს შესახებ ისაუბრა არასახელმწიფო ორგანიზაცია "სი-ი-ი ბენკუატჩის"** (ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელის) **რეგიონულმა კოორდინატორმა მანანა ქოჩლაძემ. მან აღნიშნა: "ბიპის" კონსულტაციები არასახელმწიფო სექტორთან საქართველოში ხდება მხოლოდ მათ მიერ შერჩეულ ორგანიზაციებთან; საქართველოსთვის ფინანსური ზარალი გარდაუვალია, თუ მარშრუტმა გაიარა ბორჯომის ხეობაში; ნავთობსადენის პროექტებიდან მოლოდინი საკმაოდ მაღალია და როდესაც ხალხი ნახავს, რომ პროექტები არ მოუტანს ქვეყანას იმდენს, რასაც ჰპირდებოდნენ, ამან შეიძლება საკმაოდ უარყოფითი შედეგი გამოიღოს.**

**შეხვედრა შეაჯამა ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "კორნერ ჰაუსის" წარმომადგენელმა ნიკ ჰილიარმა. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, აიძულოს ბრიტანეთის მთავრობა, დაემორჩილოს მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრულ წესებს. მან ასევე გააკრიტიკა ე.წ. "ტერიტორიის მფლობელ სახელმწიფოსთან შეთანხმება", რომლის თანახმადაც "ბიპი" თავისუფლდება მთელი რიგი ვალდებულებებისაგან და დგას კანონზე უფრო მაღლა."**

წერილის მიხედვით ირკვევა, რომ "ბიპისთვის" ბორჯომის ხეობაზე გამავალი მარშრუტი უფრო ძვირია, ვიდრე ახალქალაქზე გამავალი, მაგრამ მათ ეს მარშრუტი **"აირჩიეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ახალქალაქზე გამავალი მარშრუტი შეაფასა, როგორც მაღალი რისკის მქონე."** ელჩი იმასაც ახსენებს საქართველოს მთავრობას, რომ "ბრიტიშ პეტროლიუმს" **"ყველაზე მეტად აღელვებთ საქართველო, რადგანაც აღნიშნული კრიტიკა საზოგადოებისათვის ჩანს საკმაოდ საფუძლიანად."** მისი კომენტარით, სწორედ ქოჩლაძისა და ჰილიარდის გამოსვლებს მოუხდენია დიდი შთაბეჭდილება.

### "ეკოლოგიური კატასტროფის რისკი არ არსებობს"

*ინტერვიუ "ბიპის" საქართველოს წარმომადგენლობის გენერალურ მენეჯერთან ედ ჯონსონთან.*

**- აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალური მრჩევლის კასპიის რეგიონის ენერგეტიკულ საკითხებში სტივენ მანის ვიზიტის შემდეგ საქართველოში მკაფიოდ გამოიკვეთა აშშ-ს ხელისუფლების პოზიცია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტის გადახედვის საკითხის მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით. როგორ აპირებს "ბიპი", დაარწმუნოს საქართველოს საზოგადოება და უცხოელი ექსპერტები, რომ, რადგან მარშრუტი ბორჯომის ხეობას გვერდს ვერ აუვლის, ნავთობსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციისას ადგილი არ ექნება გარემოსდაცვით პრობლემებს?**

- "ბიპი"-ში კარგად ესმით, რომ ბორჯომი ქართველებისთვის დიდი განძია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არ მოხდეს მილსადენიდან ნავთობის გაჟონვა და თავიდან იქნას აცილებული ეკოლოგიური საფრთხე. საერთოდ, როდესაც ჩვენი კომპანია მსოფლიო მასშტაბით მილსადენებს აშენებს, ვითვალისწინებთ ისეთ ღონისძიებებს, რომელიც მილსადენს იცავს გაჟონვისაგან. ჩვენ ვიყენებთ მილსადენის დაპროექტების უმაღლეს სტანდარტებს. ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია მილსადენის მიწაში ღრმად ჩამარხვა, რაც მილსადენს დაზიანებისგან იცავს. ასევე საუბარია ისეთი დამცავი ტექნოლოგიის გამოყენებაზე, რომ მილის კოროზია იქნეს თავიდან აცილებული. გარდა ამისა, ვიყენებთ ე.წ. "ჭკვიანი ღორის", ანუ დგუშების სისტემას, რომლითაც მილსადენის შიდა მდგომარეობის შემოწმება ხორციელდება. თუმცა, ბორჯომის რეგიონის მგრძნობიარობის გათვალისწინებით, ამ მონაკვეთისთვის დამატებითი ზომების გათვალისწინება გვაქვს გადაწყვეტილი. ჩვენ გავაორმაგებთ სარქველების რაოდენობას, რათა დაღვრილი ნავთობის მოცულობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ჩვენ ამ რეგიონში გვეყოლება ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ჯგუფი, რომლის წევრებსაც საერთაშორისო ტრენინგი ექნებათ გავლილი. ასევე გათვალისწინებულია მილსადენის უსაფრთხოების ქვედანაყოფის ჩამოყალიბება, რომელიც, მესამე მხარის ჩარევის შემთხვევაში, დროულად შეძლებს შექმნილი პრობლემის მოგვარებას.

ყველაზე დიდი რისკი, რომელიც შეიძლება მილსადენს დაემუქროს, არის არა ბუნებრივი საშიშროებები, არამედ მესამე მხარის მიერ მილსადენის განზრახ დაზიანება. ღონისძიებები, რომელიც ჩვენ გავითვალისწინეთ, იცავს მილსადენს როგორც შემთხვევითი, ასევე განზრახ ჩარევისაგან.

**- არაერთი ექსპერტული დასკვნა არსებობს, რომელთა მიხედვითაც არამიზანშეწონილია ბორჯომის ხეობაში მილსადენის გატარება. როგორ აპირებს "ბიპი", ითანამშრომლოს ექსპერტებთან, რათა მოძებნილი იქნას ოპტიმალური გადაწყვეტილება?**

- როგორც ცნობილია, ამ პროექტზე 2000 წლის მაისიდან ვმუშაობთ და ამ დროიდან მოყოლებული ჩვენ ვეძებთ შესაბამის მარშრუტს. დასაწყისიდანვე ამ პროცესში ჩართული გვყავს ქართველი ექსპერტები. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან ერთად ტექნიკური შეხვედრები შედგა ჩვენსა და ექსპერტებს შორის. გარდა ამისა, ჩვენ მივიწვიეთ ექსპერტების სპეციალური ჯგუფი ლონდონში, სადაც შედგა მათი შეხვედრა მილსადენის დაპროექტების კომპანია "ბეხტელი და ჯონ ბრაუნ ინჟინიერინგის" წარმომადგენლებთან.

მოგვიანებით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვების შემდეგ, ქართველ ექსპერტებთან განსახილველი საკითხები უფრო დაკონკრეტდა.

ბოლო სამი-ოთხი კვირაა, ინტენსიური შეხვედრები მიმდინარეობს როგორც ჰოლანდიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, ასევე ევრობანკის, მსოფლიო ბანკის და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მოწვეულ ექსპერტებთან.

**- თუ ასე ინტენსიურად მიმდინარეობდა ექსპერტებსა და თქვენს კომპანიას შორის დიალოგი, თქვენი აზრით, რამ განაპირობა ქართველ და უცხოელ ექსპერტთა საკმაოდ წარმომადგენლობითი ნაწილის მხრიდან "ბიპი"-ს მიერ მომზადებული დოკუმენტის მწვავე კრიტიკა? ისინი აცხადებენ, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით მათ ბევრი კითხვა დაებადათ.**

- არა მგონია, რომ ბევრი გაუცემელი კითხვა არსებობდეს. ეს არის გრანდიოზული პროექტი. ამდენად, მასმედიისა და საზოგადოების მხრიდან, პროექტის მასშტაბებიდან გამომდინარე, ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებას ჩვენ ნორმალურად განვიხილავთ.

**- რამდენად ნორმალურად მიგაჩნიათ ის ფაქტი, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ცოტა ხნით ადრე, დღის წესრიგში დგება მილსადენის მარშრუტის შეცვლის საკითხი?**

- ეს იმითაა გამოწვეული, რომ პროექტის განვითარების ბოლო ეტაპზე ხალხმა მეტი ინფორმაცია მიიღო და შეკითხვებიც ბუნებრივად დაებადათ. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ გაიგო მილსადენის ბორჯომში გატარების შესახებ, აჟიოტაჟიც ატყდა. ჩვენი ამოცანაა, დავარწმუნოთ საზოგადოება, რომ ეკოლოგიური კატასტროფის რისკი არ არსებობს.

**- რა იყო მიზეზი იმისა, რომ საზოგადოებას დროულად არ უთხრეს, რომ მილსადენი ბორჯომის ხეობაში გაივლიდა?**

- საზოგადოებას აინტერესებდა კონკრეტული მიზეზები, თუ რატომ მოხდა ამ მარშრუტის შერჩევა. თუმცა, სანამ ჩვენ ექსპერტებთან ამ საკითხს არ განვიხილავთ, არ შეგვიძლია, ეს ინფორმაცია წარვუდგინოთ საზოგადოებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ბევრ კითხვას უპასუხოდ დავტოვებთ, რაც ჩვენს მიმართ უნდობლობას გამოიწვევს.

**- უკვე მზადაა თქვენი პასუხები გარემოს დაცვის სამინისტროს შეკითხვებზე. თქვენმა კომპანიამ სამინისტროს პასუხები გათვალისწინებულ 30-დღიან ვადაზე ადრე გასცა.**

- ბუნებრივი და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში დიდი და რთული დოკუმენტია. ამის გამო, ყველას მიერ ანგარიშის აღქმა ძნელია. სამინისტროდან შემოსული შენიშვნები, ძირითადად, შეეხება ისეთ საკითხებს, რომელიც ისედაც გათვალისწინებულია დოკუმენტში. თუმცა, არსებობს ისეთი შენიშვნებიც, რომელთაც ვერ დავეთანხმებით.

**- ბორჯომის მარშრუტის წინააღმდეგ გამოდის "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ არ მოხერხდება მარშრუტის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ის "ბიპი"-სგან დამატებითი გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომების გატარებასა და ამ პრობლემის მოსაგვარებლად რთულ საინჟინრო-ტექნიკურ გადაწყვეტას მოითხოვს. მათ შორის, საუბარია ბორჯომის ხეობაში სპეციალური გვირაბის გაყვანაზე, სადაც მილსადენი გაივლის. თუ შეხვდით მამუკა ხაზარაძეს და რამდენადაა მისი წინადადებები თქვენთვის მისაღები?**

- ჩვენ რამდენიმეჯერ გვქონდა შეხვედრა "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" წარმომადგენლებთან. მათ ძალიან ბევრი ინფორმაცია მოგვაწოდეს, რომელიც დაგვეხმარა, გაგვეგო მათი ტექნიკური და კომერციული მოსაზრებები ამ საკითხის შესახებ. "ბიპი"-მ სპეციალურად მოიწვია კომერციისა და მარკეტინგის სპეციალისტები იმისათვის, რომ შეხვედროდნენ ამ კომპანიის წარმომადგენლებს. ასე რომ, ჩვენ კარგად გავეცანით მათ ყველა წინადადებას.

რაც შეეხება გვირაბების საკითხს, ჩვენ მოვიწვიეთ მსოფლიოში აღიარებული ექსპერტი ამ საკითხში და იგი ესაუბრა გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს. ექსპერტმა ნათლად განსაზღვრა თავის საუბრებში, თუ რამდენად არაგანხორციელებადია იგი, როგორც ალტერნატივა არსებული პროექტისა.

www.24hours.ge
24
B

ნომრის პერსონა

# არ არის გოცაძე ჩემი კონკურენტი

## გივი თარგამაძის განცხადებით, "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევაში სახელმწიფო დაცვის სამსახური მონაწილეობდა

*მორიგი საარჩევნო ექსტაზი ძალას იკრებს. ის ფაქტი, რომ გადაღლილობისა და გაჭირვების მიუხედავად, საზოგადოება აქტიურად არის ჩართული საარჩევნო ბატალიებში, უკვე კარგია. კარგია იმიტომ, რომ ყველაფრის მიუხედავად, ის სიცოცხლისუნარიანია და მომავლის იმედი - თუმცა, მბჟუტავი, - მაინც აქვს. ამ აქტივობის გარკვეული სულისჩამდგმელები, სხვათა შორის, თავმდაბლობის გარეშე უნდა ითქვას, სწორედ ჩვენი დღევანდელი "პერსონა" და მისი თანამოაზრეები არიან. ოპონენტებმა კი უნდა აღიარონ, რომ ისინი მათ მიერ შექმნილ სამოქალაქო ველში ცხოვრობენ, იბრძვიან და მოღვაწეობენ და ეს მათთვისაც კარგია (ამ არჩევნების კონკრეტული შედეგების მიუხედავად). საზოგადოების ეს მიმდინარე განვითარება სულაც არ ეხება საარჩევნო ბრძოლის მეთოდებს. დიდი გამოცდილების მიუხედავად, ამ მეთოდების შემქმნელთა მისამართით უნდა ითქვას, რომ ხერხები არ დახვეწილა და მზაკვრობის დონეც არ ამაღლებულა. ის უკვე ნაცნობი და, ერთგვარად, მშობლიურიცაა. ეს კი არ ვარგა, რადგან ადუნებს ოპოზიციის სიფხიზლეს და მის ბრძოლისუნარიანობას აჩლუნგებს. დაჩლუნგებული ოპოზიცია კი ოპოზიცია აღარ არის. საპარლამენტო არჩევნების საბურთალოს რაიონის ერთ-ერთი კანდიდატი გივი თარგამაძე, ასაკის მიუხედავად, თვალდახუჭული ერკვევა სახელისუფლო ბრძოლის ილეთებში. ალბათ, ამიტომაც, მას ბრალი ედება 18 პოლიციელის თანდასწრებით ორი პოლიციელის ცემაში, ანტიმონოპოლიური კანონის დარღვევაში, იეღოველობაში, მასონობაში და ანტიკორუფციული საბჭოდანაც უნდათ მისი გაძევება. ამას გარდა, თარგამაძე (გივი) ამომრჩევლებს არ პირდება უფასო განათლებას, უფასო სამედიცინო სამსახურს, ბევრ შუქს და ულრუბლო ზეცას. მის საარჩევნო კამპანიას - "გპირდებით ბრძოლას" - შეიძლება ვუწოდოთ.*

მაია ჭალაგანიძე



გივი თარგამაძე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

- დიახ. ვპირდები, რომ პარლამენტამდე და საკრებულომდე მივიტან მათ პრობლემებს. და რადგანაც, იქ ჩემი მრავალწლიანი თანამოაზრეები და მეგობრები არიან, ვპირდები პრობლემების გადაწყვეტის მაქსიმალური ბერკეტების მოპოვებას.

არ მინდა არანაირი კონკრეტული პირობის მიცემა. თუნდაც იმიტომ, რომ ყოველ შეხვედრაზე წინა კანდიდატის მიერ მიცემულ ყველანაირ პირობებს ვაწყდებოდი, მთვარეზე გაფრენის ჩათვლით. მათგან არც ერთი არ შესრულებულა და არ მინდა, ეგეთ სიტუაციაში აღმოვჩნდე. ამიტომ ერთადერთი, რის პირობასაც ვაძლევ, არის ხალხთან მუდმივი კონტაქტი, მიღებები და უბნებში სიარული.

**- "ნაციონალური მოძრაობის" წევრი ხართ?**

- არა. "თავისუფლების ინსტიტუტიდან" მოვდივარ და პარტიული რაღაცეები არ შემიძლია.

**- რატომ შეუერთდით, მაინცდამაინც, "ნაციონალურ მოძრაობას"?**

- მართლა მიმაჩნია, რომ ეს არის ის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც პრობლემების გადაჭრის რეალური უნარი შესწევს. საკრებულო რომ გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად მუშაობს - ეს სწორედ "ნაციონალური მოძრაობის" დამსახურებაა.

**- მაგრამ ვერც საკრებულო ასცდა თანამდებობებისთვის გამართულ გარიგებებსა და ბრძოლებს, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოში უმრავლესობით მოსული ძალა ამის პრინციპული წინააღმდეგია.**

- სამწუხაროდ, იმ პირობებში, როცა ეს მერი და ეს პრემიერი არსებობს, რაღაც დონეზე გარიგება უნდა მოხდეს. თუმცა, მაინც მახარებს ის საბოლოო შეთანხმება, რომ საკრებულოში არც ერთი ძველი სახე არ იქნება. თუ რამდენად გასახარელი იქნება ახალი სახეები - ძნელი სათქმელია.

**- რატომ, ამას ხომ ძირითადად "ნაცმოძრაობა" და მისი პარტნიორები გადაწყვეტენ?**

- კანდიდატურა, ყველა შემთხვევაში, შერაძემ უნდა შემოიტანოს. დარწმუნებული ვარ, რომ შერაძე ამას კანცელარიასთან ათანხმებს. მეორეს მხრივ, დროც ცოტაა. თუ ბოლომდე პრინციპულ მოსაზრებას დავიკავებთ, შეიძლება, ეს უსასრულოდ გაიჭიმოს. საკრებულო არსებობს, მაგრამ, პრაქტიკულ მუშაობაზე ვერ გადადის. ამიტომ, გარკვეული დონის კონსენსუსი მაინც უნდა შედგეს.

**- მიამბეთ, თქვენი აზრით, რა არის შერაძის ფენომენი?**

- რა თქმა უნდა, ზედაპირული ინფორმაცია გვქონდა, მაგრამ როდესაც ჩავუღრმავდით, გარიგებების მასშტაბი გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა. ჩემი ინფორმაციით, ახვლედიანებისთვის ყველაზე ძვირფასი "კანონი სავაჭრო პალატის შესახებ", რომელსაც თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ "პირადად გურამ ახვლედიანის კანონი", პარლამენტში, სულ რაღაც, 30 000 დოლარად გავიდა. ეს მაშინ, როცა, იგივე ახვლედიანები, "კანარგოში" მარტო ბენზინგასამართი სადგურის ლიცენზიის შესყიდვაზე 300 000 დოლარს და მეტსაც იძლევიან. ჩემი აზრით, პარლამენტის წევრები ნაკლებად გათვითცნობიერებულნი იყვნენ ამაში. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ საკრებულოს პირობებში ვაჭრობა გაცილებით სერიოზულ სახეს იღებს. შერაძის მხრიდან, ეს შეიძლება ერთი ადამიანისთვის ერთი ბინა იყოს ან საკმაო თანხა და პლუს, მშენებლობის რაიმე ნებართვა... ამ გარიგებას ის იმ ხალხთან დებს, ვინც უნდობლობას არ აცხადებს და ვინც სამსახურის უფროსად დასახელდება. მასშტაბები დიდია...

**- ხომ არ გაქვთ წარმოდგენა პროცედურაზე. ესენი შედიან შერაძესთან თუ პირიქით... რა ხდება?**

- ამას არ დავსწრებივარ, ალბათ საერთო ნაცნობის მეშვეობით, ან პირადად მისვლით. არ ვიცი.

**- ბევრი ბინა გაიცა, რა იცით?**

- არა მგონია, რომ ყველასთან ასე იყოს მორიგებული. რაც ვიცი, არის ის, რომ პოტენციალი დიდი აქვს. პრაქტიკულად, თითოეულ ახალ მშენებარე კორპუსში, ზოდელავას აქვს მინიმუმ ერთი ბინა და ასევე შერაძესაც. ჩემი ინფორმაციით, შერაძე შეიძლება არანაკლები ქონების პატრონია, ვიდრე ზოდელავა.

**- ამგვარმა ადამიანებმა იციან, როგორ ცხოვრობენ და ალბათ, არ უნდა იყოს ხელსაყრელი მათი სახელის ირგვლივ ატეხილი ხმაური. მით უფრო, იქვე, საკრებულოში, როცა მათ შესახებ შეიძლება ბევრი ცუდი ამბავი ამოვიდეს ზედაპირზე. რატომ არ რჩებიან ასეთი ადამიანები ჩრდილში, რატომ ებღაუჭებიან ადგილებს?**

- ალბათ, ამბიცია აქვთ, რა ვიცი. კახა თარგამაძე, მაგალითად, უზარმაზარი ქონების პატრონია და მაინც უნდა, დაბრუნდეს რაიმე თანამდებობაზე. სხვისგან განსხვავებით, ვაღიარებ, რომ სამწუხაროდ, ის ამას ოსტატურად აკეთებდა. გარეგნული იერიც მისი ჭკუის გამოხატულება იყო. თავიდანვე აიკრა სახეზე ეს სულელური გამომეტყველება, ნერვიული ღიმილი და ამით ძალზე ბევრი ადამიანი დაარწმუნა, რომ იგი არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს. თუმცა, რაღაც ეტაპზე ოსტატობამ უმტყუნა...

**- როგორ ჩატარდება 30 ნოემბრის არჩევნები. უკვე საუბარია იმაზე, რომ სიები ისევ არ არსებობს და ა.შ.**

- გამგეობები ყველაფერს აკეთებენ არჩევნების გასაყალბებლად. პირდაპირ ექვემდებარებიან არა გამგებლებს, არამედ მოქკავშირს - პარტიულ სტრუქტურებს.

რაღაც სიები კი არსებობს, მაგრამ ჩემი კორპუსი, მაგალითად, ამოღებულია სიიდან. უსინდისობა იყო თუ სასაცილო - ვერ გავიგე, როცა მოქკავშირი გვედავებოდა ამ ამოღებულ კორპუსებზე, რადგან ყველამ იცოდა, ვის მიერ იყო ამოღებული ეს კორპუსები და ადამიანები სიებიდან. ამ არჩევნებში, ოთხიდან სამ ოლქში, სიები წარდგენილია შს სამინისტროს მიერ და მარტო საბურთალოს რაიონშია წარდგენილი გამგეობის, ანუ პირდაპირ პარტიული ორგანიზაციის მიერ. მეტს გეტყვით, სიები უბნებზე გასაკრავად მზად იყო, ორი დღის წინ კი ისევ გამგეობაში შეაბრუნეს და ხელახლა გადაწერეს. ახლა ჩვენ თავიდან, ჩვენი ძალებით უნდა გავცხრილოთ სიიდან ამოღებული კორპუსები. გარდა ამისა, არ გვაძლევენ ამომრჩევლის ბარათებს, რომელსაც ჩვენს მეტი არავინ დაარიგებს.

**- თქვენი საუბრიდან გამომდინარე, არჩევნების გაყალბების დიდი შანსი არსებობს.**

- დიახ, არის. ბატონმა გოცაძემ გალაქტიკური მასშტაბის სისულელე განაცხადა, როცა თქვა, რომ 380 000 პირადობის მოწმობა გვაქვს დაბეჭდილი... საინტერესოა, რატომ არის უმოქმედოდ პროკურატურა?! მაინტერესებს...

**- რას იტყვით კარგს თქვენს კონკურენტზე?**

- მართალია, ამ ადამიანში სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს ეს, მაგრამ რა ვქნა, ბატონ გოცაძეს ვერაფრით აღვიქვამ კონკურენტად. არანაირი რეიტინგი და გამოკითხვა არ ადასტურებს ამას. მას ან არ იცნობენ, ანდა - "რუსთავი 2"-ში გამოსვლის შემდეგ იცნობენ და თან უარყოფითი მხრიდან. გამოსვლისას ის, რატომღაც, ძალზე გაღიზიანებული იყო. გარდა ამისა, სიყვარულით მოიხსენია სოსო ალავიძე, რომელმაც შემდეგ დაურეკა... ამ გამოსვლამდე კონკურენტი არ მყავდა და ამის შემდეგაც, ბუნებრივია, საერთოდ არ მყავს კონკურენტი.

**- დამშვიდდით ამით?**

- სულაც არა.

**- კარგი რა გსმენიათ თქვენს მეტოქეზე?**

- გამიგია, რომ კარგი მხატვარია.

**- გინახავთ მისი ნამუშევრები?**

- არა. თუ კარგი მხატვარია, ეს მისასალმებელია - დაუბრუნდება თავის საქმიანობას. მახსოვს. "ტი-ბი-სი-ს" ჟურნალისტმა კიტოვანთან ინტერვიუს შემდეგ დამტვრეული რუსულით, ასეთი რამ თქვა - наверно он неудавшиися художник.

**- საირმის გორაზე ჩატარებული "სამოქალაქო გაკვეთილი" არაერთგვაროვნად აღიქვა საზოგადოებამ.**

- აბსოლუტურად ნორმალური აქცია იყო. ყოველ შემთხვევაში, ბავშვებისთვის დარიგებული 20 ლარი, ნამდვილად, ამაზე არასასიამოვნო იყო. ზრდასრულებსაც ურიგებენ ფულს და ამ ხალხს ყველა შეხვედრაზე ვეუბნები, რომ ეგ არის თქვენგან მოპარული ფულის ძალიან მცირე ნაწილი. თავს ნუ შეიკავებთ, აიღეთ, ზედ მაინც არ აწერია, ვის უნდა მისცეთ ხმა და მოიქეცით ისე, როგორც სინდისი გიკარნახებთ.

რაც შეეხება გორაზე ჩატარებულ აქციას - მცდელობა, რომ ამხელა ხალხი მეორე კლასელებად მოენათლათ, არ გამოუვიდათ ლამაზი. ესენი იყვნენ პირველი ექსპერიმენტული სკოლის (რომელიც აგრეთვე საირმის გორაზე მდებარეობს) მოსწავლეები, და ეს ბავშვები ამას ყოველ დღე თავისი თვალით უყურებენ. ბარემ გაიგონ, ვისია ეს სახლები...

**- მათი რეაქცია როგორი იყო?**

- იქ ერთი გოგონა იყო, რომელმაც თქვა, რომ საერთოდ არ ესმის, რატომ მიიყვანეს იქ და რას შეცვლიდა მისი იქ ყოფნა. შევეცადე ამეხსნა, რომ მათ ამას იმიტომ ვაჩვენებ, რომ ნახონ, რა არის ცუდი, რა - კარგი; რისი გაკეთება არ შეიძლება. ეს მე-11 კლასელები ხვალ საზოგადოების აქტიური და სრულფასოვანი წევრები გახდებიან. ბავშვები ბევრად უკეთ იგებენ ყველაფერს. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში თემაზე - "რომ არ იყოს კორუფცია" - გამარჯვებულ გოგონას (რომელიც სწორედ ამ სკოლიდან იყო) ერთ თემაში საკმაოდ გამართულად და ლოგიკურად ეწერა ის, რასაც მე 6 წელი ვიძიებდი.

**- თქვენი ხულიგნობის შესახებ დღეს კიდევ ერთხელ ალაპარაკდნენ...**

- მამა-შვილ დონაძეების გამოჩენას წინასარჩევნოდ ველოდებოდი. ეს არის წმინდა პოლიციური პროვოკაცია. ეს ელემენტარულია: დაზარალებული მამა-შვილი ორივე პოლიციელია. საქმეში მოიძებნა 18 მოწმე პოლიციელი და გაუგებარია, თუ იქ იყვნენ, რას აკეთებდნენ. მე ვეუბნები, რომ მათი ადმინისტრაციული სასჯელი დადგება - თუ მე იქ ამხელა ვაი-ვიში მოვაწყე, რატომ არ ჩაერივნენ. "ბეტმენი" ხომ არ ვარ, 18 კაცმა ვერ გამაჩეროს...

**- გამოცდილი მოჩხუბარი ხართ?**

- შეიძლება ეს მთლად კარგი არც არის, მაგრამ სკოლაშიც კი არ ვიყავი მოჩხუბარი. ჩხუბი არ ვიცი.

**- სპორტის რაიმე სახეობას თუ მისდევთ?**

- სამწუხაროდ, დროც არ მაქვს. ცურვა მიყვარს ძალიან და თუ საშუალება მომეცემა, სიამოვნებით ვცურავ.

დღეს დონაძეებისგან ჩემი იმუნიტეტის მოხსნაზე იყო მოთხოვნა. მე იმუნიტეტს არ მოვიხსნი. სასამართლოში აუცილებლად მივალ და დარწმუნებული ვარ, იმდენი იდიოტიზმი გამოჩნდება ამ საქმეში, თავადვე შერცხვებათ. ზოგადად, რაც შეეხება ჩემს პოზიციას: ანტიკორუფციულმა საბჭომ პრეზიდენტს გაუწია რეკომენდაცია და მე ამაზე ხელი მაქვს მოწერილი, რომ იმუნიტეტი უნდა შეიზღუდოს. იმუნიტეტი უნდა იცავდეს უმცირესობას პოლიტიკური ლანძღვისა და კრიტიკისგან, მაგრამ სისხლის სამართლის დანაშაულისგან არ უნდა იცავდეს. აბსოლუტურად უმიზნოა დონაძეების მხრიდან ეს გამოსვლები. აქ არის გარკვეული ნიშნები ინტერესთა კონფლიქტისა - გამოძიებას პოლიცია აწარმოებდა და ჩვენი შუამდგომლობა, რომ საქმე პროკურატურას გადასცემოდა, არ დააკმაყოფილეს. გარდა ამისა, არსებობს მათივე ექსპერტის დასკვნა, რომ მათი მხრიდან ორი ადამიანია დაზიანებული, ჩვენი მხრიდან კი - ოთხი. რატომ არიან ისინი დაზარალებული და მე ხულიგანი, ვერ გამიგია.

სხვათა შორის, დონაძეებს შეუძლიათ, დაიმშვიდონ ნერვები, რადგან, ჩემი ინფორმაციით, ამ უსინდისობის საფასურად მამა დონაძე ისნის ბაზრობის პატარა წილში შევიდა... ანუ, როგორც ვხვდები, ერთი ქართველი ოჯახი დავაყენე ფეხზე...

**- იმუნიტეტის მოხსნის პრეცედენტი არც ინჯიას, არც კაკუბავას, არც პირველის შემთხვევაში შემდგარა. ამიტომაც, არ მგონია, რომ ან პეტრე ცისკარიშვილი ან თქვენ იყოთ პირველი იმუნიტეტაყრილი ადამიანი...**

- სწორედ ამის გამო აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი არ მისცემს ხმას იმუნიტეტის მოხსნის საკითხს და ამით ყველა თავის თავს დაიცავს.

რაც შეეხება პეტრეს. არავის პეტრე არ გაურიყავს, ის ჩვენი მეგობარია. პარლამენტში ძალადობის გახშირება პრეზიდენტისგან მომდინარეობს. ის დარწმუნდა, რომ მისი მომხრეების მაქსიმუმი დღევანდელი დღისთვის, 2-3 პროცენტია. ამიტომ, პრეზიდენტს დღეს ქვეყანაში ნებისმიერი არეულობა ხელს აძლევს. მისი მიზანია, არ ჩატარდეს მომავალი საპარლამენტო არჩევნები. დღეს პრეზიდენტი არჩევანს ძალადობის სასარგებლოდ აკეთებს. ჩვენ მის მიერ შემოთავაზებულ წესებს არ გავიზიარებთ.

**- თქვენმა საარჩევნო ფირნიშმა ანტიმონოპოლიური სამსახურის რისხვა დაგატეხათ თავს... რა მოუტანა ამ ფირნიშმა მასზე გამოსახულ ადამიანს?**

- პრეზიდენტს ისედაც არ აკლდა პოპულარობა. ახლა იქ ნახევარი მოხეული აქვს.

ანტიმონოპოლიური სამსახურის განცხადებით, ჩვენ რეკლამის გავრცელების წესები დავარღვიეთ, რაც 500-დან 1500 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს.

**- კანონი არეგულირებს რეკლამის შინაარსს?**

- არ ითვალისწინებს. მათ იცოდნენ რეკლამის შინაარსი. უნდა ვთქვა, რომ ეს ფირნიში მართლაც უნებართვოდ გვიდგას, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. მოთხოვნა ნებართვაზე მერიაში შეტანილი გვაქვს. ისინი ვალდებულნი იყვნენ, განეხილათ ჩვენი მოთხოვნა. თუმცა, ერთ თვეზე მეტია გასული, მაგრამ ჩვენთვის არანაირი პასუხი არ არის ცნობილი. ასე რომ, ამ სარჩელსაც არ აქვს აზრი. დღეს ხელისუფლება მიხვდა, რომ მორიგ სატყუარას წამოეგო და სრულიად მოულოდნელად, მოსამართლის ცუდად გახდომის გამო, სასამართლო გადადეს.

**- რომ ვერ გაიმარჯვოთ, იჩივლებთ?**

- ვნახოთ, არ გამოვრიცხავ. სამწუხაროდ, დამშვიდების საფუძველი არ გვაქვს. რა თქმა უნდა, რეიტინგით "მოქკავშირის" კანდიდატს ვუსწრებ, მაგრამ ეს არ არის იმის გარანტია, რომ არჩევნები შედგება.

**- რას ეტყვით ამომრჩეველთა იმ ნაწილს, ვინც რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვაში გადანაშაულებთ?**

- ხალხისთვის ამ პრობლემების ახსნა უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. ვარ ჩვეულებრივი მართლმადიდებელი, მონათლული, ჯვარდაწერილი. ბავშვს ველოდები და იმასაც, რა თქმა უნდა, მოვნათლავ. ეკლესიური ცხოვრებით ვერ ვცხოვრობ...

ჩვენ ვიცავთ ადამიანს, რომლის უფლებები დაირღვა. როცა თავგატეხილი ადამიანი მოდის, არ აქვს მნიშვნელობა, მას ჯვრით გაუტეხეს თავი თუ პოლიციელის ხელკეტით.

თუ ადამიანს ესმის, რომ წმინდა ნინომ მართლმადიდებლობა სიყვარულით, მოთმინებითა და სიკეთით შემოიტანა, ვიღაც ვასილ მკალავიშვილის ძალადობრივი მეთოდები არ უნდა მიიღოს. თავში ჯვრის ჩარტყმით იეღოველს რწმენა უფრო უმტკიცდება და წამებულის მანტიას ირგებს. იეღოველთა ორგანიზაცია მენეჯმენტითა და ფინანსურად გამართული ორგანიზაციაა. როცა ისინი ცენტრს არწმუნებენ იმაში, რომ მათ დევნიან, უფრო მეტი დაფინანსება მისდით.

მეორე მხრივ, თუ საზოგადოება თუნდაც რელიგიური მოტივით დაუშვებს კერძო საკუთრების ხელყოფას (სახლებში შევარდნა და დარბევა), მაშინვე გაჩნდება უამრავი მოტივი, რის გამოც ნებისმიერს შეუვარდებიან სახლებში. გარწმუნებთ, რომ "თავისუფლების ინსტიტუტი" სრულიად არარელიგიურმა ხალხმა დაარბია. დარწმუნებული ვარ, ეს სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსის, სულხან პაპაშვილის ჯგუფი იყო. ორი დღის განმავლობაში კი რელიგიური ფონი იქმნებოდა.

რამდენადაც ვიცით, რელიგიური თემით სპეკულირება უშიშროების საბჭოში გადაწყდა და თან მათთვის საჭირო დროს. ყველას კარგად ახსოვს, რომ ერთ დროს ბასილ მკალავიშვილს უმოწყალოდ სცემდა პოლიცია და ჩვენ მის უფლებებს ვიცავდით (ეს აღარ ახსოვს). შემდეგ მკალავიშვილმა იქ დაიწყო გამოჩენა, სადაც პოლიციას ჰქონდა პრობლემები. პრინციპში, ერთ-ერთი დარბევისას მკალავიშვილს უთქვამს, რომ ხან მღებრიშვილი და ხან თარგამაძე ავალებდა, თუ სად უნდა მისულიყო... ასე დაიწყო მიზანმიმართული სპეკულირება რელიგიის თემით. ბუნებრივია, როცა ვამბობ, რომ ჯოხთაბერიძემ მაზუთიდან 97 მილიონი დოლარი მოიპარა, პრეზიდენტი და მისი ამალა იძულებულია, გამოვიდეს და თქვას - ეს ხომ იეღოველია, ამას რას უსმენთ... ზოგ შემთხვევაში ეს ჭრის.

ამ ბოლო ხანს დარბევებზე იარაღიანი ხალხიც გამოჩნდა. თუ რელიგიურ ნიადაგზე ერთი ტყვია მაინც გავარდა, ჩვენ ირანივით სრული იზოლაცია გველის. ამ შემთხვევაში, ჩვენ ქვეყანას იზოლაციის საფრთხისგან ვიცავთ. ეს რთულია. ეს თავისუფლების ტვირთია და ჩვენ ამ ტვირთს ვიღებთ.

ჩვენ ამ პრობლემებზე საკმაოდ ნორმალურად და ცივილურად, კონკრეტულ პროგრამებზე საპატრიარქოსთანაც ვსაუბრობთ. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი ინიციატივები მალე რეალობად იქცეს.

ეს საკმაოდ სათუთი და არასარეკლამო თემაა.

**- ანტიკორუფციულ საბჭოშიც გარკვეული პრობლემები გქონდათ.**

- იქიდან ჩემით არ წამოვალ. ჩემი მეგობრების მუშაობის შედეგია ის, რომ საბჭო მავნებლურ ორგანიზაციად არ იქცა. საკანონმდებლო ცვლილების ბოლო მცდელობა გულისხმობდა საბჭოს გაუქმებას. ამ ცვლილებით პრეზიდენტი წინასაარჩევნოდ იკეთებდა ჯიბის სადამსჯელო ორგანიზაციას. რა თქმა უნდა, ამას არ დავუშვებდით.

**- თქვენ ანტიკორუფციულ საბჭოში შესვლამდე უქმნიდით პრობლემებს ხელისუფლებას. რატომ შეგიყვანეს?**

- ხელისუფლებას მაინც ჯერა, რომ ყველაზე მოქმედებს ეს ფოჩიანი კანფეტები. როგორც ვიცი, ინიციატივა ნუგზარ საჯაიასგან მოდიოდა, რომელიც პირდაპირ იყო ჩემით დაინტერესებული. მას კონფლიქტი ჰქონდა კახა თარგამაძესთან და იცოდა, რომ თარგამაძის წინაშე არ დავიხევდი. საჯაიამ თავისი ფსონი დადო. გარდა ამისა, ეს საბჭო სოროსის ფონდიდან და USAID-დან ფინანსდება და მათ მოთხოვნებსაც გაუწიეს ანგარიში...

**- რასაც თქვენ შევარდნაძეებზე საუბრობთ, ყველაფერი იცით?**

- რა თქმა უნდა.

**- საიდან?**

- თავად მათ გარშემო არის ის ხალხი, ვისაც ამბები გამოაქვს.

**- უკანასკნელად რა ამბავი მოგიტანეს?**

- ვიცი, რომ ბოლო დაბადების დღეზე ქალბატონმა ნანულიმ ისაუბრა ჩემს შესახებ - აი, ის ბიჭი, ყბა რომ აქვს წინ გამოწეული და რომ დუდღუნებსო და ჩვენ რომ გვაგინებსო, რა ცუდი ბიჭიაო... მე ეს სულაც არ მწყინს.







# კაცი, ფესვები და მარადისობა

## ხორხე ლუის ბორხესი - დიდი დროის ბინადარი

*კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს – მხოლოდ ამ ფრაზას დიდ ადამიანებს ვერაფრით მიუსადაგებ და, ბუნებრივია, ვერც ბორხესს. მით უფრო, როდესაც კიდევ საკითხავია, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს მწერლის გარეშე ცხოვრება სად უფრო გაუჭირდათ – ბუენოს-აირესში, ციურიხში, ლუგანოში, ჟენევაში, თუ კიდევ სხვაგან...*
*ბარსელონაში გამართული გრანდიოზული გამოფენა "ბორხესი და ბუენოს აირესი" მართალია მწერალს სწორედ მის მშობლიურ ქალაქთან აერთიანებს, მაგრამ სინამდვილეში საპირისპიროს ისახავს მიზნად – ბორხესის შესახებ შეგროვებული ყოვლისმომცველი მასალით გვაჩვენებს, თუ როგორ იქცევა ერთი ქალაქის გარეუბანში აღზრდილი მწერალი მთელი მსოფლიოს შვილად, ანუ როგორ იჭრება მარადისობისკენ მიმავალი გზა...*
*ბარსელონას თანამედროვე კულტურის ცენტრში 16 თებერვლამდე მიმდინარე გამოფენას პირობითად ასეც შეიძლება ვუწოდოთ – ყველაფერი ბორხესისა და უნივერსალობის შესახებ.*

თამარ ბაბუაძე

ბორხესი მეოთხეა. მანამდე ბარსელონას თანამედროვე კულტურის ცენტრმა ორიგინალური ლიტერატურული სერიიდან "ქალაქები და მათი მწერლები" გრანდიოზული ექსპოზიცია ჯერ ჯოისსა და დუბლინს (1995 წ.), პესოასა და ლისაბონს (1997 წ.), შემდეგ კი კაფკასა და პრაღას (1999 წ.) მიუძღვნა.

ეს "გეოგრაფიულ-სახელობითი" გამოფენები ცენტრში, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება იმ უნივერსალური მნიშვნელობის მქონე პიროვნებების შესახებ, რომელნიც მშობლიურ ფესვებთან კავშირს არასდროს წყვეტენ. ჯოისის დღესასწაულს დუბლინი ისედაც ყოველწლიურად ზეიმობს; ორი წლის წინ, ბარსელონაში წარმოდგენილ კაფკას მემკვიდრეობას კი წელს, ხუთი იანვრის ჩათვლით, ნიუ იორკის ებრაულ მუზეუმში იხსენებენ.

მთელ ამ პროექტს, ალბათ, ისევ ბორხესის სიტყვები ასულდგმულებს: **"იყო კოსმოპოლიტი, არ ნიშნავს ერთი ქვეყნის უარყოფას და სხვების განდიდებას. კოსმოპოლიტობა კეთილშობილი ამბიციაა: გსურდეს ყველა ქვეყანასთან, ყველა ეპოქასთან დაკავშირება. ეს არის მარადიულად ყოფნის სურვილი"...**

ამ მარადიული დროისა და ყოფნის მიუხედავად კი, ყოველთვის არის ერთი კონკრეტული პერიოდი და ადგილი, საიდანაც ყველაფერი იწყება. ჯოისისთვის ეს ადგილი დუბლინია. კაფკას მეტაფორები და იდეებიც პრაღის ცხოვრებაზე დაკვირვებათა ტრანსფორმაციით იქმნება. ქალაქები და მწერლები ერთად გადადიან იმ მარადიულ დროში, რომელზეც ბორხესი საუბრობს....

ნიუ იორკისა და ბარსელონას გამოფენების ორგანიზატორებიც დამთვალიერებლებისგან საკითხისადმი სწორედ ამგვარ მიდგომას ითხოვენ. კაფკასა და პრაღის კავშირის საილუსტრაციოდ მათ უამრავი მასალა შეაგროვეს. მულტიმედიის საშუალებით, ექსპოზიცია უფრო ცოცხალი და საინტერესო ხდება. დამთვალიერებელი ეცნობა კაფკას ნახატებს, კითხულობს ციტატებს მისი დღიურებიდან, ისმენს ნაწარმოებების აუდიო-ჩანაწერებს, ხელს ავლებს მისი წიგნების პირველ გამოცემებს და, რა თქმა უნდა, მწერალს ფოტოებითა და ხელნაწერებითაც იხსენებს...



*"ალეფის" პირველი გამოცემა, 1949 წ.*


*ხორხე ლუის ბორხესი მეუღლესთან, მარია კოდამასთან ერთად*

ზუსტად ასეთივე ინტიმურ-ლიტერატურული გარემოა შექმნილი ბარსელონას ცენტრის სტუმრებისთვისაც:

ხელნაწერები, ჟურნალები, პირველი გამოცემები, დღემდე გამოუქვეყნებელი, უცნობი ფოტოები, წიგნები ბორხესის პირადი ბიბლიოთეკიდან, მწერლის მეგობრებისა და მასწავლებლების მოგონებები, ისტორიული დოკუმენტები ბუენოს აირესის შესახებ, ბორხესის ლექციებისა და სატელევიზიო ინტერვიუების ვიდეოჩანაწერები – აი, ის ყოვლისმომცველი მასალა, რომელსაც ლიტერატურის მოყვარულნი მწერლის სამყაროში გადაჰყავს. ამ მოგზაურობას ვიზუალურ ხიბლს ანიჭებს სხვადასხვა აუდიო-ვიდეო მასალა, ინსტალაცია.

გამოფენა 16 თებერვლამდე კი გრძელდება, მაგრამ ზენიტს დეკემბრის შუა რიცხვებში აღწევს, როდესაც იქვე, კულტურის ცენტრში, ბორხესის შესახებ სამი სპეციალური ლექცია გაიმართება. პირველ დღეს, პერე გიმფერერი (მწერალი, პოეტი და ლიტერატურული კრიტიკოსი) იმ ლიტერატურულ მიმდინარეობებზე ისაუბრებს, რაც ბორხესის ნაწარმოებების პასუხად კატალონიაში გაჩნდა.

ედგარდო კოზარინსკი (არგენტინელი მწერალი და რეჟისორი) ბორხესსა და კინემატოგრაფს შორის არსებულ კავშირს გამოიძიებს. სხვათა შორის, მისი ესსე "ბორხესი კინოს შესახებ და კინოში" უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს. კოზარინსკის 1989 წლის სურათი Guerreros y cautivas კი საერთოდ ბორხესის მიხედვითაა გადაღებული.

დაბოლოს, კრიტიკოსი მარტინ არიასი სტუმრებს თავისი წიგნის "ბორხესი პროფესორი" (2000წ.) ნაწყვეტებს გააცნობს. მის ლექციას მეტად საინტერესო სათაური აქვს: "ბორხესი და ინგლისური ლიტერატურა". თავად მწერალიც ხომ ამბობდა: ინგლისელი ბებიის წყალობით, ისეთ ორენოვან გარემოში ვიზრდებოდი, რომ კარგა ხანს, არც ვიცოდი ინგლისური და ესპანური სხვადასხვა ენები თუ იყოო. ფაქტობრივად, ინგლისური წიგნების გარემოცვაში გავიზარდეო... ასე რომ, მწერლის ინგლისური ტრადიციები მის არგენტინულ ფესვებზე არანაკლებ საინტერესო განსახილველი თემაა.

შეგახსენებთ: ამჯერად მოქმედების ადგილი ბარსელონაა. თუმცა, ბორხესი ხომ კოსმოპოლიტიზმზე გვესაუბრებოდა, ამიტომ მოდით, ყურადღება არ მივაქციოთ კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტს და თბილისში დარჩენილებმა საყვარელი ავტორები ჩვენთვის მაინც გავიხსენოთ. თავად ბორხესმა ხომ, კოსმოპოლიტიზმის იდეის ასე კეთილშობილურად გადათარგმნის გამო, საზღვრები არა მხოლოდ ბუენოს აირესსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, არამედ ლიტერატურას, მეტაფიზიკას და თეოლოგიას შორისაც მოსპო.

# კონსერვატორიაში სტუდენტური კლუბი გაიხსნა

მადი სერებრიაკოვა

მართალია, კომკავშირისა და პიონერთა ეპოქა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ახალგაზრდული ორგანიზაციები მაინც არ კარგავენ აქტუალობას. თუ ადრე სტუდ-კავშირები წესრიგისა და შიდაგანაწესის დამცავთა კიდევ ერთ შრეს წარმოადგა, დღეს ანალოგიური ორგანიზაციები ხშირად პირიქით – ხელმძღვანელობის ოპოზიციის როლში გვევლინებიან ხოლმე. კონსერავტორიაში სტუდ-კავშირი სამი წლის წინათ გაუქმდა. ყოფილმა სტუდ-კავშირელებმა კი გადაწყვიტეს, რომ საკუთარი აქტივობა უფრო თავისუფალ ორგანიზაციაში გაეგრძელებინათ.

სტუდენტური კლუბის ფორმა კონსერვატორიის აქტიურმა სტუდენტებმა დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით დანერგეს. განსხვავებით სტუდ-კავშირისაგან, იგი თავისუფალი, გამჭვირვალე ორგანიზაცია იქნება, რომელიც პროგრამული დაფინანსებით განახორციელებს საკუთარ პროექტებს. სტუდენტური კლუბის მიზანი საკმაოდ მარტივია: ხელი შეუწყოს სტუდენტთა მრავალმხრივ განვითარებას და სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ინტეგრირებას. ამისთვის კონსერვატორიის სტუდენტური კლუბის პრეზიდენტ გიორგი დარბაიძეს უკვე სამოქმედო გეგმაც გააჩნია. გარდა შიდა სამეცნიერო-შემოქმედებითი განხილვებისა და სემინარებისა, საგაზაფხულოდ ოთხი სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლის (კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, თეატრალური ინსტიტუტი, კულტურის უნივერსიტეტი) ერთობლივი შემოქმედებითი კვირეული იგეგმება.

სტუდენტური კლუბის პრეზენტაცია კონსერვატორიაში გუშინ საკმაოდ პომპეზურად აღინიშნა. საზეიმო გახსნაზე კოლეგებს სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური ორგანიზაციების ლიდერები ეწვივნენ. მისასალმებელი სიტყვა კულტურის მინისტრის მოადგილემ (სხვათა შორის, ყოფილმა კონსერვატორიელმა) ნინო კობახიძემაც წარმოთქვა. გაიჟღერა ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის სახელმაც.

გახსნის ცერემონიალი კონცერტმა დაასრულა.

## კალენდარი

29 ნოემბერი



ბრიტანული ბლუზის მამა – ასე მოიხსენიებენ ლეგენდარულ ჯონ მეიელს, რომელიც ოთხი ათწლეულის განმავლობაში იდგა სცენაზე და ამ ხნის განმავლობაში 40 ალბომი ჩაწერა. ჯონ მეიელის სკოლა ბევრმა ცნობილმა მომღერალმა გაიარა: ერიკ კლაპტონი, ჯონ მაკვი, პიტერ გრინი, მიკ ფლიტვუდი, მიკ ტეილორი – ამ მუსიკოსებმა კარიერა სწორედ მეიელის ჯგუფიდან – Bluesbreakers-დან დაიწყეს და პოპულარობასაც მეიელის დახმარებით მიაღწიეს.

"ყოველთვის მინდოდა ბლუზის დაკვრა, - ხშირად ამბობს ჯონ მეიელი, - სხვა ჟანრის მუსიკა, კაცმა რომ თქვას, არც მყვარებია. ბლუზი ჩემშია, ეს ის მუსიკაა, რომელთანაც საკუთარი თავის გაიგივება შემიძლია". ჯონ მეიელის ხელში ჩვეულებრივი ბას-გიტარა არაჩვეულებრივ ინსტრუმენტად იქცა - როგორც ამბობენ, ამ მუსიკოსმა ლონდონში "გიტარის გმირის" ეპოქას დაუდო საფუძველი.

**ჯონ მეიელი** 1933 წლის 29 ნოემბერს დაიბადა.

# ქანდაკება გალერეა „შარდენში"

თეონა ჯაფარიძე

გალერეა "შარდენის" მიპატიჟება "სასკია ვიინდორფისა და ბადრი გოგუაძის ქანდაკების ერთობლივი გამოფენის გახსნის ცერემონიალზე, რომელიც შედგება 29 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე" თავიდანვე საინტერესოდ ჟღერდა. სახელი სასკია, რომელიც ჰოლანდიურ ხელოვნებასთან ასოცირდება და მოსაწვევის ყდაზე გამოსახულ მოქანდაკის სახელოსნოს ფოტო, სადაც ერთიმეორის გვერდით ჰოლანდიელი ქალბატონისა და ქართველი სკულპტორის მუშაობის პროცესია აღბეჭდილი, ცნობისმოყვარეობას კიდევ უფრო ამძაფრებდა. ამიტომ მოქანდაკეებს გამოფენის გახსნამდე შევხვდი, როცა ისინი თავიანთი ნამუშევრებით "შარდენის" საგამოფენო სივრცეს ითვისებდნენ. ერთიმეორის გვერდით არეულად განთავსებულ ჯერ კიდევ აუწყობელ ექსპოზიციაში აშკარად ორი ხელწერა შეინიშნებოდა. თუმცა, როგორც შევიტყვე, ნამუშევრები მასწავლებელსა და მოსწავლეს ეკუთვნოდა.

სასკია ვიინდორფი ქანდაკების ხელოვნებას სწორედ თბილისში, ქართველი სკულპტორის ბადრი გოგუაძის სახელოსნოში დაუფლებია. "ყველაფერი ნულიდან დავიწყეთ, ორი წლის წინ, როდესაც სასკია ჩემს სახელოსნოში მოხვდა. დავიწყეთ ელემენტარული ქანდაკების ანბანით. მაგალითად, თვალის, ცხვირის, ფეხის გამოძერწვით. დღეს კი ის უკვე მცირე პლასტიკაზე მუშაობს. თუმცა, ქანდაკების შესახებ მას დიდი ინფორმაცია ჰქონდა მიღებული და ევროპის თითქმის ყველა მუზეუმში დაცულ მნიშვნელოვან ნამუშევარს იცნობდა", - მიამბობს ქართველი სკულპტორი ბადრი გოგუაძე.


*სასკია ვიინდორფი და ბადრი გოგუაძე*

პროფესიით ეკონომისტის, თბილისში "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში" კონსულტანტად გამწესებული სასკია ვიინდორფისათვის საცხოვრებლად მოქანდაკესთან მოხვედრამ, მისი დაფარული ნიჭისა და ოცნების რეალიზება მოახდინა. ქართველი სკულპტორის სახელოსნომ მას გარდაცვლილი დედის, მოქანდაკის სახელოსნო გაახსენა, სადაც ბავშვობა გაატარა. და თუმცა, სკოლაში ეკონომიკას სწავლობდა, ყოველთვის განიცდიდა ამ სამგანზომილებიანი ხელოვნებისადმი ლტოლვას. დასავლური მუზეუმების წყალობით ის კარგად იცნობს ცნობილ შედევრებს და იდეალურად მიაჩნია აფრიკული პრიმიტიული ქანდაკება და სკულპტურის ექსპრესიონისტული სკოლა. თბილისურმა სახელოსნომ კი ტიპიური ევროპული რიტმითა და საბანკო ოპერაციებით გადაღლილი ბანკის მოხელის საინტერესო შესაძლებლობები გამოავლინა.

მიუხედავად მოზღვავებული გამოფენებისა, თბილისში ქანდაკების გამოფენა იშვიათია. გალერეა "შარდენში" წარმოდგენილ ექსპოზიციას კი ასე ჰქვია: "სკულპტურა – უნივერსალური ენა".

# ოსტატი და შეგირდი

## ქართული მუსიკის ახალი ტანდემის პრეზენტაცია

*გუშინ, კინოთეატრ "ამირანში" წინასწარვე გააფრთხილეს პატივცემული საზოგადოება, რომ მათ წინ დიდი სიახლე არ ელოდათ. ძველი და მარადიული იყო თემა; მათთვის კარგად ნაცნობნი იყვნენ კლიპის შემოქმედებითი ჯგუფის წევრები; ძველი იყო მუსიკაც, რომელსაც მოსწავლე-მასწავლებლის დუეტი, თემურ წიკლაური და გიორგი ბოლაშვილი ასრულებდა.*

თეა დვალი

ასევე წინასწარ ითქვა, რომ მომრავლებული პრეზენტაციებისგან განსხვავებით, "ამირანში" ტრადიციულ ქართულ ესტრადას მოვუსმენდით. პრეზენტაციისგან უფრო მეტს ალბათ არც მაყურებელი ელოდა. ყოველ შემთხვევაში, მათი გულიანი და დაუცხრომელი აპლოდისმენტების შემდეგ სხვაგვარ დასკვნას ვერავინ გააკეთებდა.

"ძალიან ბევრი პატარა კინო (ანუ კლიპი, – თ.დ) მინახავს, სადაც თითქმის ყველგან ისე სწრაფად იცვლება კადრები, რომ ვერ ვიგებ ვერაფერს. ეს პატარა კინო გავიგე, მოვისმინე, დავინახე და კმაყოფილიც დავრჩი", - ასე განაწყო გივი ბერიკაშვილმა მაყურებელი, რომელსაც თემურ წიკლაურისა და გიორგი ბოლაშვილის "მარადისობა" უნდა ენახა. როგორც ჩანს, მუსიკალური ვიდეორგოლის სახელწოდება ჯერაც არ შეურჩევიათ, რადგანაც გუშინ ის კიდევ მეორენაირად გააცნეს საზოგადოებას. "სიყვარული რჩება მარადიული", - ეს არის კლიპის სამუშაო სახელწოდება, რომელიც ალბათ დარჩება კიდეც", - გვითხრა საღამოს წამყვანმა ზაზა ალექსიძემ.

ქართული ესტრადის სამზარეულოსთან დაახლოვებულები კლიპის ავტორებსაც კარგად იცნობენ. მისი რეჟისორი გიორგი კახაბრიშვილია; ტექსტის ავტორი ზურაბ გოშაძე, კომპოზიტორი კი ნუგზარ თუშიშვილი. რაც შეეხება სიმღერის ერთ-ერთ შემსრულებელს, გიორგი ბოლაშვილსაც ქართულ ტელეეთერში დატრიალებული მისი პირველი ვიდეორგოლით "ქიზიყიონით" (როგორც ამბობენ, "ერისიონის" ზეგავლენით შექმნილი ნამუშევარია) მეტნაკლებად იცნობს მსმენელი.

კლიპის ავტორებთან ერთად აუდიტორიას გუშინ სასულიერო პირიც მიესალმა. როგორც გაირკვა, კლიპის იდეის ავტორებს წინასწარ ლოცვა-კურთხევა აუღიათ მამა იოანესგან, რომელმაც გუშინ შემოქმედებით ჯგუფს ნამუშევრის დასრულება მიულოცა. გუშინ რელიგიური თემატიკა საღამოს წამყვანის საკმაოდ "გრძელ" სიტყვასა და როგორც მოგვიანებით მაყურებელმაც იხილა, კლიპშიც ჭარბობდა. საკმაოდ ბანალური კლიპი გუმბათის, ფრესკების ხედებითა და მამაო ჩვენოს კითხვით იწყება. მას ცვლის დიდგორში, ვარძიაში თუ ხერთვისში გადაღებული კადრები. თუმცა, საბოლოო ჯამში, თემურ წიკლაურის აზრით, კლიპი სულაც არ არის რელიგიური შინაარსის. "კლიპში გიორგის ფარიკაობასაც ვასწავლი, ღვინის დაწურვასაც და ა.შ. გიორგის აქვს ასეთი იდეები და თუკი ეს ვინმეს არ მოეწონება, მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე", - უთხრა ჟურნალისტებს მომღერალმა.

ტრადიციულად, პრეზენტაცია დაასრულა ფურშეტმა. საღამოს წამყვანის უამრავჯერ აღნიშნული საშობაო მარხვის დაწყების მილოცვის მიუხედავად კი, ეს სუფრა სამარხვო ნამდვილად არ ყოფილა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ორშაბათი 2.12

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯადოქარი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 "ხალხის პირისპირ" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 ჯადოქარი 18.45 ჰერაკლე 19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე" 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.20 მხ.ფილმი "დუეტები" მთ.როლებში გვინეტ პელტროუ, პოლ ჯამატი 02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 09.55 მხ. ფილმი "უსახო კაცი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "რვაფეხა" 13.00 ნაშუადღევს 14.00 ოქროს მართვე 14.30 "ევროპის ბუნებრივი დიდებულება" 15.15 მხ. ფილმი "სტრინგერი" 16.45 სერიალი "ძილის წინ" 17.00 "რამპა" 17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "მრავალჟამიერ" 19.05 ვიდეოპატრული 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 ტელესერიალი "რვაფეხა" 21.50 "დრო და ფული" 22.00 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" - "ატრაქციონები" 23.00 დღის ბოლოს 23.40 სერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "კაცია და ბუნება"

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 08.20 "კვირის საუკეთესო ხულიგანი" განმეორებით 10.00 "ინფორმატორი" განმეორებით 11.00 "მუს. ათეული" განმეორებით 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 "კომედია" მხ.ფ. "სამი ლტოლვილი" 19.00 "ინფორმატორი" განმეორებით 19.30 ვიდეორადიო 21.00 "რუსული ათეული" განმეორებით 21.45 აბა გამოიცანი კადრი 22.40 პოლიტპაპარაცი 23.00 უცნობი 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "კოდი "ენიგმა". მთ. როლებში კეიტ უინსლეტი, მაფონ ბეროუზი 01.45 "ღამურა" მხ.ფ. "სიცრუის დეტექტორი" მთ. როლებში ტიმ როთი, მაიკლ რუკერი, კრის პენი 03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 ჯანმრთელობა 21.40 მიზანი 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "შიშველი მახა"

### ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20 მსოფლიო სპორტი 12.30 "ვარსკვლავები გვამცნობენ" 14.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი 20.40 პირველი ნაბიჯები 21.00 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.00 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "დამნაშავე" 10.20 მხ.ფ. "თევზი, სახელად ვანდა" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "აცტეკთა მზე" 22.30 ბურთი და მოედანი 22.50 მხ.ფ. "დამხვრჩვალთა ათვლა" 00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი "ზოროს ნიღაბი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "რაზმი ზღვის კატები" 19.20 საექტრი 21.00 მხ. ფილმი "ჯორჯ ფიცჯერალდ კენედი"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. ფილმი "კარიერა" 11.45, 13.35, 14.40, 16.20, 17.25, 20.45, 21.45, 23.35 მუსიკა 12.00 ქართ. მხ. ფილმი "ცისფერი მთები" 13.50 მულტფილმი "ქალთევზა" 14.55 მხ. ფილმი "მომაკვდინებელი მთვარე" 16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება" მე-40 ნაწილი 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-11 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შეჰრაზადი" მე-11 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 61-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 20.30 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 21.00 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ტომარი პორტუგალიის უდიდესი მონსტრი" 22.00 მხ.ფ. "ქურდად დაბადებული" 00.00 მხ.ფ. "გლადიატორი"

### აჭარის ტელევიზია

07.00-19.00 არხის პროფილაქტიკა 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.40 ვესტერნი "მხედარი გვიახლოვდება" 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 1 სერია 01.10 თრილერი "გავარვარებული შაბათი" 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 03.30 ისტორიული ფილმი "რანი"

### VII არხი

09.10 "აჩიკუდა" 09.40 "სახლიდან გაუსვლელად" -აუდიო-ვიდეო-ტელე 10.20 მელოდია 10.50 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.15 ანიმაცია 11.30 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 12.05 "ობიექტივი" 12.55 დისნეი და მისი მეგობრები 13.20 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 13.55 ამინდის პროგნოზი 14.05 სპორტი 18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 18.45 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.45 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 20.20 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.10 "ლა-ლა-ლა" 21.55 მოკლედ... სპორტი 22.00 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 22.20 "კინოკლუბი " - "ოფიცერი და ჯენტლმენი" ა.შ.შ. 1990 წელი. მელოდრამა. რეჟ. ტეილორ ჰეკფორდი. მთ. როლში: რიჩარდ გირი. 00.45 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 01.25 "გიორითმი" - მადონა

### ОРТ

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 "Что? Где? Когда? 11.35 Док. детектив. "Суд над призраком". 12.10, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.40 Следствие ведет Колобков 13.15 Комедия "ПОХИЩЕНИЕ ЦЕНТРОВОГО" 14.55 "Граф Дракула" 15.25 "Гении и злодеи". Гюстав Эйфель 16.45 "Ералаш" 17.00 Худ.фильм "ЖИВОТНЫЕ-НАРУШИТЕЛИ, ИЛИ ПОЧЕМУ СОБАКИ ЛАЮТ, А ШИМПАНЗЕ СМЕЮТСЯ" 18.00 "Большая стирка" 19.25 "Шутка за шуткой" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.40 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА", 1 с. 23.45 Независимое расследование 01.00 Ночное "Время" 01.20 Искатели. "Пропавшее сокровище Ивана Грозного" 01.50 "Охота на ангела"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!" 09.45 Комедия "МОНАХИНИ В БЕГАХ" 11.35 "ХА". Маленькие комедии 11.45, 18.20, 00.30 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20 "Цена успеха" 13.15 "Вера, надежда, любовь" 14.10 "Экспертиза" 14.30 Вести-Москва. Неделя в городе 15.20 "Что хочет женщина" 16.20 Худ.фильм "ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!" 18.50 "Дорожный патруль" 19.05 Вести-Спорт 19.20, 21.35 Местное время. Вести-Москва 19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ" 20.50 "Спокойной ночи, малыши!" 21.55 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2" 22.50 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ" 00.00 "Вести +" 00.45 "Дежурный по стране". Михаил Жванецкий 01.40 "Синемания" 02.05 "Дорожный патруль"

## სამშაბათი 3.12

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯადოქარი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 ჯადოქარი 18.45 სერიალი "ტალღის ქიმზე" 19.35 პერეკრესტოკი 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 00.20 მხ. ფილმი "როლერბოლი" მთ. როლებში ჟან რენო, კრის კლეინი 02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 დრო და ფული 09.55 მხ. ფილმი "კაცია და ბუნება" 11.45 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "რვაფეხა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი "იდუმალი მგზავრი" 16.55 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" - "კანადა ონტარიო" 17.40 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "და არს მუსიკა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.15 "ჩვენი ფეხბურთი" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "ფარატიევის ფანტაზიები"

### პირველი სტერეო

08.00 "ტოროლა" 08.20 "კვირის საუკეთესო ლექსები" განმეორებით 11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 "კომედია" მხ.ფ. "უკააიკოდ ბევერლი-ჰილზში" 19.00 "პაპარაცი" განმეორებით 19.30 ვიდეორადიო 21.00 "ქართული მუს. ათეული" განმეორებით 21.45 აბა გამოიცანი კინოობანა 22.45 მოკლე სეანსი 23.00 სველი ხაზი 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მექსიკელი" მთ. როლებში ბრედ პიტი, ჯულია რობერტსი 01.45 "ღამურა" მხ.ფ. "რაპტორი" მთ. როლებში ერიკ რობერტსი, კორბინ ბერნსენი 03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ამბები ჩვენზე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "ქალბატონის ვიზიტი"

### ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20 მულტფილმი 12.00, 21.00 სალონი 14.00, 15.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი 20.00 მსოფლიო სპორტი 23.00 სტუდია "ეკონომისტი" 00.00 მხ.ფ. "აირისი"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.30 ბურთი და მოედანი 09.05 მხ. ფილმი "აცტეკთა მზე" 10.25 დოკ. სერიალი 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 10.50 მხ.ფ. "დამხრჩვალთა ათვლა" 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 20.00 მხ.ფ. "როგორ გავხდე პრინცესა" 22.30 ძველი კინო "ერთი სიყვარულის ქრონიკა" 00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ჯორჯ ფიცჯერალდ კენედი" 15.00 მხ. ფილმი "სარკეს ორი მხარე აქვს" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ლამაზმანი ჯო" 19.20 საექტრი 21.00 მხ. ფილმი "სათამაშო" 22.30 მხ. ფილმი "შერბურბული ქოლგები"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 13.20, 16.20, 17.30, 20.50, 21.45, 23.50 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 12.30 მულტფილმი "ტარზანი მაიმუნთა მბრძანებელი" 13.30 მხ. ფილმი "ქურდად დაბადებული" 15.05 დოკ. ფილმი "ცეკვა საშიშ მიწაზე" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 41-ე სერია 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-12 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შეჰრაზადი" მე-12 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 62-ე სერია 20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" მე-13 სერია 21.00 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "გათი მაღალი საზოგადოების ცხელი წყარო". 22.00 მხ.ფ. "იაკუძას ძმა" 00.00 მხ.ფ. "მაილოს დაბადება"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 1 სერია 10.20 სათავგადასავლო ფილმი "ზებერი ბოზი" 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 ისტორიული ფილმი "რანი" 14.45 კომედია "გამოუსწორებელი მატყუარა" 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.20 მულტფილმი "ბემბი" 17.30 ფილმი-კატასტროფა "შტორმი" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 დოკუმენტური ფილმი 20.20 კომედია "ის,ვინც შეყვარებულია" 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 2 სერია 01.10 მხატვრული ფილმი "ზაფხულის ხალხი" 03.30 მხატვრული ფილმი "ვინა ვარ?"

### VII არხი

09.30 "აჩიკუდა" 09.55 "ბედნიერი ერი" 10.00 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.25 "ავტოტრეკინგი" 11.10 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 11.45 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 12.25 ანიმაცია 12.50 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 13.20 "გიორითმი" - მადონა 13.40 დისნეი და მისი მეგობრები 14.00 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 14.25 სპორტი 18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 18.30 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.05 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.15 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 "ღამის კაპრიზი" - თემა: გავნე ჩვევა 21.50 მოკლედ... სპორტი 22.00 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.35 "კინოკლუბი" - "რაზმი". ა.შ.შ. 1990 წელი. ვესტერნი. რეჟ. მარიო ვან პიბლზი. როლებში: სტივენ ბოლდუინი, ბილი ზეინი. 00.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 00.55 "გიორითმი" - მადონა

### ОРТ

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Независимое расследование 11.50 "Ералаш" 12.05, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.35 Дисней-клуб: "Переменка" 13.15 Детектив "ПОДХОДЯЩИЕ УЛИКИ" 14.45 "Ералаш" 15.00 Жди меня 16.50 Сериал "Знатоки"."ПУД ЗОЛОТА", 1 с. 18.00 "Большая стирка" 19.25 "Кумиры". Клара Румянова 20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 20.55 "Последний герой 2". "Бумеранг" 22.00 Время 22.40 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА", 2 с. 23.45 "Лубянка". "Гений разведки". Фильм 2 01.00 Ночное "Время" 01.20 Телеканал "Новый день". "Жестокие боги Вуду" 01.50 "Апология" 02.20 "Идолы". Пол Ньюмен 02.50 "Апология"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!" 09.45 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2" 10.40 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ" 11.45, 18.20, 00.30 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20 "Цена успеха" 13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС" 14.10 "Экспертиза" 14.30 "Колоссальное хозяйство" 14.45, 19.20, 21.35 Вести-Москва 15.20 "Что хочет женщина" 16.20 Худ.фильм "ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!" 18.50 "Дорожный патруль" 19.05 Вести-Спорт 19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ" 20.50 "Спокойной ночи, малыши!" 21.55 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2" 22.50 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ" 00.00 "Вести +" 00.45 Худ.фильм "ХОЛОДНОЕ СЕРДЦЕ" 02.30 "Дорожный патруль" 02.40 "Горячая десятка"

## ოთხშაბათი 4.12

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯადოქარი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ.ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 ჯადოქარი 18.45 ჰერაკლე 19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე" 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.20 მხ. ფილმი "არავის მიწა" მთ. როლებში ფრანკო ჯურიჩი, რენე ბიტორაჯაცი 02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 დრო და ფული 10.00 მხ. ფილმი "ვაჟიშვილის ოთახი" 11.30 დოკ. სერიალი "ევროპის ბუნებრივი დიდებულება" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "რვაფეხა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ქართული ენის გაკვეთილი" 14.30 დოკ. ფილმი "პალიტრა" 15.15 მხ. ფილმი "სუპერქურდობა მილანში" 16.55 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.10 50-50 17.45 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ისტორიანი" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.10 "მიამბეთ თქვენზე" - ი. ციციშვილი 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 სერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "სამიზნე"

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 10.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით 11.00 "მუსიკალური ათეულის" განმეორებით 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 "კომედია" მხ.ფ. "შეშლილი პროფესორი 2" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 "ინგლისური მუს.ათეული" განმეორებით 21.45 აბა გამოიცანი ასოციაციობანა 22.45 ინფაქტი 23.00 "ინფორმატორი" 23.15 სველი ხაზი 00.15 "ბრავო" მხ.ფ. "ქართან მოსაუბრენი" მთ. როლებში ნიკოლას კეიჯი, კრისტიან სლეიტერი 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "სწრაფი დაძირვა" მთ. როლებში სემ ნილი, ემილი პროქტორი 03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "ჰოლივუდის ნიშნით"

### ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20, 22.30 მსოფლიო სპორტი 12.00 სალონი 15.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 მულტფილმი 20.15 მუსიკალური პაუზა 20.30 საოცარი პირამიდა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 თინეიჯერი 23.35 მხ.ფ. "გუშაგი"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.30 მხ. ფილმი "როგორ გავხდე პრინცესა" 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 10.20 ძველი კინო "ერთი სიყვარულის ქრონიკა" 12.20 ლიტერატურული გადაცემა (განმეორებით) 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "მორიელთა მეფე" 22.15 მხ.ფ. "3000 მილი გრეისლენდამდე" 00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "სათამაშო" 13.30 მხ. ფილმი "შერბურბული ქოლგები" 15.00 მხ. ფილმი "გულთან ახლოს" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ტაქსი" 19.20 საექტრი 21.00 მხ. ფილმი "ნიღაბი" 22.30 მხ. ფილმი "9 იარდი"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 13.40, 15.50, 16.25, 17.30, 20.50, 21.20, 21.45, 23.35 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 62-ე სერია 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" მე-13 სერია 12.50 მულტფილმი "ფიფქია" 14.00 მხ. ფილმი "იაკუძას ძმა" 16.05 დოკ. ფილმი "განძი ნაშთად დასუთების" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 42-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-13 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შეჰრაზადი" მე-13 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 63-ე სერია 20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "გენზინი სისხლში" 1-ლი სერია 21.00 მულტფილმი "ოზის კეთილი ჯადოქარი" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "კლდეში ნაკვეთი ტაძარი ანუ სიმბელი. ეგვიპტე" 22.00 მხ.ფ. "ისტორია ღამღამობით იქმნება" 23.50 მხ.ფ. "სისხლიანი დანაშაული"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 2 სერია 10.20 სათავგადასავლო ფილმი "დასავლეთისკენ" 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 მხატვრული ფილმი "ვინა ვარ?" 14.10 მელოდრამა "ხავერდოვანი საგა" 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.20 მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" 17.35 მხატვრული ფილმი "მოუხელთებელი შურისმაძიებლები" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 დოკუმენტური ფილმი 20.10 მხატვრული ფილმი "უკანასკნელი მისია" 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 3 სერია 01.10 კომედია "ერთგული მეგობრები" 03.30 მხატვრული ფილმი "მარტოხელას მართლმსაჯულება" 05.10 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი 09.15 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 "სახლიდან გაუსვლელად" -აუდიო-ვიდეო-ტელე 10.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 10.40 "პაემანი" 11.35 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 12.05 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით 12.45 "სახლიდან გაუსვლელად" -მობილურები 13.20 ანიმაცია 13.35 "გიორითმი" 14.00 დისნეი და მისი მეგობრები 14.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 14.55 სპორტი 18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 18.50 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.45 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 20.20 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.05 "ლა-ლა-ლა" 22.10 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 22.45 "კინოკლუბი " - "დოქტორი ჟივაგო" მე-2 სერია. 00.10 სპორტი 00.15 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 01.00 "გიორითმი"

### ОРТ

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15, 20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.10 "Лубянка". "Гений разведки". Фильм 2 12.05, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.35 Дисней-клуб: "Плойд в космосе" 13.15 Детектив "НА ГРАНИ НЕРВНОГО СРЫВА" 14.45 "Ералаш" 15.00 Искатели. "Пропавшее сокровище Ивана Грозного" 15.30 Телеканал "Новый день". "Жестокие боги Вуду" 16.50 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА", 2 с. 18.00 "Большая стирка" 19.25 Смехопанорама 21.00 "Русская рулетка" 22.00, 01.00 Время 22.40 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА", 3 с. 23.45 "Форс-Мажор" 01.00 Ночное "Время" 01.20 Телеканал "Новый день". "Прыжок из космоса" 01.50, 02.50 "Апология" 02.20 Телеканал "Новый день". "Сати"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!" 09.45 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2" 10.40 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ" 11.45, 18.20, 00.30 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20 "Цена успеха" 13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС" 14.10 "Экспертиза" 14.30 "Москва-Минск" 14.45, 19.20, 21.35 Вести-Москва 15.20 "Что хочет женщина" 16.20 Худ.фильм "ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!" 18.50 "Дорожный патруль" 19.05 Вести-Спорт 19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ" 20.50 "Спокойной ночи, малыши!" 21.55 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2" 22.50 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ" 00.00 "Вести +" 00.45 Худ.фильм "ПОЕЗД ДО БРУКЛИНА" 02.35 "Дорожный патруль"

## ხუთშაბათი 5.12

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯადოქარი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 ჯადოქარი 18.45 ჰერაკლე 19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე" 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 00.20 მხ.ფილმი "ბიჭები არ ტირიან" მთ.როლებში ჰილარი სუონკი, კლოდ სევინი 02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 დრო და ფული 10.00 მხ. ფილმი "სამიზნე" 11.30 დოკ. სერიალი "აფრიკის ბუნებრივი დიდებულება" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.10 სერიალი "რვაფეხა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ინგლისური ენის გაკვეთილი" 14.35 დოკ. სერიალი "პალიტრა" 15.15 მხ. ფილმი "პოკროვის კარიბჭე" 1-ლი სერია 16.20 დოკ. ფილმი 16.55 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.10 რამპა 17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (ჩრდილოეთ კაროლინა) 17.40 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ჯანმრთელობა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.10 "საქართველო არის ესე" 22.35 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ირგვლივ" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "გავშვებისათვის 16 წლამდე" 01.35 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 10.00 "ინფორმატორი" განმეორებით 11.00 "მუს. ათეული" განმეორებით 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 "კომედია" მხ.ფ. "გულთამპყრობელები" 19.00 "ინფორმატორი" განმეორებით 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 მუს. ათეული მიქსი 21.45 ჩაძირობანა 22.45 საუკეთესო პატარა დიდები 23.00 სველი ხაზი 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ციბანი". მთ. როლებში ლეტიცია კასტა, ხოაკინ კორტესი 01.45 "ღამურა" მხ.ფ. "კრაზანის ბუდე". მთ. როლებში სამი ნასერი, ბენუა მაჰიმელი 03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "ცხრანახევარი კვირა"

### ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20, 20.00 მსოფლიო სპორტი 12.25, 21.00 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 15.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "იდენ-ტვ" 23.00 ფსიქო-პორტრეტი 00.00 მხ.ფ. "საკუთარი წვეულება"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ. ფილმი "მორიელთა მეფე" 10.20 მხ. ფილმი "3000 მილი გრეისლენდამდე" 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "გმადლობთ შოკოლადისათვის" 22.15 მხ.ფ. "ყველაფერი დედაჩემის შესახებ" 00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ნიღაბი" 13.30 მხ. ფილმი "9 იარდი" 15.00 მხ. ფილმი "თავში უქრის" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ტაქსი 2" 19.20 საექტრი 21.00 მხ. ფილმი "არმაგედონი"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 13.40, 15.35, 16.15, 17.30, 21.20, 21.45, 00.00 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 63-ე სერია 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" 12.50 მულტფილმი "სინდბადი" 14.00 მხ. ფილმი "ისტორია ღამღამობით იქმნება" 15.55 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 43-ე სერია 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-14 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შეჰრაზადი" მე-14 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 64-ე სერია 20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "გენზინი სისხლში" მე-2 სერია 21.00 მულტფილმი "ოზის კეთილი ჯადოქარი" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ზიმბაბვის ძველ ნანგრევთა საიდუმლო" 22.00 მხ. ფილმი "გენერალი" 00.15 მხ.ფილმი "სემის ზაფხული"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 3 სერია 10.20 კომედია "ოპერაცია დელმატინელი" 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 მხატვრული ფილმი "მარტოხელას მართლმსაჯულება" 13.50 სათავგადასავლო ფილმი "მუშკეტერთა დაბრუნება" 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.20 მულტფილმი "მაუგლი" 17.20 ფანტასტიკა "ცისფერი ტორნადო" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 მხატვრული ფილმი "ოცეული" 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 3 სერია 01.10 მხატვრული ფილმი "შანჰაი" 03.30 მელოდრამა "სულელები არა ვართ" 05.15 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.10 მელოდია 09.40 "აჩიკუდა" 10.05 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 10.45 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 10.55 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.30 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.55 "გიორითმი" - მადონა 12.15 ანიმაცია 12.35 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 13.05 დისნეი და მისი მეგობრები 13.25 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 13.50 სპორტი 18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.45 "პაემანი" 20.35 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 21.10 "ღამის კაპრიზი" - თემა: ჩემი შეცდომები 22.15 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.50 "კინოკლუბი " - "შენ რაღა გაქვს სათქმელი" 1 სერია. ა.შ.შ. 1984 წელი. კომედია. რეჟისორი - ემი ჰეკერლინგი. მთ. როლში: ჯონ ტრავოლტა. 00.45 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 01.00 "გიორითმი" - მადონა

### ОРТ

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15, 20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.15 "Ураза-Байрам". Трансляция из Уфимской соборной мечети 12.05, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.35 Дисней-клуб: "Черный плащ" 13.15 Худ.фильм "ПОЕЗДКА В ИНДИЮ", ч. 1 15.00 Телеканал "Новый день". "Сати" 15.30 Телеканал "Новый день". "Прыжок из космоса" 16.50 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА" 18.00 "Большая стирка" 19.25 "Сами с усами" 21.00 "Слабое звено" 22.00, 01.00 Время 22.40 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА" 23.45 Человек и закон 01.20 Телеканал "Новый день". "Русский экстрим" 01.50, 02.50 "Апология" 02.20 Телеканал "Новый день". "Гении и злодеи"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!" 09.45 Праздник Ураза-Байрам. Трансляция из Московской соборной мечети 10.45 "Сам себе режиссер" 11.45, 18.20, 00.30 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20 "Цена успеха" 13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС" 14.10 "Экспертиза" 14.30 "Вся Россия" 14.45, 19.20, 21.40 Вести-Москва 15.20 "Что хочет женщина" 16.20 Худ.фильм "ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!" 18.50 "Дорожный патруль" 19.05 Вести-Спорт 19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ" 20.50 "Спокойной ночи, малыши!" 21.55 Худ.фильм "ЖЕНСКАЯ СОБСТВЕННОСТЬ" 00.00 "Вести +" 00.45 Худ.фильм "В СПАЛЬНЕ" 03.05 "Дорожный патруль"



## "დებიუტი"

**Duets (2000 წ.)**

**00 სთ. 20 წთ.**

ოვაციები აქ მხოლოდ გამბედავებს ერგებათ. აქ უიღბლობასაც უმართლებთ. აქ თქვენ მარტო არ ხართ. თუნდაც სამი წუთით, იგრძენით თავი ვარსკვლავად.

ორშაბათს, 2 დეკემბერს, რუსთავი 2-ზე "დუეტები"

რეჟისორი: **ბრუს პელტროუ**
პროდიუსერები: **ბრუს პელტროუ, კევინ ჯონსი;**
სცენარის ავტორი: **ჯონ ბარამი**
როლებში: **გვინეტ პელტროუ, ანდრე ბრუგერი, პოლ ჯამატი, მარია ბელო, პოლ ბელო;**

**2 დეკემბერი, ორშაბათი**



## "როლერბოლი"

**Rollerball (2002 წ.)**

**00 სთ. 20 წთ.**

როლერბოლი: სწრაფი, სასტიკი, აზარტული და დაუნდობელი თამაში მხოლოდ შეშლილთათვის. ჟან რენო ფანტასტიკურ ფილმში "როლერბოლი". ნახეთ სამშაბათს, 3 დეკემბერს, რუსთავი 2-ზე. ნუ მოადუნებთ ყურადღებას.

რეჟისორი: **ჯონ მაკტიერნენი**
პროდიუსერები: **ჯონ მაკტიერნენი, ჩარლზ როვენი;**
სცენარის ავტორი: **დევიდ უილსონი, ჰოვარდ როდმანი, ლერი ფერგიუსონი**
როლებში: **კრის კლაინი, ელ. ელ. ქულ ჯეი, რებეკა რომინ-სტამოსი, ჟან რენო;**

**3 დეკემბერი, სამშაბათი**



## "ბიჭები არ ტირიან"

**Boys Don't Cry (1999 წ.)**

**00 სთ. 20 წთ.**

ის გოგოა და იცვამს, როგორც ბიჭი, ლაპარაკობს, როგორც ბიჭი და იქცევა, როგორც ბიჭი. რეალური ისტორია.

"ბიჭები არ ტირიან" ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, რუსთავი 2-ზე.

რეჟისორი: **კიმბერლი პირსი**
სცენარის ავტორი: **კიმბერლი პირსი, ენდი ბიენენი;**
პროდიუსერები: **ჯეფრი შარფი, ჯონ ჰარტი;**
როლებში: **ჰილარი სუანკი, ქლო სევინი, პიტერ სარსგაარდი, ბრენდენ სექსტონი.**

**5 დეკემბერი, ხუთშაბათი**

## პარასკევი 6.12

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯადოქარი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 ჯადოქარი 18.45 ჰერაკლე 19.10 მედისონის სკოლა 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.20 მხ.ფილმი "ვალენტინის ნიშანი განდეგილისთვის" მთ.როლებში სემუელ ლ. ჯექსონი, ენ მაგნუსონი 02.30 მხ.ფილმი "როგორ გავხდე პრინცესა" მთ.როლებში ემი ჰარაუეი, ჯული ენდრიუსი 04.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 დრო და ფული 10.00 მხ. ფილმი "პროვინციელი ქალბატონი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "რვაფეხა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი "პოკროვის კარიბჭე" მე-2 სერია 16.25 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 16.40 სერიალი "ძილის წინ" 17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ენა დედაა ერისა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.15 "ტალანტები და თაყვანისმცემლები" (ა. ბასილაია) 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "ვალმონი"

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 08.20 "ინფაქტი" განმეორებით 09.30 "კვირის საუკეთესო ხულიგანი" განმეორებით 11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 "კომედია" მხ.ფ. "მშობლების გაცნობა" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 რუსული მუს.ათეული 21.45 აბა გამოიცანი კინოოგანა 22.45 ინფაქტი 23.00 ინფორმატორი 23.30 პაპარაცი 00.00 "ტელედისკოთეკა" 01.45 "ბრავო" მხ.ფ. "დიდი პრიზი" მთ. როლებში სკოტ უილსი, პაოლო როტონდო 03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.20 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "სიჩუმის მილმა"

### ევრიკა

